ლიტერატურული გაზეთი

№14(174) 15 - 28 ივლისი 2016 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევობით ფასი 80 თეთრი

დილა

რაც ამ დილით ჩიტებმა
იჭიკჭიკ-იჟღურტულეს...
ვუსმენდი მათ საუბარს —
ულამაზესს... ურთულესს...
იტალიურ-ესპანურ —
ფრანგულ-ქართულ-ქურთულად... —
ყველამ ყველა ენაზე
იჭიკჭიკ-იჟღურტულა...
თუმცა მათი ტექსტების
ვერაფერი გავიგე,
ვფიცავ, რაც მეფიცება —
ყველაფერი გავიგე...

* * *

მოწყენა იცის სიცოცხლემ! —
გამოუთქმელი მოწყენა!
ხან ადრე დილით ხდება ეს,
ხანდახან — საღამოსკენაც...
ფიქრები იცის სიცოცხლემ —
გიქცევს საღამოს ფიქრებად —
ვინ სად საიდან როდემდე
როდის რა როგორ იქნება...

* * *

— ვართ ჩვენც — ადამიანებიც —
გადამფრენი ფრინველები!
დრო დგება და გვენატრება
ის მთები და ის ველები!
დიახ! ადამიანებიც —
გადამფრენი ფრინველები!
...ალბათ ჩვენც მოგვენატრება
ის მთები და ის ველები...
გულში — სინანულის გრძნობა
და თვალებზე — სისველეები...

...ვართ ჩვენც — ადამიანებიც —
გადამფრენი ფრინველები...



IV-V

ტარიელს ტარიელისაგან იცავს ქაჯი

„მწერლის გაზეთში“ (11.III.2016) მერაბ გვაზავას წერილი გამოქვეყნდა: „ტარიელ ჭანტურიას რეპლიკის პასუხად“.

თავდაპირველად ორი სიტყვა ჩემი წერილის სათაურზე ვთქვა უნდა!

მკაცრი სათაურია, კი! შეცვლა მინდოდა მისი, მაგრამ როცა გამახსენდა, როგორი ულმობელია ბატონი გვაზავას სტილი, აღარ შევცვალე.

„მწერლის გაზეთში“ დაბეჭდილი ავტორებიცა და მასალებიც ძირითადად ორ ნაწილად იყოფა — მიშველოვან და უმიშველო ავტორებად და მასალებად. მერაბ გვაზავა, ჩემი აზრით, უმიშველო ავტორთა ჯგუფს განეკუთვნება. გვაზავა წერს, რომ პაატა შამუგია უნიჭოა. მე კარგახნის წინათ, რა თქმა უნდა, იუმორის რეჟიმში, ასეთი სტრიქონები გამოვაქვეყნე:

პროზაში ორჰან ფამუქია,
პოეზიაში — შამუგია!

კი ბატონო, ხუმრობაა, მაგრამ მე ამ ხუმრობას არავითარ შემთხვევაში არ ვიტყოდი უნიჭო ადამიანზე. მე ბევრ რამეს არ ვეთანხმები პაატა შამუგიასას, მაგრამ, ამის მიუხედავად, მიმაჩნია იგი ნამდვილ ნიჭად, ვისგანაც პირადად მე დიდ წარმატებებს ველი. დიდი უნიჭო ვიღაცაო, ბრძანებს გვაზავა მასზე ნიჭიერ ადამიანზე — პაატა შამუგიაზე. ნიჭიერის ტიტულს გვაზავა ვერც ჩემთვის იმეტებს — ცნობილიო და ცნობილიო, იმეორებს და იმესამებს, სიტყვა ცნობილი კიდევ, ადამიანის დადებითად დახასიათებისთვის, იცით თქვენ, არ კმარა — ცნობილია ყველა განთქმული მათხოვარი, განთქმული მკვლელი, განთქმული კახპა, განთქმული... და ასე შემდეგ! მოკლედ, მე ამ მარტივმა ფაქტმა გამიჩინა ეჭვი, რომ გვაზავას წინასწარ შემუშავებული აზრი აქვს ჩემზე! გამართლდება ჩემი ეჭვი თუ არა, ამას მომავალი გვიჩვენებს! ან გიჩვენებთ მხოლოდ თქვენ — მე შეიძლება ამასობაში აღარ ვიქნე...

მთავარ სათქმელზე იმას ვიტყვი, რომ სინამდვილეში ყველაფერი მარტივადაა — მე კარგი მკითხველი ვარ და ჩემი უფლებებით ხშირად ვსარგებლობ! ტრაბახიც ვიცი ასეთი: მე, გენაცვალე, წერა მიჭირს, თვარა კითხვა ნამეტანი კაი ვიცი-მეთქი! ამჯერადაც ასე იყო საქმე. ზოგი რამ წავიკითხე ისე, როგორც ეს რუსთაველმა დაწერა ჩემთვის — კარგი მკითხველისთვის!

„არათუ ცივილიზებულ მე-12 საუკუნეში, გამოქვაბულის ეპოქაშიც კი დად არ უხმობდნენ ქალს, რომელთანაც წვებოდნენ. ტარიელი ხომ სხვაგვარად არც მიმართავდა ასმათს“.

ჩემს დროს ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე სწავლობდნენ დღეს ცნობილი პოეტი და მისი ცოლი. სტუდენტობის წლებში სულ — ძმაოო და დაოო, ასე მიმართავდნენ ერთმანეთს, მაგრამ დაამთავრეს თუ არა უნივერსიტეტი, დაქორწინდნენ და მშვენიერი ოჯახი შექმნეს. არავის გასჩენია აზრი, და-ძმობის ინსტიტუტის მოღალატეებად ჩაეთვალა ისინი! რა საბუთია ეს — ტარიელი დად მოიხსენიებდაო ასმათს! მე რატომ მეუბნება ბატონი გვაზავა ამას, არ ვიცი მე ეს? არ წამიკითხავს რუსთაველი?

ვეფხისტყაოსანი უკეთ იმას აქვს წაკითხული, ვინც თვალი მიადევნა ქვემორე შეფარვით ნათქვამს ყველაფერს, თორემ სტანდარტი, რომლის ცოდნითაც ასე გვაწონებს თავს ბატონი გვაზავა, ყველა საშუალო მკითხველისთვისაა ცნობილი! რუსთაველი იმითაა დიდი, რომ ტელევიზორიც უდგას, კომპიუტერიც, და გვაზავა რომ გვაზავაა, მისი ნააზრევიც კარგად მოეხსენება! რუსთაველის შედევრს რომ ის ქვემორე, შეფარვით თქმული გამოაკლო, ეს იქნება ყველაზე ცუდი სამსახური, გაწეული პოეტი-წინასწარმეტყველისთვის...

ვინ, რომელი ნორმალური მკითხველი დაიწუნებს ტარიელის ბრწყინვალე პიროვნებას იმის გამო, რაც მე მას, ვთქვათ, დავწამე, დავაბრალე! — იმ გავარვარებულ უდაბნოში იმის გამო მხოლოდ, რომ სამიათასი დღის განმავლობაში ერთხელ ადამიანური სისუსტე გამოიჩინა...

რუსთაველს სურს, ასეც წავიკითხოთ მისი შედევრი ზოგიერთებმა. რუსთაველმა ისიც იცის, რომ სტანდარტების მკითხველს ეს მხოლოდ გააღიზიანებს, გააცეცხლებს და, საბოლოო ჯამში, გააბითურებს!

რუსთაველი უკვდავი პოეტია, ამასთან ისიც სათქმელია, რომ რომელი საუკუნეც დადგება, იგი იმ საუკუნის პოეტი იქნება! ამჟამად ჩვენი — ბორდელებით გადაჭედილი, გაბაზრებული სექს-შოფების საუკუნის პოეტი!

რუსთაველს მაინც არაფერი უკვირს! პირიქით — იხსენებს იმ თავის შეფარვით ნათქვამ და შექებულ ფენომენს და კმაყოფილებისაგან იღიმება!..

V-VI

სახლი ფიორდთან

ზურაბ ლავრელაშვილი

I

უმუშევრობის მორიგი ტალღით უცხოეთში გატყორცნილი გობრონი ვერც კი იფიქრებდა, თუ თავის გატანა ასე გაუძნელდებოდა. პროფესიით ინჟინერს ლუკმა პურის შოვნა დღიური მუშაობით უხდებოდა. როგორღაც ერთხელ ხელი იღრძო და და ეს სამუშაოც დაკარგა. უფულო დაეხეტებოდა დიდი ქალაქის გარეუბნებში, ხან დოკებშიც შეივლიდა, რათა მტვირთავად მაინც დამდგარიყო, მაგრამ ბედმა საბოლოოდ უმტყუნა — არავის სჭირდებოდა. მაშინ იყო, თავის მოკვლა რომ გადაწყვიტა, სანაპიროზე წავიდა და კლდის შვერილზე აფოფხდა, თან ქურთუკის ჯიბით დახვეული თოკი აიტანა. ქვებიც წამოკრიფა და უბეში ჩაილაგა, რათა წყალში ღრმად ჩაძირულიყო და ინსტიქტურად ისევ არ ამოეყვინთა, როცა სული შეუგუბდებოდა და ფილტვებს ჰაერი შემოაკლდებოდა. მერე მიწაზე დაჯდა და ფეხები შეიკრა; როგორც შეეძლო, ხელებიც გაიკვანძა, ნაპირთან მიფოფხდა და ის იყო, უნდა გადავარდნილიყო, უცებ გაახსენდა: პოლიციისათვის ამოსაცნობად საბუთი არ დაეტოვებინა. ხელები წვალებით გაიხსნა, ჯიბიდან ქაღალდის ფურცელი ამოიღო, თავისი სახელი და გვარი დაწერა და თვითმკვლელობის მიზეზიც მიუთითა — გაუსაძლისი უსახსრობა. ქაღალდი ორად გაკეცა და აკურატულად ამოდო ბრტყელი ქვის ქვეშ, მაგრამ ნიავი ქაღალდს აფრიალებდა და შეიძლებოდა, გაეტაცნა კიდეც. ბარათი უფრო უხიფათო ადგილას დაამაგრა და ზედ მომცრო ქვებიც დააწყო. საბოლოოდ, კმაყოფილმა დახედა საბოლოოდ ამ ოთხკუთხა თეთრ ლაქას მიწაზე, თითქოს კაცობრიობას ღირსახსოვარ მცნებას უტოვებდა („თვითმკვლელობის კატეხიზმოს“ — გაიფიქრა რატომღაც), და სკუპ-სკუპით, ფეხებშეკრულმა, კლდის შვერილისაკენ გადაინაცვლა. შორიდან ამ დროს ალბათ კენგურუს ჰგავდა. რაღაცას წამოედო და ძირს გაიშხლართა. თავი რომ წამოსწია, იქვე მანანას ბუჩქზე ქარისაგან მოტანილი გაზეთის ნახევი შენიშნა...

გობრონმა მერეც ვერაფრით მოისაზრა, რამ აიძულა, შეკრული ხელებით გაზეთი აეღო: შინაგანმა ხმამ უკარნახა თუ თვითგადარჩენისა და სიცოცხლის წყურვილმა სძლია; ეგ კია, ნახევი ჩამოგლიჯა და მყისვე ინგლისური შრიფტით წვრილად ნაბეჭდი განცხადება წაიკითხა: „გვესაჭიროება სახლის მეთვალყურე. ერთი წლით. სასურველია მამაკაცი“. განცხადების ქვეშ იმ სააგენტოს მისამართი და ტელეფონის ნომერი იყო მითითებული, რომელსაც ვაკანსია გამოექვეყნებინა...

II

— **გაგიმართლათ**, ჰერ, — ბიუროს თანამშრომელმა გობრონს შევსებული ბლანკი გაუწოდა, – პირველი კანდიდატი ბრძანდებით. ხელი აქ მომიწერეთ.

გობრონმა პირობა ჰკითხა.

— თითქმის არაფერი გევალებათ, — ამცნო ბიუროს მუშაკმა, — იქ იცხოვრებთ და კაქტუსს მოუვლით.

— კაქტუსს?

— რაღაც იშვიათი მცენარეა, — ბიუროს მუშაკმა ბლანკს ბეჭედი დაუსვა და საქაღალდეში შეინახა, — გარწმუნებთ, ძნელი არ იქნება. მხოლოდ კლიმატი უნდა ამოწმოთ. სხვა მხრივ მცენარე დაცულია.

— უცნაურია, — გობრონმა გაღიმება სცადა, — ბოტანიკის არაფერი გამეგება.

— მცენარის მოვლა არ გევალებათ, — მიუგო მუშაკმა, — როგორც გითხარით, კლიმატი უნდა ამოწმოთ. ანაზღაურებას უახლოეს ბანკში მიიღებთ. საკომისიოს წინასწარ არ გამოგართმევთ. თანხა როცა ჩაგერიცხებათ, ავტომატურად ჩვენი საფასურიც ჩამოგეჭრებათ. მისამართი აქ წერია, — მან გობრონს სავიზიტო ბარათი გაუწოდა, — ქალაქიდან საათნახევრის სავალია. მატარებლის განრიგს სადგურში დააზუსტებთ. წარმატებას გისურვებთ, ჰერ! მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

III

საგარეუბნო მატარებლით გობრონი დაბაში ჩავიდა, სააგარაკო სახლი იკითხა. გზა ტაფობზე გადიოდა. სახლი კლდის ძირას იდგა. სახურავი აღაღანებულ ტორფს დაეფარა და გრუნტი მწვანედ ხასხასებდა. გარეგნული სისადავის მიუხედავად, ძალზე ძვირი სადგომი ჩანდა. ასეთი სახლები, როგორც წესი, მხოლოდ მდიდრებს აქვთ. გობრონი ჭიშკარს მიუახლოვდა და ბრინჯაოს დაფაზე წაიკითხა: „ნუ შეგვაწუხებთ!“

მერე ზარი დარეკა.

პარმაღზე კაცი გამოჩნდა. მისკენ გამოემართა. გობრონი მესერს აქეთ იცდიდა, თან მიდამოს ზვერავდა. სახლი განმარტოებით იდგა. სხვა საცხოვრისი არსად ჩანდა. უკანა მხარეს კლდე წამოჰყუდებოდა, წინ დაქანებული ეზო ჰქონდა. კლდის შვერილი ფიორდს ებჯინებოდა. სანაპიროზე ვიწრო ბილიკი ჩადიოდა. ფიორდის ყურეში, ნავმისაბმელზე, კატარღა ირწეოდა.

კაცი მესერს მოუახლოვდა. გობრონი მიესალმა და უთხრა, ვინც იყო. კაცმა ჭიშკარი გაუღო.

— რწმუნებული ვარ, — გაეცნო სტუმარს, — კონტრაქტი თან გაქვთ?

მოფილაქნებული ბილიკით სახლისკენ გაემართნენ. გზად დამხვდურმა მოკლედ განუმარტა, რა ევალებოდა. აქ უნდა ეცხოვრა და სახლს ძალიანაც არ უნდა დაშორებოდა.

— დაბაში ნუ ჩახვალთ, კვირაში ერთხელ სურსათს მეფურგონე მოგაწვდით, რომელსაც რძე დააქვს. ზოგჯერ შეგეძლებათ ფიორდზე ნავით გაისეირნოთ.

— ტუსაღი ვყოფილვარ! — აღმოხდა გობრონს, — გამოდის, მაპატიმრებთ!

კაცმა წაუყრუა.

— ხალხი მიდის და მოდის, თავს თუ პატიმრად მიიჩნევთ, კონტრაქტი მოვშალოთ.

— სამუშაოს ვეძებ, — ტანჯვით გაიღიმა გობრონმა, — ესეც რომ დავკარგო, შიმშილით მოვკვდები. თქვენი აზრით, საქმე ასარჩევად მაქვს?! მითხარით, კიდევ რა უნდა გავაკეთო?

რწმუნებულმა ღრმააზროვნად უპასუხა.

— რაც მოგესურვებათ, აქ არავინ გზღუდავთ, ოღონდ სახლს ცეცხლი არ უნდა წაუკიდოთ და წესრიგი დაიცვათ.

— აი, ეგ კი ნამდვილად არ მინდა. აკი გითხარით, უმუშევარი ვარ და ყველაფერს გავაკეთებ, ხელფასი რომ არ დავკარგო.

— ძალიან კარგი, — კაცმა მოწონებით დაუკანტურა თავი, — მაშ, შევთანხმდით.

სააგარაკო სახლი შიგნიდანაც სადა და ხალვათი გამოდგა. ისე იყო ნაგები, რაც შეიძლება მეტი სივრცე გამოჩენილიყო და გარედან თუ ორსართულიანს ჰგავდა, აქ შემოსული უცებ აღმოაჩენდი, რომ ვილას კიდევ ერთი სართული ჰქონდა დამატებული ოთახების შუალედური განლაგების წყალობით. რწმუნებულმა გობრონს საძინებელი და სასადილო ოთახები დაათვალიერებინა და ბოლოს მეორე სართულზე მინის პაწია ორანჟერეას მიაყენა, რომლის სიღრმეშიც შიშველ იატაკზე ქოთნით იდგა ეული მცენარე, კაქტუსის რაღაც ნაირსახეობა, რომელიც ას წელიწადში ერთხელ ჰყვაოდა თურმე.

— საოცარია, — გობრონი თვალს არ უჯერებდა, — კაქტუსი ჩრდილოეთში?!

— ამ სახლის პატრონი ცნობილი კოლექციონერი გახლავთ, ამიტომ ბევრი რამ ნუ გაგაკვირვებთ. ამ პანელს დააკვირდით. აქ კლიმატკონტროლის მონაცემები იწერება. თვალი ადევნეთ, რომ ორანჟერეაში ერთნაირი ტემპერატურა იყოს. თუ სითბო მოაკლდა, კაქტუსი გახმება. ეს კი, მერწმუნეთ, ფრიად უსიამოვნო იქნება თქვენთვის.

— სულ ეგ არის? — თითქოს იმედგაცრუებულმა იკითხა გობრონმა, — მე კი მითხრეს, თითქოს...

— მდგმურებისაგან ჩვენ სხვას არაფერს ვითხოვთ, — შეაწყვეტინა მასპინძელმა, — ორანჟერეაში ნუ შეხვალთ. სათბურში ბალანსი დაირღვევა, თანაც მცენარე ძალზე მგრძნობიარეა და ადამიანის სიახლოვეზეც კი მეტად ნეგატიურად რეაგირებს — განსაკუთრებით უცხო კაცის სიახლოვეზე.

გობრონმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— წამიკითხავს, თითქოს მცენარეებსაც აქვთ ემოციის უნარი, — თქვა დამაჯერებლად, — სინანულსა და მწუხარებასაც გამოხატავენ თურმე. პირობას გაძლევთ, ახლოსაც არ გავეკარები.

— მაშინ, ნება მიბოძეთ, დაგემშვიდობოთ, — რწმუნებული კარისკენ გაემართა, — კარ-ფანჯარა პულტით ავტომატურად იკეტება. მძარცველების ნუ შეგეშინდებათ, სიგნალიზაცია გამართულად მუშაობს. მაინც სიფრთხილე მოგეთხოვებათ. იმედია, თანდათან აქაურობას მიეჩვევით და ყველაფერს აითვისებთ.

ისინი ჭიშკართან გამოეთხოვნენ ერთმანეთს. რწმუნებული ბილიკით ფიორდისკენ დაეშვა და მალე გობრონს კატარღის ღმუილი მოესმა. საღამოს ბაც სინათლეში კატარღამ გედივით გაისრიალა მუქ წყალზე და ქაფის არშია გაავლო.

IV

ნათელ-ელვარე, მშვიდი, ციაგი დღეები წაეწყო ერთმანეთს. ყურეში წყალი ისე ლიცლიცებდა, როგორც ემბაზში. მდელოზე ბალახი ხასხასებდა. ტორფი სახურავზე მეორედ აყვავდა. ჰაერში მერცხლები დასრიალებდნენ.

მერძევის ფორანი კვირაში ერთხელ ჩერდებოდა აგარაკის ჭიშკართან. ფორანში შავ-თეთრი პონი ება. თავად მერძევე, ჩასკვნილი, ძვალმსხვილი კაცი, ძველ წიგნებში დახატულ მეკობრეს ჰგავდა, ჩიბუხს პირიდან არ იშორებდა და წამდაუწუმ იპურჭყებოდა. გობრონს მისი ნაუბარი ძნელად ესმოდა, რადგან მერძევე აქაურ დიალექტზე ლაპარაკობდა და, საერთოდაც, ეტყობოდა, საუბარი არ უყვარდა, თუმცა მდგმურმა მაინც მოახერხა და რაღაც-რაღაცები დააცდენინა სახლის პატრონის შესახებ: შვიდი წლის წინათ გამოჩენილიყო ამ მხარეში, ვრცელი მამული ეყიდნა და სახლი აეშენებინა. კარჩაკეტილად ცხოვრობდა, აქაურებს ახლო არ იკარებდა, თუმცა ქველმოქმედება ჰყვარებოდა და ღარიბებს ფარულად ეხმარებოდა. ახლა სამოგზაუროდ არის წასული და არავინ იცის, როდის დაბრუნდე-



ბა. სახლს და მამულს მისი მოურავი განაგებს. თუ რაიმე გაინტერესებს, მას უნდა ჰკითხო.

— კეთილი კაცი ყოფილა, — დაასკვნა გობრონმა, — სიმდიდრე როგორღა იშოვნა?

— ეგ არავინ იცის, ჰერ, მგონი, თავიდანვე მდიდარი იყო.

— როგორ თუ თავიდანვე? ნუთუ წინაპრებიც მდიდრები ჰყავდა?

— მის წინაპრებს არავინ იცნობს, ფული კი თავისით მოუდის, წვიმასავით.

— საოცარია, რაიმეს ხომ უნდა საქმიანობდეს! აბა, ისე მილიონებს ვინ მოგცემს?

— აბა, რა გითხრათ, ჰერ, ესეთი კაცია, იღბლიანი. აი, ეს ყუთი დამიცალეთ.

მარტო დარჩენილი მდგმური დიდხანს ფიქრობდა სახლის პატრონზე, ვისაც აქაურობა მიეტოვებინა და ისე გაუჩინარებულიყო, დაბის მცხოვრებლებს აღარც კი ახსოვდათ. მარტო კეთილი საქმეების მოგონებაღა შემორჩენოდათ. ჰო, უცნაური კაცი ჩანს, მაგრამ გობრონს კი რად უნდა აღელვებდეს მისი უცნაურობა?! მთავარია, რომ სამუშაო, მუქთა თავშესაფარი და სასმელ-საჭმელი დროულად გამოუჩნდა და სიკვდილს გადაურჩა. ამიტომ მადლიერი უნდა იყოს მისი, ოღონდ ეს კაქტუსი კი...

გობრონისათვის ორანჟერეაში დანატოვარი მცენარე გამოცანა იყო. თვითონ მცენარე კი არა, პირობა, რომ კაქტუსს არ მიკარებოდა და მუდმივად კი ემოწმებინა და ეკონტროლებინა, ხომ არ ჭკნებაო... „მდიდრები ახირებული ხალხია, — მსჯელობდა თავისთვის, — ფულს როგორც კი იშოვნიან, მაშინვე რაღაც უცნაურობას მოიგონებენ“.

ასე იყო თუ ისე, არც ეს პირობა წარმოადგენდა რთულად შესასრულებელს და მასაც შეეძლო უქმობით და უზრუნველობით დამტკბარიყო. მართალია, დაბაში ჩასვლა აუკრძალეს, მაგრამ გობრონი დიდად როდი წუხდა მარტოობის გამო. ადამიანი თუ მოენატრებოდა, მერძევესთან გადადიოდა სამასლაათოდ. მერძევე ფიორდს იქით, მთის კალთაზე ცხოვრობდა განცალკევებულ კოტეჯში, რომლის უკან მსუყე საძოვარი გადაშლილიყო მისი ძროხებისათვის. ქვრივი იყო, შინ თოთხმეტიოდე წლის ველური, ახტაჯანა ქალიშვილი ჰყავდა — ფრიდა... გობრონს დანახვისთანავე მოეწონა კატისთვალება გოგო, ჭინკასავით რომ დარბოდა მდელოზე ძროხებს შორის.

— ცელქი მყავს, — აღნიშნა მერძევემ, როცა შენიშნა, რა ხარბად უყურებდა სტუმარი გოგოს, — საბრალო დედამისი ნაადრევად გარდაიცვალა. ჰოდა, ვანებივრებ...

გობრონმა ჰკითხა, ნუთუ აქ, უკაცურ ალაგას, არ სწყინდებაო... სკოლაში ხომ მაინც უნდა იაროს...

— დამყავდა კიდეც, — უპასუხა მერძევემ და ჩიბუხი მოსრუტნა, — ვერ შეეგუა.

— ვის?

— სწავლას, ჰერ! ჩერჩეტია, ნამდვილი ჩერჩეტი, თავში არაფერი უჩერდება, მინდორ-მინდორ სირბილი და ხტუნვა ურჩევნია. მეც აღარ ვაძალებ, დამხმარე მჭირდება. ძროხებს ეგ წველის...

მალე დამეგობრდნენ. ხშირად აუყვებოდნენ ფერდობს, თხემიდან ფიორდს გადაჰყურებდნენ. დიდხანს ისხდნენ ხავსმოდებულ თეთრ ქვებზე, რომლებსაც წვიმისაგან თუ სიცივისაგან ამოჭმული ღარები ჰქონდა და ეს ღარები საოცრად წააგავდა წარწერას, თითქოს ვიღაცას ლოდებზე ფარული მითითება ამოეტვიფრა. ფრიდა ირწმუნებოდა, წარწერის წაკითხვა შემიძლიაო.

— ნუ სტყუი, ფრიდა.

— არ ვტყუი, უბრალოდ ეს ძველი ანბანითაა ნაწერი.

ისევ დარი იდგა, მშვიდი, ამო. ფრიდას თვალები ზღვის წყალივით ციმციმებდნენ. გობრონს სული ნეტარებით ევსებოდა. აუხსნელი წყალობა იყო, აქ რომ იჯდა და კრიალა ჰაერს ისუნთქავდა, არაფერზე დარდობდა. წარსული კოშმარს ჰგავდა, ეს კი გამოღვიძება იყო. ზოგჯერ ფრიდას ყურეში ასეირნებდა ნავით მაღალი კლდეების გასწვრივ, რომელთა ჩრდილიც წყალს ეფინა. გოგო ანცობდა, იცინოდა, ხანდახან გადაიხრებოდა და თავისივე სილუეტს ჩასცქეროდა მდოვრე წყლის სარკეში.

— გობი, ნახე მიყურებს!..

— ვინ, ფრიდა?

— არ ვიცი... ის... მგონი, მე მგავს, მაგრამ მე არ ვარ.

ფრიდა გადაიხარა და მუჭით გაფანტა წყლის ლანდი.

— ფრთხილად, ფრიდა...

ნავი შექანდა. გოგომ იდაყვებამდე ჩაჰყო ორივე ხელი წყალში, თითქოს ვიღაც უჩინარს და წყალქვეშ მყოფს ნებდებოდა თუ ვედრების ნიშნად ხელებს უწვდიდა, ანაზდად გადაიყანთრა და ყურეში ტყაპანი მოადინა.

გობრონი მისწვდა, ამოიყვანა.

— მცივა, გამათბე, — ფრიდა კანკალებდა, გობრონს ეხუტებოდა, მან კი რატომღაც კლდეებს ახედა. ორივე მხრივ ფრიალო, თვალშეუდგამი კედელი იყო.

— ვიყინები, ჩქარა.

გობრონმა გამალებით აამუშავა ნიჩბები, ფრიდა კი ნავის ფსკერზე მიწვა, მოიკუნტა, ახალშობილს დაემსგავსა. აძაგძაგებული, რაღაცას ლუღლუღებდა, თვალები ეხუჭებოდა, ხელებს ბრმასავით აცეცებდა.

V

ჭიქა ვისკიმ და სახლის სითბომ ნელნელა გააქრო ჟრჟოლა და კანკალი. ფრიდას ჩაეძინა. ფართო საწოლში იწვა, თბილ საბანქვეშ, თმა ბალიშიდან გარდმოტეოდა და ლამის იატაკს სწვდებოდა. გობრონს არ ეგონა, თუ ფრიდას ამსიგრძე თმა ჰქონდა: ჩანჩქერს ჰგავდა, კლდიდან ფიორდისკენ ჩამოშვებულ წყლის ძენძს. ფრთხილად აუკეცა სელისფერი დალალები და ბალიშზე დაულაგა, მერე მაღლა ავიდა და პანელი შეამოწმა. მინის კედელს იქით მკრთალი შუქი კრთოდა, დაისის მინაგვარი, რათა მცენარეს დღე-ღამის მონაცვლეობა თანაბრად ეგრძნო და ამ სიმკრთალეში კაქტუსი ლანდს დამსგავსებოდა, სიხასხასე დაეკარგა...

გობრონმა შუქი ჩააქრო და გვერდით ოთხში დაწვა დასაძინებლად, თუმცა შუაღამემდე ძილი არ მოერია. ძილგამკრთალი უგდებდა ყურს ქვემოდან ამოსულ ფაჩუნსაც კი, რათა ფრიდას მყისვე მიშველებოდა, თუკი გოგონას რაიმე გაუჭირდებოდა, მაგრამ ეტყობა, ფრიდა მშვიდად თვლემდა. დაბლიდან ჩამი-ჩუმიც არ ისმოდა. მართალია, გობრონს თითქოს მოესმა, ვიღაც მეძახისო, მაგრამ ტყუილი გამოდგა. როგორც კი თვალს ახელდა და ლოგინიდან წამოიწეოდა, მისი სმენა სახლში სვეტივით ჩამომდგარ, გაუბზარავ მყუდროებას ეხლებოდა და გობრონმაც, ბოლოსდაბოლოს, დაიძინა...

რა ხანი ეძინა, ვერ გაიგო, მაგრამ ანაზდეული გამოღვიძებისას (თითქოს მუჯლუგუნი ჰკრეს და გამოაფხიზლეს!) კარის ქვემოდან, ღრეჭოში გაწოლილი სინათლის ზოლი დაინახა. გობრონს გაუკვირდა, საწოლიდან წამოდგა და კარი გამოაღო. დერეფანში არავინ იყო. ორანჟერეიდან კი შუქი გამოკრთოდა. მინის ვიტრინას მიუახლოვდა და შიგნით ფრიდა დაინახა: სრულებით ტიტველი, მისკენ ზურგშექცევით, კაქტუსის ახლოს იდგა და თითქოს კვნესოდა.

— ფრიდა!

ორანჟერეის კარი ღია იყო. ფრიდა შემობრუნდა და გობრონს ხელი გაუშვირა.

— გობი, ნახე, მიჩხვლიტა!

საჩვენებელ თითზე ბურთივით მრგვალი, პაწაწინა სისხლის წვეთი აჯდა, თითქოს ტკიპა ჩაჰფრენოდა და გოგოს წვენით გავსილიყო. წვეთი მუქ-იისფრად ციმციმებდა.

— ფრიდა, აქ რა გინდა?

— ლამაზი იყო!.. — კბილების კაწკაწით გაუშვირა თითი კაქტუსისაკენ და გობრონმაც ახლაღა დაინახა მსხვილ, ხორცოვან ღეროზე ქაფივით დაჩნეული პატარა ყვავილი — სითეთრის ღიმილი.

— აქ შემოსვლა არ შეიძლება, ფრიდა! აბა, მაჩვენე, — კაცი მაჯაში დასწვდა და დაიჩოქა, სისხლის წვეთი მოწუწნა. ფრიდამ თვალები დახუჭა, გობრონს თავზე მეორე ხელი დაადო და უკან გადაიზნიქა ისევე თვალდახუჭული.

იმავე წამს სირენის ხმა გაისმა. გობრონს სახეში სცემდა ფრიდას შიშველი ტანის მხურვალება, მისი კანის სიცხოველე; გოგოს თითქოს ელვა უვლიდა, ვარვარებდა და ალმოდებული თითებით თმაზე ეფერებოდა. გობრონს გოგოს ხელი არ ეთმობოდა, მაჯით ჩაებღუჯა და სისხლიან თითს ძაღლივით ულოკავდა, სანამ აგანგაშებული სირენა გამოაფხიზლებდა. გობრონი წამოიჭრა და ფანჯარაში აციალებულ განთიადს მოჰკრა თვალი.

— ვიღაც მოდის! — ფრიდამ ხელი დამნაშავესავით დამალა ზურგსუკან. გობრონი ფანჯარას ეცა. ბილიკზე სახლის პატრონის რწმუნებული მოაბიჯებდა.

— გავიქცეთ, ფრიდა! — გობრონმა გოგოს ხელი გაავლო და კიბეზე ჩაირბინეს, ფრიდას საძინებელზე გავლით უკანა კარში გაცვივდნენ. გობრონმა მოასწრო და ლოგინიდან ზეწარი აიტაცა, ფრიდას შემოახვია. მოესმათ, როგორ შემოიღო მთავარი შემოსასვლელი და სირენის გამწივანი განგაშიც დადუმდა. გობრონი და ფრიდა აღმართში მირბოდნენ.

— დავიღალე, გობი, მიშველე.

ფრიდამ კიდევ სამი ნაბიჯი გადადგა და წაიბორძიკა. გობრონმა ხელი შეაშველა. მძიმედ აუყვნენ აღმართს. ჩქარა უნდა გასცლოდნენ აქაურობას, სანამ ვინმე დაინახავდა და დაედევნებოდა, მაგრამ აღმართზე სიარული უფროდაუფრო უძნელდებოდათ. გობრონი შედგა და სახლს მოხედა, რომელშიც ნებიერად ცხოვრება არ დასცალდა. კოპწია სააგარაკო ვილა თეთრად ქათქათებდა ამომავალი მზის ღვარში, მაგრამ სახურავებზე ტორფის ბალახი თითქოს გაყვითლებულიყო, სიხასხასე დაეკარგა.

— ფრიდა!

გოგომ კისერზე მოჰხვია მკლავები, მიეხუტა:

— მცივა, გობი, გამათბე.

ბოლო დაქანებაც აათავეს და ფრიდა მიწას მიესვენა. ზემოდან ყურე და ნაპირთან მოტივტივე კატარღა ჩანდა. ხსნაც ეს იყო: კატარღამდე თუ მივიდოდნენ, მერე იოლად დაუსხლტებოდნენ მდევარს.

ფრიდა მოკრუნჩხული იწვა, სახე განაცრისფერებოდა. გობრონს უცებ გული შეუქანდა: ვაითუ კაქტუსი შხამიანი იყო? ფრიდამ თვალი გაახილა:

— მაპატიე, გობი!

— ნუ გეშინია, ფრიდა, აქედან გაგიყვან! — მან გოგო აიტაცა და ბორძიკით განაგრძო სვლა. სახლს შორს უნდა გასცლოდა და მერე ყურესაკენ ჩასასვლელი ეძებნა, ფიორდს კი მაღალი კლდეები ერტყა და გობრონი მიხვდა, რომ წინ დიდი გზა ედო, რათა ბოლოს და ბოლოს სანაპირომდე მისულიყო. იპოვნიდა კი ქვევით ჩამავალ ბილიკს? ფრიდა თანდათან მძიმდებოდა, გობრონსაც სისხლი უწუოდა ყურებში, ქვას ფეხი წამოჰკრა და ორივენი წაიქცნენ, გაკოტრიალდნენ... გობრონს მაინც არ გაუშვია ხელი ფრიდასათვის და ერთმანეთს ჩახუტებულები ჩაგორდნენ პატარა ტაფობზე, რომელიც უჩვეულოდ მაღალი, თითქმის ხის ოდენა ყვავილებით იყო შემოქობილი. გობრონი პირაღმა გადმოტრიალდა და ცაზე იისფერი მზე დაინახა. სიჩუმეში ლომის ღრიალი და ჩინჩხვრის ლაწალუწის ექო მოისმა. მწითური მხეცი ალბათ გამოქვაბულის მხრიდან უახლოვდებოდათ. გობრონმა ფრიდა მკერდს მიიკრა და საბრძოლველად მოემზადა, მაგრამ ლომის ღრიალი ისევე უცებ მიწყდა, როგორც გაისმა. ფრიდა კანკალებდა.

— ბალახივით ვთრთი, — შესჩივლა კაცს, რომელსაც ეს შედარება არ გაჰკვირვებია, — მაპატიე, გობი...

ცაზე მზე ჩაშავდა, ქარმა დაუბერა. გობრონი წამოდგა და კბოდეს გადახედა. ყურეში ქარი თარეშობდა და წყალზე ფრთონას შლიდა, თითქოს ზედ ვიღაც გადარბოდა და სტიქიონს უჩინრად ამღელვარებდა. ნაპირთან ისევ ირწეოდა კატარღა. გობრონმა ახლა კლდის ძირს ჩახედა და პატარა ქალაქი დაინახა: ძველებური ციხედარბაზის ნანგრევებით, ტაძრებით, ობელისკებით, მიტოვებული შენობებით... საოცარი იყო, რომ ქალაქი უცებ გაჩენილიყო არსაიდან — გობრონსა და ფრიდას აკი ბევრჯერ გაუცურავთ ნავით ამ კლდის გასწვრივ და მარტო შიშველი, უნაყოფო მიწის ზოლი თუ უნახავთ...

ტალღებით ატაცებული კატარღა უფროდაუფრო ძლიერად ტორტმანებდა, მერე კი გობრონმა უცნაური გრუხუნი გაიგონა და დაინახა, რა ანაზდეულად დაუახლოვდა ერთმანეთს ფიორდის კედლები, და კატარღა გასრისა...

— გობი, რა ხდება?

გვერდით ფრიდა ედგა.

— არაფერია, ფრიდა, როგორმე სხვა გზით უნდა გავაღწიოთ აქედან! — კაცმა გოგოს ხელი ხელს ჩასჭიდა და ოდნავ უბიძგა, მერე თავადაც მიჰყვა... ჰაერშივე იგრძნეს, რაღაც რომ შეცვლილიყო და მიწაზე დაშვება აღარ ეწერათ, რაკიღა ლაღად და დაუბრკოლებლად მისცურავდნენ კამკამა ეთერში, უწონადონი, უსხეულმყოფელნი... გობრონმა შენიშნა, როგორ თანდათან შეემოსა ფრიდას სხეული ფუმფულა ნაკრტენით, ქროლვით აფრიალებულ ზეწარქვეშ განივად გაშლილი მკლავები კი ფრთებად ექცა. უნებურად თავისივე სხეულსაც ჰკიდა მზერა და შეინავარდა, მძლავრად მოიქნია ბუმბულით დაფარული მხარი...

ქვემოთ ისევ განიხვნა კლდეები და ფიორდში წყალი ჩადგა. ქარი აღარ ქროდა. მზე ყურეს დაჰნათოდა და ზვირთებს აციგლიგებდა, წყალზე გედების ჩრდილმა გადაისრიალა. ისინი მზისკენ მიფრინავდნენ.

აბანო

მართას ეგონა, რაინჰარდტი შინ დახვდებოდა და ტელეფონით აღარ გაუფრთხილებია, პირდაპირ ნაქირავებ ბინაზე მიადგა: პრინცრეგენშტრასე, 37.

კარი სახლის პატრონმა ბერიკაცმა გაუღო.

მეორე სართული, ფროილაინ, მარჯვნივ, ოთახი ცამეტი!

ბერიკაცი უცნობი კილოთი გამოთქვამდა თითოეულ სიტყვას, თითქოს ღეჭავსო... ვერ მიხვდებოდი, ფრანგი იყო, გერმანელი, უნგრელი თუ ბოჰემიელი... ოქროს კბილებს შორის ძვლისფერი პროთეზი უჩანდა, მელოტ თავზე ხავსის ლიქენივით აჰკვროდა ბებრული ლაქები, რის გამოც მოტვლეპილი თავის ქალა სირაქლემას უზარმაზარ და დაჭორფლილ კვერცხს უგავდა...

დასასრული მე-7 გვერდზე



ვალაგებ უჯრებს...

ზოგი რამ ვერ გადავყარე! — მირჩევნია,
მკითხველმა გადაყაროს...

პოეზია

დედასავით თბილო,
მამასავით მკაცრო,
სანამ უნდა მკოცნო,
მცემო, მჯიჯგნო, მკაწრო,
თავი ამ კედლებზე
უნდა მარტყმევინო,
რის თქმაც არ მინდოდა,
ძალად მათქმევინო,
ჭრილობას რომ გულში
მეათასედ მიხსნი,
მე ვიცი, რომ მიხსნი,
ბოლოს მაინც მიხსნი...
წლები რომ სჭირდება,
მათქმევინებ წამში,
წამშლი. მერე დამწერ.
დამწერ. ისევ წამშლი...
დღეს — გაბედულებავ,
ხვალ-ზეგ — ლაჩრის შიშო,
გუშინ — ჰენრი ტორო,
დღეს კი — ანრი მიშო...
შე რუსთველის გონო,
შე ტვინარეულო,
დღეს-ხვალ — აზიურო,
მაზეგ — არიულო!
დღეს — გაბედულებავ,
ხვალ-ზეგ — დაჯაბნილო,
კარგა დაწერილო,
ცუდად დაჯღაბნილო...
ბოთლო, სავსევ შხამით!
ღვინით სავსე კასრო...
სანამ უნდა მკოცნო...
მცემო...
მჯიჯგნო...
მკაწრო...

* * *

მეხსიერება! კარგი რა! —
სუ ძველმანების სხვენია!
რაც იქ გიყრია ნაგავი —
გახსენებაც კი გრცხვენია!
ხომ გქონდა — იყო ერთი დრო —
ხომ გქონდა ფიქრში პროექტი:
შეგეთხზა რაღაც ასეთი —
„მეხსიერება პოეტის!“
რას იფიქრებდი — ოდესმე
ამდენ სიგიჟეს ნახავდი,
და იმდენ წყალს რომ ნაყავდი
და ღვინოსაც რომ ნაყავდი —
სულ ტვინში შეინახავდი...

მეხსიერება! კარგი რა,
მოურჩენელი სენია!
ნაგავით სავსე სხვენია,
გახსენებაც რომ გრცხვენია...

ვარსკვლავებს მოწყდა ვარსკვლავი...

...ბოლოს და ბოლოს დედამიწა ცას მაინც მოწყდა! —
დასრულდა მილიონი წლების — მეტისაც — მოცდა! —
ბოლოს და ბოლოს დედამიწა ცას მაინც მოწყდა...
ყველა მოისრა.
ყველა მოკვდა.
ყველა ამოწყდა... —
უეცრად, უცებ — დედამიწა ვარსკვლავებს მოწყდა...
ბრმა, უცნაური დასასრული სულთა და ხორცთა —
ყველა მოისპო.
ყველა მოკვდა.
ყველა ამოწყდა.
უცხოპლანეტელ ტიპებს თვალზე ცრემლები მოწყდათ...

ჯერ არვინ გაუკვირვებია ათ მკვდარს ან ოც მკვდარს...
მაგრამ — პლანეტა? დედამიწა? —
ცას როგორ მოწყდა...

უცხოპლანეტელ ტიპებს თვალზე ცრემლები მოწყდათ...

ხმით ნატირალი. უხმოდ ნატირალი

შევიშრობ ცრემლსა...

დღესაც შემხვდა. შემებრალა! —
არ აცვია. არ ახურავს.
თუ ახურავს, თუ აცვია —
სექენდჰენდის ხარახურა.

როგორა ხარ-მეთქი, ვკითხე!
ვცდილობ, ცრემლი შევიშროო!
ვისწავლო, რომ ღირს ცხოვრება,
და ის, რაც ღირს — შევიშნოო!

სიძულვილი, შური, მტრობა —
არც ერთი არ შევნიშნოო!
თუ შევნიშნე, თუ ვიტირე —
დავჯდე, ცრემლი შევიშროო...
...
ვინ უშველის, რა უშველის
ცხარე ცრემლის ამ მდინარეს!
უკვე ვიცი, უკვე ვარჩევ
მოტირალს და ნამტირალევს...

სიმღერა

ნუ მასწავლი სიყვარულს — შენზე კარგად ვიცი! —
გატეხილი გული და გატეხილი ფიცი...
ერთგულებაც, ღალატიც, ქიცმაცურიც, ქიციც —
ნუ მასწავლი სიყვარულს, მეც მშვენივრად ვიცი!
ოფელიაც, ჰამლეტიც, რამინიც და ვისიც...
მარტო ჩემი კი არა, სუყველასი ვიცი!
არც ქალის მაქვს იმედი, არც სამოთხის ვიზის...
ნუ მასწავლი, არ გინდა, შენზე უკეთ ვიცი...
მიველ. ვნახე. დავმარცხდი... (ვენი. ვიდი. ვიცი?)

ნუ მასწავლით სიყვარულს! ვიცი-მეთქი! ვი-ცი!

* * *

მიზეზები, რითაც დიდი პოეზია აირია,
უბრალო რამ არ გეგონოთ — მომწამვლელი აირია!

დღეს არც ვაჟა, არც აკაკი,
დღეს არც შოთას შაირია! —
ის, რაც გვსპობს და გვანადგურებს —
მომწამვლელი აირია!

ვერ იტანენ სიმებიანს, ჩანგიანს და დაირიანს!
ზოგიერთმა — დაუსტვინა, ზოგი — სულ გადაირია!

ეს ზოგისთვის გასართობი შოუა და სეირია,
უნიჭოებისათვის კი ერთადერთი ხეირია!

როგორცა ჩანს, უკვდავების წყალი უკვე დაილია...
...აღარც შოთა... არც აკაკი... აღარც ვაჟა და ილია...
...
ძნელად, სადმე გადააწყდე ტიპებს — ჯადო-აურიანს...
ვატყობთ: მთელმა დედამიწამ საბოლოოდ აურია...

კრიზისული ლექსპრომტი

სეროტინინი თურმე
ბედნიერების ჰორმონია!
მელატინინი თურმე
ჯანმრთელი ძილის ჰორმონია!
სამყარო ამის შემდეგ
სითბოა თურმე! ჰარმონია!
...ეს მეც შემეხოს ერთხელ —
არ მჯერა! რაღაც არ მგონია! —
ჩემი — ტანჯვაა მხოლოდ,
და უსასრულო აგონია...

* * *

— ვენაცვალე თეთრი ლექსის ფასონს —
თეთრი ლექსი ახლა უფრო ფასობს!
თეთრი ლექსი არასოდეს მღერის —
თეთრი ლექსი, როგორც წესი, ბაასობს!
ბევრი მისდევს თეთრი ლექსის ფასონს —
თავის სათქმელს ასეთ ლექსში აქსოვს!
თეთრი ლექსი იმითაა კარგი —
არასოდეს არსად არვის ახსოვს!
ვისთვის რახი არაყს ბევრად ჯობს და
ვისთვის კიდევ არაყი ჯობს რახსო!
ვენაცვალე არაყივით თეთრ ლექსს —
წაიკითხავ, მაგრამ აღარ გახსოვს! —
რატომ უნდა დაიმძიმო თავი —
საფიქრალი ისეც ბევრი გაქვსო!
ვერლიბრს კიდევ გადაავლებ თვალს და
ამით მოვრჩით —
არაფერი გახსოვს!

* * *

მივტირი ცრემლებს — მილიონ ბარელს...
მადრიდს და ჩარგალს, ბოსტონს და ყვარელს...
კასპსა და პარიზს, რომსა და ქარელს...
მივტირი ცრემლებს — მილიონ ბარელს...
სინანულს... ტანჯვას... ტკივილს საზარელს...
ყმაწვილ ინგლისელს... მოხუც აჭარელს...
ვაგროვებ ფიქრში ცრემლების მარილს...
ეთიოპიელს... ჟენეველს... ჩხარელს...
...მივტირი ცრემლებს — მილიარდ ბარელს...

სიგარეტის მონატრება 50 წლის შემდეგ

...ოქროს სანაცვლოდ — სიტყვა საბასი
ათასის ნაცვლად — ბანკში აბაზი
შვილი — ისე შორს
ცოლი — კაპასი
ძილის წინ ფიქრი იმის კაბაზე...

დაგრჩა კი ღამე? — ვთქვათ, ათასერთი! —
იმ ბოლო წიგნსაც ალბათ დაწერდი...
ფიქრობ ყველაზე, მაგრამ რატომღაც
შენზე არ ფიქრობს არვინ... არცერთი...
...
სიტყვა რუსთველის,
დარდი საბასი...
...ხომ მოგანატრეს
წევა... ნაფაზი...

* * *

სიტყვა — თაფლი
სიტყვა — შხამი
სიტყვა — წვიმა
სიტყვა — სეტყვა
სულ არ მეთქვა არაფერი
ანდა ყველაფერი მეთქვა...
არას იტყვის — ქვას გესვრის და,
მეტს თუ იტყვის, გესვრის მეტ ქვას!
...არაფერი მეთქვა ნეტა,
ანდა ყველაფერი მეთქვა...

ისევ ის...

იმდენი მაქვს მოსასწრები,
მეც მჭირდება მოსეს წლები!

ამ სურვილს თუ ნატვრას ჩემსას
ვიმეორებ გამუდმებით,
და სულ მიჭაღარავდება —
ვატყობ — ამის გამო თმები...

* * *

თუ უნახავს ვინმეს უფლის
გენიალურ შუბლზე ოფლი...
თუ უნახავს ვინმეს უფლის
ულამაზეს თვალზე ცრემლი...
...მენატრება, მენანება
სიამაყე ამა სოფლის —
ჩუმი, მშვიდი ღიმილები
მაცხოვრის და ნათლისმცემლის...

აგდაუგდა სიყვარულის თემაზე

სიყვარული ჭლექია! სიყვარული ცოფია!
უკურნელი სენია — სიყვარულოფობია!
ის დრო არის — სიცოცხლეს სიკვდილი რომ ჯობია!
ხოხობს დამიზნებული გატენილი თოფია!
სიყვარული ცოფია! სიყვარული ჭლექია!
სანახევროდ — ბრძენია! სანახევროდ — შლეგია!
ქალის გამტაცებელი მეშარია ლეკია!

ხან — ტკბილი გალობაა, ხან — მწარე ელეგია!
სიყვარული — სნუკერი! ჩაუყრელი შარები!
აქეთ — თავხედები და იქეთ — მეტიჩარები!
დღეს რომ კლერკის სკამია, ხვალ — სამეფო ტახტია!
უფლის ხელმოწერილი — უკვდავების **აქტია!**
სიყვარული მხედარი და იმისი ცხენია!
ხან — ცნობილი ბრიყვია, ხან — უცნობი გენია!
სიხარულით ეცვლება, რაც ოდესმე ტკენია!
თურმე სხვისი ყოფილა, რომ გეგონა — შენია...
შამპანურის წვეთია, ციანმჟავას შხამია!
ხშირად — საუკუნეა, ზოგჯერ — მხოლოდ წამია...

ნაჩქარევს და ნამთვრალევს —
ზერელეს და ამორფულს —
გაბრაზებულს რატომღაც —
ბევრს ნუ მოსთხოვთ ამ ოპუსს...

ლექსპრომტი ჩემს ალტერ ეგოს

— მე სარკეში ჩავიხედე,
შე ჩემის ნახევარო! —
ქუდი გვერდზე დამიხურავს —
ამპარტავანს ვგევარო!
შენ მე მყავხარ შობის დღიდან,
მე კიდე შენ გყევარო!
შე სულელო,
შე ჭკვიანო,
შე ჩემის ნახევარო!

დაწყვეტილი სერპანტინი

ლექსპრომტი მთავარი პაემანის თემაზე

— ყველას, წასულებს ვინც გლოვობს,
ვუხსნი რამდენი ხანია:
სიკვდილი, ჩემო კარგებო,
მთავარი პაემანია!

ამერიკის სახელმწიფო მდივნის ქება

ამერიკელი **ჯონ კერი** —
დიპლომატიის **ჯოკერი!**

* * *

— პროტექციონისტული
დამოკიდებულება
მომწონს! რა ვქნა, ძვირფასო —
ასეთი მაქვს ბუნება!

* * *

როგორც წესი, ქალი ყველა —
ან მარინა, ან თეა,
ან თამრიკო, ან ირინა —
ან იწვის, ან ანთია...

* * *

— აქეთ — რუსთველი!
იქეთ — ფშაველა!
იქეთ — აკაკი!
აქეთ — ილია...
როგორც არ უნდა გვეწყინოს, ძმებო,
უკვდავების გზა ჩაკეტილია...

* * *

— ცრემლი რატომ არ დაღვარა,
ცრემლი რატომ დაიგუბა! —
სწორედ იმ დაგუბებული
ცრემლის გამო დაიღუპა...

* * *

ჯვარს თავის ნებით რომ ეცვა —
ასეთი — ერთი ხომ მეც ვარ...

* * *

...ღამე წუხელაც გაათენა! —
დარდი კომპიუტერს გაატანა...

ყურმოკრული

— მომირჩენთ კიბოს?
— კი, ბოს!

24.IV.2016. ბზობა

— ოთხმოცდასამიგზობა
ხომ მოვესწარი ბზობას!

* * *

...ამამღვრია დეკოლტემ...
მერე უცებ წამიც და...
არა, არც მიფიქრია —
ხელი მისით წამიცდა...

* * *

მადლობა ღმერთს, **ღმერთს არა აქვს**
შერჩევითი სამართალი...

* * *

ერთი კარგად დააკვირდით
ჩვენი ქუჩის ორ სულელს —
გაგიჟდებით, ერთმანეთი
როგორ დააორსულეს!

ბაბუ

— ნერვებაშლილს, გადაღლილს
და საჩხუბრად ალესილს
რა იოლად გამშვიდებს
შვილთაშვილის ალერსი...

* * *

ცა — უფლის გადასახედი!
სიცოცხლე — გადასახადი...

სამსახურებრივი რომანი

— მოახერხა შეფმა
თავის მდივნის შებმა!

კორუმპირებული ლექსპრომტი

განაჩენი გამოიტანა! —
ჯიბე ფულით გამოიტენა!

!
— საით ქალაქო! საცოდავო!
საით, კულტურავ!
საით, ერო!
სანამ აპირებ ასე ჩერჩეტს
პოეტო — აუტსაიდერო!

* * *

— რაც გინდა, ქენი! — გაგიჟდი,
თავი სულ კედლებს ახალე! —
ისე დაძველდა ცხოვრება,
ვეღარც შენ დაწერ ახალ ლექსს...

* * *

— როგორ უნდა მოვიკლათ —
იცი ალბათ — დარდი! —
ეგერაა კარტი და აგერაა ნარდი!

ვიკილექსი

ტარიელს ტარიელისაგან იცავს ქაჯი

*

კი, მეც მიფიქრია ასე, გვაზავასავით! ჩემი მთავარი ფიქრი — გვიანდელი ფიქრია.

ჩემი გონსგადასული პასკვილანტებიც კი დამეთანხმებიან, რომ რუსთაველი ჩემი უფროა, ვინემ გვაზავების!

რუსთაველს მოვლილი აქვს ყველა ჰარამხანა და ბორდელი.

როსკიპო, ბოზო დიაცო, საქმრო რად მოაკვლევინე! — რუსთაველს არ უწერია ეს?

მე ვიყავი მისი ნეზვი, იგი იყო ჩემი ვაცი,
კაცსა დასვრის უგულობა და დიაცსა ბოზი ნაცი!

ესეც რუსთაველი არაა?

აი, ეს კაცი ჩვენ, არიფებს, **შეფარვით** გვეუბნება ბევრ ისეთ რამეს, რასაც სხვა ალბათ არ გვეტყოდა! ტარიელი მისსა რუსთველსა იცნობს გვაზავებზე კარგად!

რუსთაველს მოვლილი აქვს ყველა ტელეარხი, ნამყოფია ყველა რადიოში, იცის უკეთესი და უარესი გაზეთების გარჩევა. ის, რაც „ჩემს სეხნიას“ — ტარიელს „დავწამე“, რუსთაველმა **ფარულად, მოიარებით** იფიქრა და დაწერა ჩემი ჭკუის ადამიანებისთვის! გვაზავასნაირებისთვის — სტანდარტების ხალხისთვის — არ დაუწერია!

ამიტომ მართალია გვაზავა, რასაც მე „მაბრალებს“, და მეც მართალი ვარ გვაზავასთან, რადგან მე რუსთაველის „პროექტის“ მხარეს ვარ!

შეფარვითო!.. მაინც, ვის „ემალება“ რუსთაველი! გვაზავას! გვაზავებს! სტანდარტის ადამიანებს, რომელთ-ათვისაც ყოველგვარი ნოვაცია ცოდვაა, გაუგებრობაა, მიუღებელი რაღაცაა...

სხვათა შორის, ადრე მეც მიფიქრია გვაზავასავით. ეტყობა, გვაზავას არა აქვს წაკითხული ჩემი ლექსები. მე ამის გამო მადლობის მეტი არაფერი მეთქმის — რომ წაეკითხა, ალბათ ჩემი პასკვილანტების მხარეზე აღმოჩნდებოდა და ისიც დამაყრიდა ქოქოლას! ჰო, ალბათ წაკითხული არა აქვს ჩემი „წიგნი ტარიელისა ასმათთან მიწერილი“. მინდა, წავაკითხო ეს ლექსი:

წიგნი ტარიელისა ასმათთან მიწერილი

ჭიქა ჩაი — ხმელა პურით და ალუბლის სამი კურკით...
გამოუცნობ ღიმილით და
სკამზე გადაფენილ ქურქით —
სულ მახსოვხარ —
ხსოვნას ჩვენსას აზრი გააჩნია თუკი!
ხან — მაბრმავებს, ხან — უბრალოდ —
გზას მინათებს მე ის შუქი!

„ჩოლკა“ შენი მომენატრა —
შუბლზე ჩამოშლილი თმანი!
ის ლაბადა, ის ბეჭედი, ის ხელჩანთა, ის პორტმანი!
შენ რომ გძულდა — „ჰალიგალი!“
რომ გიყვარდა — „მანი-მანი!“
ერთიც — სულ სხვა გატაცება (არაა აქ მოსატანი),

გემო მიყვარს მაგ ღიმილის,
შუქი მომწონს მაგ მურაბის.
ჟრუანტელი აქეთ-იქით იდუმალად ჩაჭრილ კაბის...
თვალთვალი და ავი სიტყვა ჩასაფრებულ იმ როკაპის...
სასწაული ხელის გულზე დადებული წყვილი აბის...

თვალი შენი — განა შავი — უფრო მეტად თითქო ბაცი...
ღრმა ფიქრი და იმ ფიქრზედაც
მწუხარე და ღრმა ნაფაზი!
ხმა გაქვს, როგორც ყველა მწეველს —
შეგიძლია, გვითხრა ბასი!
დისაგანცა უფრო დესო, სხვა ვინა ყავთ შენი ფასი!

გაგაჩინა ღმერთმა მონად.
გაგაჩინა ღმერთმა მხევლად.
საქართველოს მიერა ხარ აყვანილი ტარიგ მძევლად...
ნუ ახრჩოლებ მაგ „მარლბოროს“
და ნურც „ნაპოლეონს“ წრუპავ —
ჩემი აზრით, არ ვარგიხარ
არცა მსმელად, არცა მწევლად...

რას გიშველის ყაისნაღი, ანდა შენი ჯადო ნემსი,
ეს ოხერი, როცა თავად ცხოვრებაა დასაკემსი!
არ აგიხდა — ვერ ისხურე
ლამაზ შუბლზე წყალი ტემზის!
ვერც ქვეყანა დააპურე ხუთი პურით, ორი თევზით...

შენი თმები — ფარად მსურდა,
შენი ცრემლი — აიაზმად!
ლელვი! გახსოვს? —
ეს ცხოვრება არ ღირს იმ ლელვების აცმად.
მენანება ის წარსული —
რა ბრიყვულად დავრჩით და-ძმად...
ის საღამო მომიკითხე და ის მთვარე, დაო ასმათ...

ჩემი ლექსები რომ ჰქონდეს ბატონ გვაზავას წაკითხული, ეს ლექსიც ეცოდინებოდა:

→

წიგნი ტარიელისა ასმათის პასუხად მიწერილი

გაძვირდა ახლა სილამაზე — პომადა, ბასმა!
პომადის, ბასმის —
შენ არ გიყვარს არც ერთის წასმა...
მშვენიერებას — გულის გულში რომელიც ღვივის —
იმ სილამაზეს ვენაცვალე მე შენსას. ასმათ!

ხამს, გიგალობოს პოეტების დასმა და დასმა!
ერთი მათგანი — მონა შენი — მეცა ვარ, ასმათ!
რა უნდა ვქნა მე! რა სიკეთე! რაც არ უნდა ვქნა,
ერთის მაგიერ შენ სიკეთეს მომაგებ ასმაგს!

ცვლა დღეღამისა ჰგავს
ქართული ცეკვის დროს გასმას...
ცვლა ცრემლისა და ღიმილისა გიხდება, ასმათ!
მომწონხარ ისე, ისე, ისე... მიყვარხარ ისე...
და ვუშვერ ხელებს ცრემლებს შენსას — ჩემს აიაზმას.

ვიგონებ ახლა ჩემს ავთანდილს, ვიგონებ ფრიდონს...
ვიგონებ ფატმანს. ფატმანისას — ვიგონებ პრიტონს...
გიგ ზავნი წიგნებს, შენ რომ გიყვარს —
პოეტებს შენსას:
გოტფრიდ ბენს, რილკეს,
ხუან რამონ ხიმენესს, ბრეტონს...

ასე მგონია, გვიღალატა ჰაერში შასმა
და სიკვდილს ერთად ვეგებებით, ძვირფასო ასმათ...

მოგვიანებით კიდევ ერთხელ დაიბეჭდა ეს ლექსი იმიტომ მხოლოდ, რომ ასეთი სტრიქონი გაჩენილიყო ლექსში:

რა იყო მაინც, როგორ დავრჩით ბოლომდე და-ძმად...

ამის შემდეგ დაიბეჭდა ის, რის გამოც მიხდება თავის მართლება ბატონი გვაზავას წინაშე!

ორ კაცთან ნაწოლ თამარ მეფეზე რა აზრისა ვართ ჩვენ, სტანდარდის მოყვარულები! როგორ მოვიქცეთ, ჩამოვწეროთ დიდი თამარი? — მარგველაშვილივით!

გვაზავას სასიყვარულო სტანდარტის მიღებისთანავე წესით უნდა დაიშალოს ყველა ორნაქმარევი თუ ორნაცოლევი ადამიანის ოჯახი! კითხოს ბატონმა გვაზავამ ბრწყინვალე პოეტს, თამარ ჯავახიშვილს — ჭაბუა ამირეჯიბის მესამე ცოლს, როგორი უცნაური და უსაზღვრო იყო მისი და ჭაბუას სიყვარული და ერთგულება!

მოკლედ, ბატონი გვაზავას სტანდარტი გადასახედია!

გვაზავას თუ დავუჯერებთ, ჩემი ლექსი იმის თაობაზე, რომ **ყველა სიყვარული პირველია,** უმაღლესი ცოდვის მატარებელი აზრია...

რუსთაველს ფროიდიც წაკითხული აქვს, იუნგიც, უზნაძეც... იგი ეხმარება სტანდარტის მოყვარულ მკითხველს, ზრდის მას, ამძაფრებს მის ფანტაზიას, ხდის მას მაძიებელს, ოღონდ მას ეშინია მომავალი გვაზავების, და იმას, რაც ზემოთ ითქვა, აკეთებს **შეფარვით (შეფარვით მითქვამს, მიქია).**

ნუ დარდობს ჩემს „შეცდომას“ და ცოდვას — ყველაზე ცუდი რამ, რაც ჩემს მკრეხელობას შეიძლება მოყვეს, იქნება ის, რომ გვარიანად გაიზრდება ვეფხისტყაოსნის მკითხველთა ინტერესი და რიცხვი.

(რაც შეეხება ჩვენს შორის — ჩემსა და გვაზავას შორის მტყუანისა და მართლის გარჩევას — ეს აი, იმ კარგ მკითხველებს ნაღდად არ გაუჭირდებათ). გვაზავებს უყვართ, მაგრამ ცხოვრებას უყვარს სტანდარტი? 94 წლის ჭაბუა ამირეჯიბი ამორალური პიროვნებაა? — რა საჭირო იყო ეს სამი ცოლი და ამდენი შვილი!

პაატა შამუგია უნიჭოა და თვითონ ნიჭიერი, არა? მერედა, ამ ნიჭიერებას საბუთი არ სჭირდება? და ეს საბუთი ჩემი ლანძღვაა? ჩემი დამცირება?

ჩემი პასკვილანტების ხელის ბიჭივით იქცევა ბატონი გვაზავა, და ეს მიუხედავად იმისა, იცნობს ჩემს პასკვილანტებს თუ არა!

იყო თუ არა ცენზურა მეთორმეტე საუკუნის საქართველოში?! რა თქმა უნდა, იყო. ამიტომ ჰქონდა რუსთაველს იარაღად **შეფარვით** თქმის ხელოვნება!

ბატონი გვაზავა მე მომიხსენიებს, როგორც ცნობილს!

რუსთაველი არ იყო **ცნობილი!** მისი თანამედროვე ყველა მეტნაკლებად მნიშვნელოვანი თავადი ცნობილია ჩვენთვის, და მაინცა და მაინც გენიალური რუსთაველის შესახებ არ ვიცით არაფერი...

არ არის ეს საინტერესო?!.

ვინ შეიძლება, კრიჭაში დგომოდა თავის თანამედროვეებთან შედარებით ათასი წლის წინ წასულ გენიოსს! ვინც საქართველოს ისტორიას ასე თუ ისე იცნობს, მისთვის კარგადაა ეს ცნობილი!

ქვეტექსტი. მეტაფორა. იგავი. მოიარებით თქმული...

რა დააშავა **შეფარვით თქმამ!** არ ჰქონდა ამის უფლება? სუპერ-ნოვატორი შემოქმედებისთვის სტანდარტი კანონი ვერ იქნება! ასე რომ, ვეფხისტყაოსანი არც ისე იოლი ტექსტია, როგორც ეს ზოგზოგებს მოჩვენებიათ!

მოკლედ, ბატონი გვაზავა ქართულ კულტურასა და მის მორალს მთლად სწორი არგუმენტებით ვერ იცავს...

ცეკვა ქართული! — ჭეშმარიტი შედევრი ქართული ხალხური ქორეოგრაფიის! მაგრამ სხვა ცეკვები არ უნახავს ბატონ გვაზავას? — აწყვეტილი ვნებებისაგან შექმნილი სასწაულები! რას ვერჩით 90 წლის მოხუცს, თავის თანამეცხედრესთან ერთად რომ შესრულდა ამ ასაკის! უნდა ვაგებინოთ თუ არა პასუხი იმისთვის, რომ მეუღლის უერთგულესი ეს მამაკაცი იმ თავის ოთხმოცდაათი წლის მანძილზე შვიდ ქალთან წოლილა, და ეს მშვენივრად იცის მისმა ცოლმა...

რუსთაველმა იცის, რომ სტანდარტის დაკანონება მოსპობს მსოფლიო შედევრებს — სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ამიტომ, რასაც ხმამაღლა არ ამბობს, იგი ყურში ჩაგვჩურჩულებს შეფარვით... ამის გაგება და მიხვედრა ცოდვად გვეთვლება **უკეთეს მკითხველებს?** კი ბატონო! დავუჯეროთ გვაზავას, და რუსთაველის ვირტუალური რეპლიკა ვითომც არ გაგვიგონია...

რუსთაველს არაფერი უმტკიცებია — მან შექმნა სიტუაცია, სადაც **შეფარვით** ბევრ რამეზე შეიძლება ფიქრი! ეს ფიქრი არაა მკრეხელობა, ეს ფიქრი — ცხოვრების ნაკარნახევი ფიქრია! გონიერი მკითხველი არ მოყვება მტკიცებას, გინდა თუ არა, ტარიელი და ასმათი ერთად იწვნენო! იგი, უბრალოდ, **შეფარვით,** წარმოიდგენს, დაუშვებს იმას, რაც გვაზავას მკრეხელობად მიაჩნია!

რა, არ შეეძლო რუსთაველს, ტარიელსა და ასმათს შორიშორ მყოფებს ეცხოვრათ, და ერთმანეთი ენახათ არა უსათუოდ შუაღამისას ერთ ოთახში — გამოქვაბულში, არამედ ყოფილიყვნენ, ასე ვთქვათ, კარგი ახლობლები და მეზობლები! — ერთი — ამ სახლში, მეორე — იმ სახლში! გაუჭირდებოდა ამის ასე თქმა გენიალურ პოეტ-რომანისტს?

ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებსო, ბრძანებს ერთგან რუსთაველი. თავადაც ბევრ დაფარულ საქმეს აცხადებს იგი, ოღონდ აკეთებს ამას მკითხველთა ერთი ნაწილისთვის, აკეთებს მეტაფორის ენაზე, იგავის ენაზე — სწორედ ზოგიერთებისთვის გასაგებ ენაზე!

მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქიაო...

ასე შეფარვით თქმული არაფერი შეგხვედრიათ ვეფხისტყაოსანში? ასე შეფარვით აქვს მას მინიშნებული იმაზე, რაზეც მე ვთქვი! ცოდვად მეთვლება რუსთაველის სწორად წაკითხვა?

კიდევ რამდენი რამ უთქვამს ბრძენკაცს შეფარვით, ვიცით?

აი, ამ შეფარვით თქმულსაც რომ „კითხულობს“, ის არის ნამდვილი მკითხველი!

უნდა შევთანხმდეთ: მკითხველი ორნაირია — კარგი და ცუდი! გვაზავა ცუდი მკითხველების წარმომადგენელია!

გენიალური! გენიოსი! — არ არის ეს ეპითეტი საკმარისი რუსთაველისთვის. კიდევ ერთხელ წავიკითხე გუშინ მისი წიგნი! — სასწაული! დაუჯერებელი! უცნაური! მთლად შენი! ისე უბრალო! ისე ლამაზი! ისე რთული! ისე დაუჯერებელი... არა, ნამდვილად არ კმარა რუსთაველის დასახასიათებლად „გენიოსი!“ ნამდვილად რაღაცით მეტია იგი გენიოსზე... მაინც რით? მე ეს არ ვიცი! ეს გენიოსებმა იციან, მაგრამ ისინი ამას არ იტყვიან! მათ არ სიამოვნებთ, რომ ვიღაც მათზე — გენიოსებზე — მეტია...

რუსთაველი ანგარიშს უწევს მმართველ რელიგიურ-იდეოლოგიურ სტანდარტს, მაგრამ ეს ხელს არ უშლის მას, ჭეშმარიტ მკითხველს **შეფარვით** მაინც მიანიშნოს ზოგიერთ რამეზე, რასაც, ჩვეულებრივ, ტაბუ ადევს. მისთვის მთავარი — გონიერი, საინტერესო, ყოვლისმცოდნე, გამგები მკითხველია, და შეფარვით სწორედ მას მიმართავს, მას აწვდის „ფარულ“ ინფორმაციას ზოგიერთ ფაქტსა და ადამიანზე. იგი ანგარიშს უწევს ფროიდს, იუნგს და კომპანიას, რომელთა წიგნებიც დაწერამდე აქვს წაკითხული, და მკითხველს „ფარულად“ მიანიშნებს და ასწავლის, როგორ უნდა წაიკითხოს მის პოემა-რომანში ზოგი რამ!

ეს უკვირს იმ წერილის ავტორს, და არ მიკვირს მე, ტარიელს... ტარიელ მისსა რუსთველსაო, რომ წერია იმ წიგნში, ეს მეც მეხება — მე მკითხველების ტარიელი ვარ! ასე რომ, ტყუილა ჰგონია გვაზავას, ჩემზე კარგად ჰქონდეს წაკითხული ვეფხისტყაოსანი!

სხვისი „პენისის“ თემაზე

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (21.IV.2016) „ცინცხალი ანეკდოტების“ რუბრიკაში ერთი ასეთი „იუმორიც“ არის დაბეჭდილი:

„რაც უფრო დიდხანს ცოცხლობ, მით უფრო მეტად რწმუნდები, რომ პენისია პენისისგან არის წარმოქმნილი“.

მკითხველს უნდა მოვაგონო ჩემი ერთი ორსტრიქონიანი „დაწყვეტილი სერპანტინის“ ციკლიდან:

რაღაცა მომცეს. მეგონა პენსია.
გავსინჯე კარგად — თურმე ***პენისია!***

შე კაი ადამიანო (არ ვიცი, „იუმორის“ ავტორი ქალია თუ კაცი!), რად გინდა ეს სხვისი „პენისი“, რაღაცა შენით მოიგონე! არა, პლაგიატის გამო არავითარი საფრთხე არ გემუქრება, ცხადია — ხომ არ გიჩივლებენ, „პენისი“ ჩვენი იყოო! მაგრამ თუ ასე გააგრძელე და შენი და სხვისი ერთმანეთში აურიე, ნამდვილად გაილანძღები!

აღარ იფიქრო! — დაიკიდე!

სხვა ფაქტიც გავიხსენო უნდა ბარემ ერთი.

წლების წინათ ორსტრიქონიანი სალაღობო „ლექსი“ დავბეჭდე ერთი:

ბარათაშვილზე დაწერილმა გამოკვლევებმა
დაადასტურეს კრიტიკოსის გამოკვლევება!

აი, ამ „გამოკვლევებას“, „გამოკვლევებულებს“ ატრიალებს ერთი კარგი ადამიანი და მწერალი გაზეთ „ასავალ-დასავალში“:

„მე „ენდიაი“ უკვე გამოვიკვლიე და გეტყვით, რომ უფრო **გამოკვლევებული** ორგანიზაცია ჯერ არ მინახავს. ასეთი **გამოკვლევება,** რაც „ენდიაის“ აქაურ წარმომადგენლობას სჭირს, დედამიწის ზურგზე, არსად მინახავს. სად აღარ ვიკვლიე და ბოლოს გამოვიკვლიე, რომ იგი გამოკვლევებულთა შორის პირველ ადგილზეა, მსოფლიო ჩემპიონია“.

ვერაფერს იზამ. საავტორო უფლებისათვის ბრძოლას აზრი არა აქვს, ეს, როგორც ჩანს, სახალხო ჟანრია — შენ იტყვი თუ ის, შენ დაწერ თუ ის, როგორც ჩანს, სულერთია!

კაი, ბატონო იყოს ასე!

(სხვათა შორის, „დედამოტ...ლის“ ნაცვლად „დედამოკლულიც“ მე ვიხმარე პირველად! რა მერე, შენ გაასწორებ ამ დედამოკლულ ქვეყანას?).

ჭკვიანი რითმების ლექსიკონი. გაგრძელება:

წოლის — ცოლის

რა თქმა უნდა, ცოლს წოლის გარდა სხვა საქმეც ბევრი აქვს, მაგრამ... აზრის დასრულება არ გაგიჭირდებათ.

ეყვარები — ეყვერები

ვიცი, მკითხველს არ გაუჭირდება სიყვარულისა და ყველა დანარჩენის ერთმანეთთან დაკავშირება. ასე რომ, ამ სარითმო წყვილსაც აქვს თავისი ლოგიკა. ლოგიკა და ჭკუა რამ გაყო!

რაკეტა — რეკეტი

რაკეტას ვისზე და რაზე ნაკლებ შეუძლია რეკეტის გამოწვევა!

სიტყვა — სეტყვა

ისე, სეტყვა სიტყვასთან ვერც მივა!

ლორანი — ლორენი

ორი დიდი სახელი (პარდონ — გვარი!).

ზურაბ
ლავრელაშვილი

დასასრული

მართა მცირედ გაწითლდა. ბერიკაცი ალბათ მშვენივრად ხვდება, ახალგაზრდა ფროილაინი აქ რისთვის მოსულიყო... კრთომა რომ დაეძლია, თავი დახარა და დარცხვენილმა წაიბურტყუნა:

გმადლობთ, ჰერ!

სახლის პატრონმა დამცინავი ღიმილით გააცილა. ყოველ შემთხვევაში, ასე ეგონა მართას, ვიდრე მკერდზე ხელმიჭდობილი (თითქოს ასთმიანი იყო!) ახლადმორეცხილი ხის კიბით მეორე სართულზე ადიოდა. დერეფანში ბინდი იყო. მართა ფრთხილად მიიწევდა წინ, თითქოს წყლის პირზე ინაცვლებდა ნაბიჯს და წინასწარ ამოწმებდა, ფეხი სად დაედგა და მიუხედავად იმისა, რომ ფეხსაცმლის ლანჩის ქვეშ გამხმარი იატაკი ჭრაჭუნებდა, მაინც ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს თავთხელში ჩაყრილ ქვებზე ხტომა-ხტომით გადადიოდა ჭორომს, რომლის იქითაც გაღმა ნაპირი იყო... აი, ისიც, ნომერი ცამეტი! ცალ ლურსმანზე თითბრის ოვალური ფირფიტა კონწიალებდა და ბინდში ცივად ელვარებდა. მართა ყურადღებით დააკვირდა, მაგრამ საეჭვო ვერაფერი შენიშნა: ფირფიტა პატიოსნად ეკიდა ლურსმანზე, რიცხვი ცამეტიც იგივე იყო... სახელურს თითები შეახო. კარი შეიღო. ოთახში ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. რაინჰარდტს ალბათ ეძინა. მაშ, მოულოდნელად წაადგება თავს! რარიგ გაიხარებს რაინჰარდტი, სატრფოს რომ უცებ დაინახავს!

„მართა, შენ ხარ? მოხვედი, სულო?" — ჰკითხავს და ღონიერ მკლავებს მოხვევს.

პირდაპირ, კედელზე, ოთხკუთხა დიდი სარკე ეკიდა, რომელიც ადრე არ ენახა, ნუთუ რაინჰარდტმა ახალი ავეჯი იყიდა? დგამიც ეუცნაურა. წინკარში დაბალი კომოდიც იდგა და ზედ ძველი ჟურნალები ეყარა. უცნაურია!.. ფრთხილად მიიხურა ზურგსუკან კარი და ფეხის წვერებზე გაიარა წინკარი, ოთახში შეიჭვრიტა. რაინჰარდტს ეძინა. საბანი წაეხურა თავზე და მორგვივით მიჰყუდებოდა თეთრად შეფეთქილ კედელს. მართას თვალები აუჟუჟუნდა, ბაგეზე ცუღლუტური ღიმილი დააჩნდა და უხმაუროდ მიირბინა საწოლთან, საბანს დასწვდა და მწოლიარეს გადააძრო.

— რაინჰარდტ!

მაგრამ ლოგინზე რაინჰარდტი არ იწვა. ის უცხო იყო, თან უცნაური. მართას შიშმა გული გაუყინა, ხელის ფათურით ისევ წინკარში გავარდა და სარკეს მიაწყდა. ახლა სარკეღა იყო ერთადერთი მაშველი. მქრქალ-ვერცხლისფერ ზედაპირს იქით თოვლიანი ველი და ძელური ქოხი ჩანდა. დამფრთხალმა მართამ თოვლში ისკუპა და ძელურისკენ გაიქცა. საკვამურიდან ბოლი ამოდიოდა. ქოხთან მიირბინა და კარზე დააბრახუნა. არავინ გამოეპასუხა. მართამ კარი ლამის შეგლიჯა და ზურგსუკან კანკალით გადარაზა. სიბნელისთვის თვალის შეჩვევა ჯერ გაუძნელდა. ქოხში თბილოდა და რაღაც მწკლარტე სუნი იყნოსებოდა. მერე მოფუთფუთე იატაკი დაინახა — ტარაკნები ჯგროდ დარბოდნენ და ზიმზიმებდნენ ისედაც ჩაშავებულ მიწურზე. როგორც ჩანს, ეს აბანო იყო: ღუმელი გაეხურებინათ და სქელი ოხშივარი სახურავქვეშ ბრუნავდა. მართა მყისვე გაოფლიანდა. ჯუბა გაიძრო, საკინძე გაიხსნა. ტარაკანებს ფრთხილად აუარა გვერდი და დაბალი კარი გამოაღო... ჰო, აბანო იყო, ოღონდ იქ არავინ ჩანდა. მართას უცებ სურვილმა წამოუარა ებანავა, კაბა გაიძრო და ვარცლში ჩადგა...

ოხშივარი უფროდაუფრო მატულობდა. ეტყობა, ვიღაც უხილავი მძლავრად ახურებდა ღუმელს და სიცხის ბუღიც აბანოს ჯოჯოხეთურად აცხელებდა. მართას მთლად აუვარდისფრდა კანი. ძლივს სუნთქავდა, მაინც ისხამდა და ისხამდა ლამის მდუღარე წყალს, აქივლებდა, კინაღამ დაიფუფქა, თვალები ებინდებოდა... ვარცლიდან ბრმასავით გადმოვიდა და მაშინღა ამოისუნთქა. სველი თმა ორივე ხელით გადაიყარა უკან, როცა ზურგიდან ვიღაცის მკლავები შემოეჭდო მკერდზე.

— რაინჰარდტ, შენ ხარ?

ქირქილი გაისმა. მართას გააცია, გასხლტა და აბანოდან ქოხში გავარდა. იატაკზე მოფუთფუთე ტარაკანებს აღარ ერიდებოდა, შიშველი ფეხისგულებით სრესდა.. ტარაკანები ტკაცუნით სკდებოდნენ, მაგრამ მართას უფრო მეტად ჰქონდა გული გასკდომაზე... რაზაზე ხელწავლებულმა წამით მოიხედა და შეჰკივლა: ქოხის კედელზე რაინჰარდტი ეკიდა, უსიცოცხლო, მომჩვარული, მკერდზე თავჩამოგდებული, ფეხის ფრჩხილებიდან სისხლი წვეთავდა.. სწორედ სისხლის მოტკბო სუნი იყო, ქოხში რომ იყნოსებოდა... მართას თვალთ დაუბნელდა და ძირს გაიშხლართა. აღარ უგრძვნია, როგორ მიუახლოვდა ვიღაცის ლანდი და ზედ წაადგა..

* * *

— კიდევ იცელქე, ბრომი?

ქამარმა გაიზუზუნა და ბრომს დუნდულზე გადაეჭირა. ბრომი აზმუვლდა, ტკივილს გაერიდა, კუთხეში მიიყუჟა. სახლის პატრონი კი დაიხარა და უსიცოცხლო სხეული გადმოაბრუნა. მართას თვალები ღია დარჩენოდა.

— იცოდე, ეს ბოლოა, ბრომი! ვერ გადამირჩები.

ბერიკაცმა სარკე ფრთხილად ჩამოხსნა და შენიღბული კარი გამოაჩინა. მერე გვამი აიტატა, კარი ფეხისკვრით შეაღო და აშმორებულ ოთახში შეიტანა, სადაც უკვე დამპალი ჩონჩხები ელაგა. მართას ცხედარი ძვლების გროვას გვერდით მიუწვინა და კარი გამოიხურა. ბრომი წინკარში იდგა და თვალს უკეთურად აელვებდა. დაკრეჭილი კბილებიდან დუჟი მოსდიოდა. კლანჭისებური თითებით ნატკენ ბარძაყს იამებდა და თან ხბოსავით ზმუოდა.

— ვერ გადამირჩები, ბრომი, — მკაცრად უთხრა ბერიკაცმა და მუშტი მოუღერა, — აბა, მითხარი, ფროილაინი რად მოკალი?

— მჰაა... — წაიზმუვლა ბრომიმ და კლანჭისებური თითი მკერდზე მიიდო, ვითომ მე კი არ მოვკალი, ფროილაინს გული გაუსკდაო...

— წადი, დაწექი! — უბრძანა ბერიკაცმა, კარი გააღო, ჯიბიდან გასაღები ამოაძვრინა და კარი გარედან საგულდაგულოდ ჩაკეტა. მერე თითით ჩამოვარდნილი თითბრის ფირფიტა ისე გაასწორა, რომ საწყის მდგომარეობაში დაებრუნებინა. ფირფიტაზე ახლა რიცხვი — 31 — იკითხებოდა...

მსჯავრი

ფიფქები ნელა ცვიოდა და მიწის პირს ჩუმად ეფინებოდა. სითეთრეში ისმოდა ოდნავი სუნთქვა, თითქოს ვიღაც დუმილის გაფხაჭნას ცდილობდა.

ანდრეამ ცხენი შეაყენა და მაღლობიდან ღარტაფს გადახედა. თოვლში გასუდრული სოფელი თვლემდა. სოფელს მოშორებით, კორტოხზე, გოროზად აღმართულიყო ბარონის ციხე-სიმაგრე.

„სძინავთ, — გაიფიქრა ანდრეამ, — ჯერ როდი იციან, რომ..."

უბეში გაკეცილი ქაღალდი მოსინჯა და თითქოს მის თვალწინ აალდა განაჩენის სიტყვები. გადავადება რომ შეეძლოს! ანდრეა ფრთხილად დაეშვა მაღლობიდან. ცხენი ნელა მიჰყავდა. გამთენიისას ტყეში მყუდროება იყო, ისეთი, წუთით წყალსაც ჩასთვლემსო, რომ იტყვიან...

აღავღავებული ძაღლები ცხენს მისცვივდნენ, მაგრამ ანდრეამ მათრახით მოიგერია ისინი და ციხე-სიმაგრეს მიუახლოვდა. თხრილზე ხიდი აეწიათ და ანდრეასაც კარგა ხანს მოუხდა ყვირილი, სანამ ჩათბუნებული გუშაგი გოდლიდან გადმოხედავდა.

— რა ამბავია, ვინ ყვირის?

— პატაკი მოვიტანე.

— ბარონი შინ არ არის.

— უზენაესი ბრძანებაა.

ზემოთ ნაბიჯების ექო და ჯაჭვის ჩხრიალი მოისმა. თხრილზე ხიდი დაეშვა, თითქოს ბუმბერაზმა ხელი გამოიწოდაო. ანდრეამ ხიდი გადაიარა. ნამძინარევი გუშაგი კართან ელოდა.

— ვინმე უფროსთან მიმიყვანე, — სთხოვა ანდრეამ.

— ბარონის ოჯახი მეზობელ სოფელშია წვეულებაზე, შინ არავინაა.

— დავიცდი, — დაიჟინა ანდრეამ, — პასუხი უნდა მომცენ.

გუშაგმა უკმაყოფილოდ მოიქექა ულვაში და ანდრეას წაუძღვა. თოვლიანი ეზო გაიარეს და შეჭირხლული წინკარით დარბაზში შევიდნენ. ანდრეა გააოცა დარბაზის სიდიდემ. უზარმაზარი თაღები ბინდში ჩაძირულიყო. გუშაგი ბუხართან ჩაცუცქდა და ნაღვერდალს ბერვა დაუწყო. ანდრეამ პაკეტი სასადილო მაგიდაზე დადო და ბუხართან ჩამოჯდა.

— გავალ, ცხენს მივხედავ, — გუშაგი წამოდგა და ჩექმების ბრახუნით კარისკენ გაემართა. დარბაზში ციოდა და ანდრეას ლამის გული გაეყინა. ხელისგულები ბუხარს მიუშვირა. სიცივე მაინც ძვალ-რბილში ატანდა. აქ რაღაც განსაკუთრებულად ყინავდა. ანდრეა წამოხტა და გაიარ-გამოიარა. დარბაზში ყრუდ გაისმოდა ნაბიჯის ექო. კედლებს გაუყვა და ხელი მოუფათურა, თითქოს სიმაგრეს უმოწმებდა. ჰო, ციხე-სიმაგრე მკვიდრად იყო ნაგები და ძალზე დასანანია, რომ უნდა განადგურდეს! უზენაეს ბრძანებას ვერ შეეწინააღმდეგები... კედლიდან ვიღაცის კვნესა თუ გმინვა მოესმა. ანდრეა შეკრთა. აკი გაეგონა, რომ ამნაირ ციხე-სიმაგრეების საძირკველში ხალხს ცოცხლად ატანდნენ. ახლაც ალბათ, ვიღაც კედელში ზის და ხსნას ელის. ანდრეას მოეჩვენა, რომ ცოცხლად დამარხულის შველა შეეძლო, უგლიმ ქვას თითები გაუსვა. ოხვრა თუ კვნესა შეწყდა. სამაგიეროდ, გარედან ცხენების ჭიხვინი და ძაღლების ყეფა მოისმა. ბარონი თუ დაბრუნდა წვეულებიდან...

ანდრეა უცებ შიშმა აიტანა. ვაითუ ბარონმა მაცნედ არ სცნოს! არადა თვითონ არაფერ შუაშია, მხოლოდ პატაკი მოიტანა. ხაფანგში მოხვედრილივით აწრიალდა, კედლის გასწვრივ დარბოდა და თავშესაფარს ეძებდა. გამწარებული ურტყამდა ხელს კედელს, სანამ კედელი არ გაიხსნა და ლუსკუმა არ გამოაჩინა. ანდრეამ ლუსკუმაში შეირბინა, არც უფიქრია, რომ იქ შეიძლება ვინმე ყოფილიყო. ლუსკუმა უხმოდ დაიხურა და ანდრეა სიბნელეში დარჩა. ტკივილი არ უგრძვნია, როცა ქვის აბჯარი ტანზე მჭიშნედ შემოერტყა და შებოჭა. უძრავად იჯდა, მაგრამ უხიფათოდ — აქ ვეღარავინ მოსწვდებოდა, ვეღარ ავნებდა, და ანდრეაც ჩუმად იცინოდა, ქირქილებდა, გული სიამით ეწურებოდა, როცა გარედან ხმაური ესმოდა, თავად კი საიმედოდ იყო უცხო თვალს მოფარებული, უჩინარი, ლამის უხორცო...

გულმოწყალება

ცნობილია, რომ დიოგენე, კინიკოსთა სკოლის დამააარსებელი და მათივე ღირსეული მოძღვარი, ათენის ქუჩებში დღისით ანთებული ფარნით დადიოდა. თუ მიზეზს ჰკითხავდნენ, ფილოსოფოსი მედიდურად მიუგებდა:

— ადამიანს ვეძებ!

და აჰა, ერთხელ ვიღაცამ ქვა ესროლა მოფარებულიდან და ფარანი გაუტეხა. განრისხებულმა ფილოსოფოსმა თვალი ჰკიდა უცნობს, რომელიც მახლობელი სახლის კედელს უკან გაუჩინარდა — ალბათ იმის იმედით, მისაგებელს დაუსხლტებოდა. ფილოსოფოსი ჯერაც ჯანმაგარი კაცი იყო, გზათა უკან წანნალით გამოჯეკილი და ამიტომაც უცნობს მყისვე დაედევნა, რომლის ქიტონის კალთებმაც ცხვირწინ გაიფრიალა. სადაცაა უნდა მისწეოდა, როცა დევნილი შემობრუნდა და ბრძენ მოძღვარს ცეცხლოვანი მზერა შეაგება. ფილოსოფოსი ადგილზევე გახევდა, თიხის ფარნის ნამტვრევი კი, ჯერ ისევ ხელში რომ ეჭირა და უცნობისათვის სროლას აპირებდა, შემართული მკლავიდან უღონოდ ჩამოუვარდა, თავი ჩაქინდრა და მკერდიდან მწარე გმინვა აღმოხდა. მიხვდა, თუ ვინ იდგა მის წინაშე და ვინ დაუმტვრია ფარანი, რომლის წყალობითაც ადამიანის პოვნას იმედოვნებდა: ჰო, ის იყო, მოწყალე ღმერთი, ამაო შრომისაგან რომ დაიხსნა იგი...

ციკლიდან: „ცისა და მიწის ბალადა“

დრო-ჟამი

გრძელმა ღამემ ხსოვნაც კი არ შეირჩინა
ცვარის, რამაც ერთხელ ძალა შეიძინა
და მოთრთვილა მთვარე — გულის სტუმარი.

ცვარი — მთვარეს შეწირული,
მაინც არის ზეციური —
მე მიწაზე მიდევს თავსასთუმალი!

ჩვენ ორს შუა ჩუმი ფრთებით შროშანის,
მიდის ჩვენად განკუთვნილი დრო-ჟამი.

როცა ლოცულობ...

მიტროპოლიტ ანტონ ბულუხიას

ქალაში ახლა ძეწნის კორომი მოჩანს —
მოკრძალებული საშემოდგომო ხონჩა.
დამშვენდა ბაღდათს გაღარიბებაც ფერის,
უზის კალთაში ხანისწყალი და მღერის.

იქვე — ფერდობი. ბროწეულების ცეცხლი.
ფერდობის თავზე — იფიქრებ, ბუდე მერცხლის —

გალავანია, შეხავსებული, ძველი,
მიზანშეცვლილი უფლის მზრუნველი ხელით.

რამდენ რაიმეს, რამდენ რაიმეს ისმენ
კაცი, როცა ხარ თვალგაქცეული ცისკენ.

მამა ზაბულონს ალალი ცრემლი მიაქვს.
დაკრძალვის წინა საპანაშვიდე დღეა.

საცაა მთები საღამურ ჩრდილებს დაყრის,
ლანდივით დადის ფეხაკრებილი ხალხი.

მეუფე ანტონ, ჭირისუფლობა შენი,
მამა ზაბულონს სამკაულივით შვენის.

გიჭირავს ხელში ზედაშით სავსე თასი
და ჯერ არ ვიცით ზიარი საფრთხის ფასი:

ზიარი საფრთხე... ზიარი ფიქრი ტვირთად...
ღია სამარე... ღია სამარის პირთან.

მიწის ჩაწევა თუ უეცარი ჩაშლა,
მარადისობის დაჭაშნიკებად დაგვრჩა.

ვინ, ვინ ისურვა, სულმა ისურვა ვისმა
და სასწაულით იმ დღეს ორთავე გვიხსნა.

გუშინდელ სიზმარს ახსნა მოელის როდის?! —
გვინდა თუ არა — მოდის! მოდის და მოდის!

პირდაპირ — არა! სათქმელს შორიდან ვუვლი —
ცრემლებს იტოვებს აჩვილებული გული.

როცა ლოცულობ, იმედის აბჯარს ვისხამ,
დავალ, დამყვება მერე კარგახანს ის ხმა.

ზოგჯერ ცაში ხარ, ზოგჯერ მიწაზე რჩები,
მხრებზე — ოლარი. ქედზე — ფაფარი — თმები.

ვიცი, დღემუდამ საკუთარ თავთან ომობ,
უფლის მორჩილო და თვინიერო ლომო.

* * *

ვარვარა რკინის უღელი,
გილიოტინის დანა;
კოშმარი ძილი წუხელის —
ღია თვალებით თანაც.

პირსახის მიამიტობა,
რამე ნელ-თბილი ცეცხლი;
თვალცრემლიანი მიტო ვარ —
ცხადშიც ვერაფერს ვერ ვცვლი.

* * *

ღიმილი — რაზე და რატომ, —
სიტკბოში სიმწარის შერევა;
თავთან რო დავრჩები მარტო,
მერევა, შიშები მერევა.

არ მოსვლა სჯობდა იქნებ,
ამიერ სოფლად — ვაგლახ მე;
ამ მტანჯველ, აბსტრაქტულ ფიქრებს,
ვასაგნებ, თვალდათვალ ვასაგნებ.

მსურს, წარმავალობით დამფრთხალს,
ჩემივე თავიდან ამოვხტე;
უარი — ჯოჯოხეთს — ზამთარს,
უარი — გაზაფხულს — სამოთხეს.



ზაალ ებანოიძე

იდუმალი წესრიგი

იდუმალი წესრიგი ჰარმონიას აშენებს,
ჰარმონია თანდათან ითარგმნება ლექსებად.
სიზმარ-სიზმარ დავდივარ — რასაც თვალი მაჩვენებს,
რასაც თვალი მაჩვენებს — გული ეალერსება.

ძნელი მოსამწყემსია ხშირად ხელოვანება,
ღაწვი მოგენამება — პატიებას იქით თხოვ;
დუმილს უნდა დაუთმონ სმენა მელომანებმა
და ტოტების ჩრდილები ნოტებივით იკითხონ.

ჩემი მესაიდუმლე ეს ღურღუნცი ტყე არის,
ჩემი სარკე მინდვრებში ჩაწოლილი ტბორია.
ფრინველივით დაფრთხება ზოგჯერ ფეხში ნიავი
და თვალებში ჩადგება მჩატე მელანქოლია.

ხშირად, როცა ოცნება სხვენზე აიბინადრებს
და გულხარბი ჭალები ჭარბად აიკვირტება,
ხელს გავშლი და ასეთ დროს ისეთ რამეს ვინატრებ,
ძილში რო ამისრულდეს, ცხადში გამიკვირდება.

აპრილია, ხელახლა ამოვდივარ შინდიდან,
ცისკენ ეს მერამდენედ ამამჩატა ბალახმაც;
მაინც ისე ვბერდები, მაინც ისე მივდივარ, —
ვერ შევძელი ზურგიდან ჩემი თავის დანახვა.

ჟრუანტელი აყვება თქორის წამომღერებას,
ღამდება და ჩირგვებზე ნაადრევი ნამია;
მკერდის ხიხინს მახსენებს ხეობების ხველება
და სხეულში ცხელება ხელმეორედ დამიარს.

ფეხაკრებით გამოდის ახლა მთები ნისლიდან —
ცისკენ აცურებულა მოქათქათე ქულები;
გალიგვებულ თითებით მკერდზე ღილებს ვიხსნი და
ბავშვობიდან დაჩაგრულ ჩემს თავს ვედიდგულები.

ხილულ უფერობაში რახანია ფრინავენ
ჭარბად მოჟრიამულე ფეროვანი ფრთოსნები;
ერთმანეთის თვალებში მზერა დავაბინავეთ
და დაკარგულ მისამართს სადაცაა მოვძებნით.

ცეცხლის ალზე დანახულ ფანტასტიურ ჩვენებებს,
მჩატედ მიასვენებენ ფერშეცვლილი ფშანები.
გახსენდება სიზმარი — ჯერ შენ ტირი, მერე — მე,
გვიცქერიან ზერელედ — არავის ვებრალებით.

სილამაზე მჩატე და უჩინარი სულია,
ითხოვს უხმო შელოცვას და შორიდან ფერებას.
საკუთარი სხეულის ჯვარზე მილურსმნულია
ხათრად გადმოთარგმნილი ჩვენი ბედნიერება.

შორიდან დანახული საკრაულა

პაატა და კობა კიკნაველიძეებს

თვალმა ქორი ლაჟვარდს ანცად მიახატა,
თუ ფრინველი თავს სამყაროს აწონებს;
ის ცაშია, მე აქ ვარ და
წუთისოფელს ასე ვაწონასწორებთ.

კიკნა ველი მდინარეს რო ეცილება,
მაჭარივით მოდუღარს და მშფოთვარეს,
საკრაულას ლივლივა ცას ეცინება
და მზრუნველად ხელს აფარებს ორთავეს.

ბურულებში ამოჟონილ სახურავებს
ვაჯამებ და მერე ერთად დავცქერი;
ყური ამ დროს, ყური დუმილს ახურდავებს
და დუმილში ხმას იმაღლებს ჩანჩქერი.

ახლაც ასე საზიაროდ მოვიხსენებთ —
„საკრაულას“ „კიკნაველეთს“ ვუწყვილებთ;
კიკნა ველზე დაწექი და მოისვენე
და მდინარეს ძილ-ბურანში უსმინე.

ყვება ამბავს ცხრა მთისას და ცხრა ბარისას
და შემღვრეულს თავს აწონებს იალონს:
„ამ ხეობამ ერთხელ სისხლი გადამისხა
და იმ დღიდან ყველას ძარღვში ვჩხრიალებ“.

ვემოწმები წყალს — ცახცახა არტერიას,
მჯერა მისი თქმულებაც და წერილიც;
ტაბაკინზე ნისლის რამე ფარტენია,
თუ ბატკანი — ფარას ჩამორჩენილი.

ხუზიარი თავს წყალგაღმა იფართოვებს,
ტოკავს ყანა ქარში, როგორც ფურცელი;
კაცი სოფელს უბან-უბან იმახსოვრებ,
მთაზე რო ხარ და შორიდან უცქერი.

პატარა სოფელი

შვლის ნუკრივით ნებიერას,
სძინავს ტყეში ნებიერეთს.

ასე, ხუთი-ექვსი კომლის
ზეცას ემატება კვამლი.

ორი ლიპარიშვილია,
ოთხიც კიდევ გორგოძეა.
მთა-მთა ნიავს ნისლი მიაქვს
და ტყეების ხორხოცია.

იავნანა

ვიხსენებ ახლა, როცა ხშირად მესალმებოდნენ,
ალბათ იცავდნენ იდუმალის რამე ბრძანებას
(ნეტავი ასე დღესაც ხდებოდეს) —
სუნთქვაშეკრული ვდარაჯობდე შენს მობრძანებას.

ხარ ჭეშმარიტი, ხარ სიცხადე, თუმცა დაღლილი,
ღამეს წამი-წამს ემატება ჩრდილი სხეულის;
შენს მოსასმენად განაბული ვდგავარ ბალღივით,
ღამის ერთადერთ წკვარამ თვალში გამომწყვდეული.

ჭრელი ლექსი

თვალების მაცდური ციმციმი —
ორმაგი ბუნების ნიშანი.
ასეთ დროს ქირქილია სიცილი
და გრძნობ, რო რაღაცას გიშავებენ.

შეცდომას გვთავაზობს სიკერპე შორიდან
და ნებისყოფაში ეთვლება მავანს
(ეს ჭრელი აზრები თავისით მოვიდა
და ალბათ ასევე თავისით წავა).

„მეც გზაში ვდგავარ!“ — გულში თქვი, მივხვდი
(ასეთ დროს შიგნით უფრო შფოთავენ).
ერთმანეთს უნდა გავუცვალოთ ხანდახან ტვირთი,
ან და ზიარად ვზიდოთ ორთავემ.

გადააენე მარტივი რთულად,
მერე ისევე — რთული მარტივად.
ყრმობისდროინდელ ფერშეცვლილ სურათს
უცქერი ახლა გაჭრილ კარტივით.

გროვდება ტკივილი, შიშველი თანაც,
შედეგი — ბევრჯერ რო თავშიგნით ვდაობდით.
დახშული ბაგიდან, როდესაც დანა
კბილს აღარ გაგიხსნის, ზმუილი ამოგდის.

ცხოვრებას ეძახი ცდუნებას,
ხარ იძულებული — ხარკს უხდი.
ერთსადა იმავეს რო გეჩურჩულება, —
ერთიდაიგივე არ მოწონს პასუხი.

სახმილიც ამდაგვარ საწუხარს ნიშნავს
(ვინ ლექსით იმჩატებს, ვინ კიდევ — ღვინის სმით),
შიგნიდან დაუკეტავს მოითხოვს ჭიშკარს
მკერდიდან ფეხაკრეფით ამოსვლა იმისი.

უმზეო ბუნების სიმშვიდე დაგღლის,
გაქცევას ელამი სჭირდება მზერა;
ამ ღამეს საყურედ ჰკიდია ძაღლის
ღავღავი ანუ იგივე ღრენა.

ხმა პოლიფონიურ გალობას მიადგა
(ნახევარსიმღერის საფეხურს აცილდა),
სახეზე გეტყობა — თუ გინდა მე არ ვთქვა —
ამ წუთებს აშენებ შენივე განძიდან.

შიგნიდან ხატავ და გარედან კერავ
და ასე იქარვებ გულის დარდს მოწოლილს.
იხსენებ: ძელური. სოხანე. კერა.
ელამი სინათლე. ბუხარი. კოცონი.

საღამოს ბინდი და ბანცალა ბონდი.
მდინარე. ჭალები. გაღმა და გამოღმა.
გამოგყვა საგზალი, აქამდე მოდი.
ბავშვობის საგზალი აქამდე გამოგყვა.

შალვა საბაშვილი

„პოეტურ შესაკრებთა გადანაცვლების“ ახალი ნიუანსები

„ლიტერატურულ გაზეთში“ შარშან 4 სექტემბერს გამოქვეყნებულმა პაატა ნაცვლიშვილის ვეება ლექსმა, რომელიც საწყის სტრიქონში სიტყვათა მიმდევრობის ცვლის პრინციპითაა შექმნილი, ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ვფიქრობ, ამ ფენომენს უფრო სრულყოფილი გააზრება ესაჭიროება. კერძოდ, იმავე გაზეთში ჩემი გამოხმაურების (11.XII) ზოგი ნაწილის ზუსტად აღქმისთვის საჭიროა დამატებითი განმარტებანი. უნდა ვუპასუხო პაატას მათემატიკურ მოსაზრებებსაც. დასაზუსტებელია სტრიქონთა მეტრული სტრუქტურის ასპექტიც და სხვა ბევრი რამ. ასე რომ, მივყვეთ რიგრიგობით. ჯერ კი მინდა პატივისცემა გამოვხატო რედაქციისადმი, რომელიც ოპერატიულად აშუქებს ლიტერატურული აზრის განვითარებას.

1. როსტომ ჩხეიძისა და ჩემს გამოხმაურებებს პაატა ნაცვლიშვილი კეთილგანწყობილს უწოდებს. მიზეზი ისაა, რომ არაკეთილგანწყობილი გამოხმაურებებიც გვხვდება, რაც არაა მოსაწონი. ნებისმიერ შემოქმედს პატივისცემა უნდა შევაგებოთ, და მაშინ ხარვეზის მითითებაც მოსათმენია. პაატას გამოხმაურებაც კეთილგანწყობილია: ჩემი წერილის ყველა მნიშვნელოვანი ასპექტი მან პატივისცემით დააფიქსირა — ეს დასაფასებელია.

2. ახლა ჩემს „მათემატიკოსობაზე“: დავამთავრე თსუ-ს მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. მასწავლიდნენ გამოჩენილი მეცნიერები: ქართული მათემატიკური სკოლის ფუძემდებელი ოთხეულის წევრი, უაღრესად კოლორიტული არჩილ ხარაძე, უმკაცრესი ალგებრაისტი გიორგი ლომაძე, ცნობილი გეომეტრი ადამ ჩახტაური (მისდამი მიძღვნილ ლექსში წერდა მურმან ლებანიძე — აი, ესაა კაცი, დიოგენე ფანრით რომ ეძებდაო), უგანათლებულესი ლეო მაღნარაძე (იგი ასპირანტობასაც მთავაზობდა), რომლის და, ქალბატონი ნინო პირველი ქართველი დოქტორი იყო ბუნებისმეტყველ ქალთაგან... ფრიადზე ნაკლები შეფასება არასოდეს მიმიღია. მომისმენია ილია ვეკუას, ვიქტორ კუპრაძის, დავით კვესელავას („ას ერგასის დღისა“ და „პოეტური ინტეგრალების“ ავტორის, მიხეილ კვესელავას ძმა), ფილოსოფოს-მათემატიკოს ლევან გოკიელის და სხვათა სპეცკურსები. გახლდით სტუდენტთა ასტრონომიული სამეცნიერო წრის თავმჯდომარე, მაგრამ ვმონაწილეობდი მათემატიკის წრეშიც. ჩემი ერთი ნაშრომი კრებულშიც გამოქვეყნდა. დამენიშნა გამოჩენილი მათემატიკოსის, ანდრია რაზმაძის სახელობის სტიპენდია. უკვე ლექსების ავტორიც ვიყავი (ზაურ ბოლქვაძემ „პირველი სხივისთვისაც“ შეარჩია ისინი) და ამ ცნობას სახელდახელო სტროფი მივაგებე: „მე დავიღალე უმძლავრეს მეწყრის/ უნატიფესი ფერით კაზმვაზე,/ შემომაფრქვიეთ ტაბიძის ცეცხლი/ მე რას მიშველის ცივი რაზმაძე!“. ამას, ცხადია, ხუმრობით ვწერდი. მათემატიკა ჩემი სულის ნაწილი იყო. ჩემთვის ის პოეზიას უდრიდა. კონსტატინე გამსახურდიას სიტყვებიც მახსოვდა — მათემატიკოსების მშურს, რომელთა ციხე-სიმაგრეში ვერავინ შეაღწევსო; ფილოსოფოსის ნათქვამიც: ყოველ მეცნიერებაში ჭეშმარიტება იმდენია, რამდენიცაა მასში მათემატიკაო. თანაკურსელ ლაზო ზამბახიძეს („მომავალ“ დეკანს) უყვარდა მოარული გამონათქვამი — დამწყებ მათემატიკოსს წარმოსახვა არ ეყო და პოეტი გახდაო. შევისწავლეთ ფიზიკაც, მათ შორის — ფარდობითობის თეორიაც. III კურსზე სახელგანთქმულ ბლეზ პასკალის საიუბილეო სხდომაზე მოხსენებაც წამაკითხეს. მაშინ გავეცანი მის „აზრებსაც“ (ბაჩანა ბრეგვაძის ბრწყინვალე თარგმანთა გამოჩენამდე). სხვათა შორის, არჩილ ხარაძესთან გამოცდაზე დამსწრე პოლონელმა მათემატიკოსმა სტირლინგის ფორმულა მკითხა, რომელიც გახმაურებული ფაქტორიალის ზღვარს გამოსახავს. ბატონი არჩილი შეცბა — ეს საკითხი ლექციაზე არ განმიხილავსო, მაგრამ მე მასალა მისივე წიგნით მქონდა მომზადებული და ფორმულა გამოყვანითაც ვიცოდი, რამაც იგი ძალზე გაახარა...

ასტრონომიაც, რომელსაც აკადემიკოს ევგენი ხარაძის ხელმძღვანელობით დავეუფლე, მათემატიკის ფაკულტეტზე შედიოდა. ვიყავი სამეცნიერო საბჭოსა და შრომების რედკოლეგიის წევრი, დისერტაციები ფიზიკა-მათემატიკის გრიფით დავიცავი, ვარ მათემატიკოსთა საზოგადოების წევრი, ვადგენდი აბითურიენტებისათვის „საბედისწერო“ ბილეთებსაც. მათემატიკას ვიყენებ შრომებსა და სახელმძღვანელოებში. ასე რომ, მკითხველმა შეაფასოს ჩემი მათემატიკოსობის ხარისხი.

„პოტენციურ“ მეცნიერებს გარდა ჩემს კურსზე სწავლობდნენ ფართოდ ცნობილი გურამ პეტრიაშვილი, მომავალი სახელმწიფო მინისტრი გია არსენიშვილი, მომღერალი თემურ ცაგურია და სხვები. ლექსებსაც წერდნენ: ანზორ დავითაია, გიორგი ხახიაური... პოეზიის საღამოც მოგვიწყვია ქალბატონ ეთერ ალშიბაიას დასწრებით მისივე ანალიზური გეომეტრიის პრაქტიკუმზე (სკალარული ნამრავლები მერე თვითონ ავუხსენი ჯგუფს). ჩემს ლექსებს სხვა ფაკულტეტებზეც ეცნობოდნენ (რამინ ჭელიძის და სხვათა კომენტარები შემონახული მაქვს)... „ინტელექტის“ „ასი ლექსის“ სერიის ორი ტომი ჩვენს კურსელებს რომ დაეთმო (გურამ პეტრიაშვილს და მე),

$$1.\log_a 1 = 0;$$

$$2.\log_a a = 1;$$

$$3.\log_a xy = \log_a x + \log_a y;$$

$$4.\log_a \frac{x}{y} = \log_a x - \log_a y;$$

$$5.\log_a x^p = p\log_a x;$$

$$6.\log_{a^z} x = \frac{1}{z}\log_a x;$$

$$7.\log_a x = \frac{\log_b x}{\log_b a};$$

$$8.\ a^{\log_a b} = b.$$

ესეც არაა უბრალო ამბავი.

მათემატიკის უთვალავ გამოვლინებათაგან ერთს მოგიყვანთ. ამ 50 წლის წინათ თანამშრომელ გოგონას „გამოვუტყდი“: უცხოპლანეტელებმა სხვისი აზრების გამოცნობა მასწავლეს — ჩაწერე რაიმე ლექსი კოდირებული ციფრებით და მე გავშიფრავ-მეთქი. უნდობლად შეასრულა თხოვნა, გადმომცა ციფრებით შედგენილი პაწაწკინტელა „ლექსი“, ხოლო როცა აღდგენილი ასოებით დავუბრუნე (იგი ანა კალანდაძის „არჯაკელი“ აღმოჩნდა), თან კოდირების შეცდომებიც მივუთითე, კინაღამ გული წაუვიდა. დამეხმარა კი ასოების სიხშირეთა მათემატიკური კანონზომიერება.

დავუბრუნდეთ ჩემს გამოხმაურებას და დავაზუსტოთ ზოგიერთი ადგილი.

3. პაატა იმოწმებს ჩემს სტრიქონებს: „ავტორს ისეთი ვარიაციებიც მოჰყავს, რომლებიც საწყისის საწინააღმდეგო შინაარსსაც კი ატარებს“ და არ ეთანხმება მათ, რადგან ისინი ეწინააღმდეგებიან ჩემსავე დასკვნას: „არსებობს ექვსსიტყვიანი წინადადების 720 ვარიანტი, ყველა გრამატიკულად დასაშვები და მეტ-ნაკლებად იგივური შინაარსის მქონე“. პირდაპირ ვიტყვი: პაატა ცამდე მართალია — შეუძლებელია ლექსის ყველა სტრიქონი თან მეტ-ნაკლებად ერთნაირი აზრის იყოს და თან მათ შორის მოიძებნებოდნენ ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარსისანიც. მე აზრადაც არ გამივლია საქმე ასე წარმომეჩინა! ახლაც ვადასტურებ, რომ პაატას ლექსის ყველა, 720-ვე სტრიქონს მეტ-ნაკლებად ერთნაირი შინაარსი აქვს და რომ ეს ფაქტი ქართული ენის უაღრეს მოქნილობაზე მეტყველებს. მაშ რა ხდება? ის, რომ მე ერთდროულად ვეხმიანებოდი პაატას პასუხსაც როსტომ ჩხეიძისადმი, რომელშიც იგი იხილავდა „პოეტური გადანაცვლების“ პრინციპს და აღნიშნავდა: მისი გამოყენება ყველგან არ შეიძლება — ზოგი წინადადებისგან აუცილებლად მივიღებთ აზრის არმქონე ან საპირისპირო ფრაზებსო. მეც იგივე ვთქვი, თან დავამატე, რომ ამაზე პაატა ნაცვლიშვილიც საუბრობს. ეს იყო და ეს! მაგრამ, სათქმელი უხერხულად გამიფორმებია, ამიტომ არ ჩანს, სად მოჰყავს პაატას საპირისპირო ვარიაციები. ხოლო აქ რომ პაატას წერილს ვგულისხმობდი, იქიდანაც ცხადია, რომ ლექსში ავტორი ვერ გამოტოვებს ვერც ერთ ვარიაციას. ლექსის საფუძვლად უვარგისი, საჭოჭმანო ფრაზები მან უკვე უკუაგდო, იპოვა ისეთი, რომლის ყველა ვარიაცია ვარგისია და მხოლოდ მასზე ააგო ლექსი. მასში კი მოჰყავს ყველა, 720-ვე ვარიაცია! ეს გამოსავალი ფუნდამენტური პრინციპია. ამიტომ ფრაზა: „ავტორს ისეთი ვარიაციებიც მოჰყავს...“ ლექსზე ვერაფრით ითქმის.

4. მეორეგან პაატას მოჰყავს ციტატა ჩემი გამოხმაურებიდან: „საყურადღებო ფაქტორია, რომ სხვადასხვა ვარიაცია სხვადასხვა პოეტურ საზომს ემორჩილება, თუმცა ზოგან საზომი თითქმის მთლიანად ქრება. აი, თუნდაც, „მზე თოხივით მხარზე გადებული მართლა ჰქონდა“ (24.3) ლამის მთლად პროზაა“, და წერს: „ვერ დავიჩემებ, რომ მთელ ლექსში არ არის პროზაული სტრიქონები, საზომის თვალსაზრისით, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ „დაწუნებული“ სტრიქონი სწორედაც არ არის პროზაული...

→

შალვა საბაშვილი

„პოეტურ შესაკრებთა გადანაცვლების“ ახალი ნიუანსები

წაკითხვას გააჩნია. მართალია, 14-მარცვლიან საზომთა შორის არც აკაკი გაწერელიასთან და არც აკაკი ხინთიბიძესთან ასეთი საზომი (4/2/4/4) არ არის დაფიქსირებული, მაგრამ, აბა, ეს ერთი პატარა სტროფი გავსინჯოთ, რომელიც, ძებნაში დრო რომ არ დამეხარჯა, სახელდახელოდ შევთხზე საამწერილოდ: „შემოდგომა იდგა// შემოდგომის ქარი ქროდა,// დაცვენილი ხიდან// ქარს ფოთლები მიმოჰქონდა.“ ეს ჩემი შემოდგომის ქარი ისე ქრის, რომ პროზაულობას ვერავინ დასწამებს. თუ დღემდე არ არის ქართული ლექსის თეორიასა და პრაქტიკაში ასეთი საზომი, დაე, დღეიდან შეიტანონ ლექსთმცოდნეებმა.“

აქაც მოკლედ ვიტყვი: პაატა ცამდე მართალია. ოღონდ მისსავე სიტყვებს მოვიყვან: „წაკითხვას გააჩნია!“. მეც სწორედ წაკითხვამ „მიმუხთლა“. წაკითხვით კი სიტყვები „მხარზე“ და „გადებული“ ერთ მუხლად გავაერთიანე, რისკენაც მიბიძგა პირველმა აშკარა მუხლმა „მზე თოხივით“, ანუ სტრიქონი დავყავი 4/6/4 მეტრიკით: „მზე თოხივით/ მხარზე გადებული/ მართლა ჰქონდა“, რომელიც პროზაულობისკენ საკმაოდ გადახრილი მომეჩვენა. სხვანაირი დაყოფა უკვე აღარც მიცდია. ესეც იკითხება ჩემი წერილიდან. მართლაც, მასში ყველა წინა მოყვანილი სტრიქონის მეტრიკა მინიშნებული მაქვს (4/3/4/3, 5/4/5, და ასე შემდეგ), ამ „საკამათო“ სტრიქონისა კი არა. საერთოდ კი ვერსიფიკაცია სათუთი თემაა. ცალკე აღებული სტრიქონი ვერც განსაზღვრავს მეტრულ სტრუქტურას ერთმნიშვნელოვნად. რაღა შორს წავიდეთ, პაატას ლექსიდანვე მოვიყვან სტრიქონს: „მზე გადებული მართლა მხარზე თოხივით ჰქონდა“ (79.2). ვინ დაგვიშლის, იგი წავიკითხოთ 5/4/5 სქემით, ანუ ასე: „მზე გადებული/ მართლა მხარზე/ თოხივით ჰქონდა“?მაგრამ ასევე ბუნებრივია მისთვის 5/2/5/2 სქემაც, ანუ „მზე გადებული/ მართლა/ მხარზე თოხივით/ ჰქონდა (გაიხსენეთ გალაკტიონ ტაბიძის „გამოქანება/ მძლავრი/ ცხრაასჩვიდმეტის/ ტალღის“)! მე თუ მკითხავთ, მეორე ამათგანი კიდევ უფრო მუსიკალურია. ეს საინტერესო ნიუანსი ამართლებს ჩემს წამიერ უზუსტობას.

ოღონდ ფრაზა „ასეთი საზომი დაე დღეიდან შეიტანონ ლექსმცოდნეებმა ლექსის თეორიასა და პრაქტიკაშიო“, მთლად კორექტული არაა. მაგალითად, 5/4/5 („სულო ბოროტო“), 4/3/4/3 („ლურჯა ცხენები“) და ბევრი სხვა საზომი ქართველი ერის ცნობიერებაში ყველა წარსულ ეპოქაში იარსებებდა, მაგრამ ქართული ლექსის პრაქტიკაში ისინი არ ჭაჭანებდნენ სათანადო ლექსთა დაწერამდე. ამიტომ საზომის პოეტურობის ჩვენების გარდა (რაც პაატამ საუცხოოდ შეძლო), საჭიროა ამ საზომით დასრულებული პოეტური ნაწარმოების შექმნაც. მეორეც (აქ უკვე საკუთარ თავს მივმართავ!), თვით ჩემგან „დაწუნებული“ 4/6/4 საზომიც თავისუფლად შეიძლება მუსიკალურად იქცეს — ამისათვის საჭიროა ამ რიტმით ერთი კარგი ლექსის დაწერა და მეტი არაფერი! მესამე: პაატას თავისი სტროფი ისეთი გრაფიკით აქვს წარმოდგენილი, რომ ეს 14-მარცვლიანი იზომეტრული (თანაბარსაზომიანი) კი არა, ჰეტერომეტრული (უთანაბროსაზომიანი) წყობაა, რომელსაც „6/8“ ჩანაწერით აღნიშნავენ (კენტნომრიანი სტრიქონები 4/2 შიდა სტრუქტურას ავლენენ, ლუწნომრიანები კი 4/4-ს.) საკითხი ფორმალური ჩანს, მაგრამ ასე არაა. ლექსის გრაფიკა მისი პოეტური შინაარსით ერთმნიშვნელოვნად განისაზღვრება. მაგალითად, „ლურჯა ცხენები“ შეიძლებოდა 7-მარცვლიანი სტრიქონებით ჩაგვეწერა (ეგებ ასეცაა ზოგან), ისევე როგორც „ვეფხისტყაოსანი“ — 8-მარცვლიანებით (ასეა ვაჟას თითქმის მთელი პოეზია!), მაგრამ ეს ღრმა შეცდომა იქნებოდა. ლექსის სიგრძე და სტრიქონის სიგანე ერთმანეთთან ჰარმონიაში უნდა იყვნენ. ვთქვათ, ვიწროდ დაყოფილი „მერანი“ წაგრძელებული და არაკომპაქტური შესახედავი იქნებოდა — მისი ღრმა აზრი სივრცეს ანუ განიერ სტრიქონს მოითხოვს! ამაზე ვრცლად სხვაგან, აქ კი ვიმეორებ: 4/2/4/4 და 6/8 განსხვავებული საზომებია.

იმის დასადგენად, არსებობს თუ არა 4/2/4/4 საზომით შექმნილი ქართული ლექსი, პაატამ თავისი გზა აირჩია — შექმნა სახელდახელო ნიმუში. მე კი დავსვი კითხვა — ნუთუ ასეთი მუსიკალური საზომი თვითონ არასდროს გამომიყენებია-მეთქი? ჩავხედე ჩემი ლექსების კატალოგს, რომელშიც მოყვანილია: ლექსის ნომერი, პირველი სტრიქონი, დაწერის დრო და ადგილი, სტრიქონის მეტრული სტრუქტურა და სხვ. ძებნა დიდხანს გაგრძელდა, მაგრამ „ევრიკა“ მაინც ითქვა. მარტო 10 წლის პროდუქციაში ამ საზომით დაწერილი 8 ლექსი აღმოვაჩინე! ყველა გამოუქვეყნებელი! ასე რომ, ეს ძალიანაც „პოეტური“ საზომი უბრალოდ, პაატას სტრიქონში „დამემალა“.

აი, ამ ლექსთაგან ერთ-ერთი (N 5478, 7.X.2005, 22 სთ 53 წთ 30 წმ):

უშთაგონებო ჟამი

სიტყვა სიტყვას არ მოსდევს, აზრი აზრებს არ ებმება,
ჩაიარეს თითქოსდა საჭირო მატარებლებმა.
თითქოს ვისაც ველოდით, ყველამ გვერდი აგვიარეს,
სადღაც ადრე მიხვედი, ან ძალზე დააგვიანე.
ტკბობის ნაცვლად შეგრძნება გისაჩუქრა ცამ იარის,
ქმნილება რომ დაბადოს, ერთადერთიწამი არის!
ხან ყოველმხრივ ვლაგდები, ხან სრულიად აღვირევი,
ხან მკაცრად მომთოკავენ იდუმალი აღვირები.
გამისხლტება სამყარო, ვერც ვთქვა —
ადრე მე რით მება,
აღარ ერწყმის ფერი ფერს, ხმა ხმას აღარ ერითმება.
ვეღარაფერს უხსნი და ვეღარაფერს აგონებ ამ
მშრალ რელიეფს, რომელიც მიატოვა შთაგონებამ.
ნებივრად რომ გარწევდა, გაგხლართვია ის ლიანა,
გამჭვირვალე ლაჟვარდი ჯანღმა მოანისლიანა.
ვიღაც გითვლის:
მეთევზევ, ახლა თევზს ვერ დაიჭერო,
სხვა რა გზა გაქვს? შენც უნდა ირწმუნო და დაიჯერო.
ახლა მართლაც ვერ დადგამ
ზვინებს გულუხვ ნადავლისას,
დრო მიეცი ამ ყოვლად ცარიელ ჟამს გადავლისა,
და ცა კვლავ თუ მოხატოს შთაგონების ალმა რკალით,
დაეწაფე ხელახლა პოეზიის თვალმარგალიტს.

5. პირველ წერილში მივუთითე 12 გამორჩენილი სტრიქონი და დავამატე — მეტი უზუსტობა არ გვხვდება, გულდაგულ შევამოწმე-მეთქი. მერე ამ „გულდაგულ“-ის გამო ვნანობდი. 6-სიტყვიანი სტრიქონი წარმოვადგინე (abc)(def) სახით, ვაჩვენე, რომ ფრჩხილებსშიდა ვარიაციები 36 წინადადებას იძლევა, სიტყვათა პირველი სამეული კი (ანუ, ავტომატურად, ექვსეულიც) 20-ნაირად იგება, ანუ

$$s^2 = \frac{\Sigma x^2 - \frac{(\Sigma x)^2}{n}}{n - 1}$$

სულ ვიღებთ 20.36=720 წინადადებას. ოღონდ საჭიროა: 1. a,b,c,d,e,f სიტყვებიდან სამეულთა შედგენისას მუდამ „ვიმოძრაოთ“ მარცხნიდან მარჯვნივ. 2. შიდა ვარიაციები დავალაგოთ abc, acb, bac, bca, cab, cba ტიპის რიგით. ეს სქემა პაატა ნაცვლიშვილსაც მიგნებული აქვს და მისი წყალობით ყოველი სტროფის პირველი ნახევრები იდენტურია, მეორეები კი ერთგვარად „ციმციმებს“, რაც მუსიკალურად მომხიბლავია. მაგრამ პაატა არ იცავდა ზემო ორ წესს, და კიდეც მოუვიდა უზუსტობანი. მე შევამოწმე სტროფთა I ნახევრები, II ნახევრებს კი მოვაკელი ყურადღება და სწორედ იქ იპოვა პაატამ შედარებით „ზედაპირული“ უზუსტობა. შემდგომში გადავამოწმე და, როგორც ჩანს, ეს ხარვეზი ბოლოა.

6. ახლა სტრიქონში სიტყვათა გარდა ლექსში სტრიქონების გადანაცვლებაც განვიხილოთ. პირველი ახალ-ახალ სტრიქონებს ქმნის, მეორე კი ახალ-ახალ ლექსებს. პაატას თითქოსდა კიდევაც მიუნიშნებია ამაზე თავისი ლექსის „უვერტიურის“ — 24-სტრიქონიანი მცირე ლექსის ჩაწერით, რომელშიც სტრიქონთა ნუმერაცია აღრეულია: ნაცვლად 1,2,3,4,5,...-სა არის 1,7,21,11,19,... ამის აზრს ვინ ჩახვდებოდა! მე ამ ფაქტისთვის თვალი არ ამირიდებია, უბრალოდ დავასკვენი: პაატა ნაცვლიშვილი ფიქრობს, რომ არსებობს ამ ლექსის ყველაზე სწორი დალაგება, თავისი ვარიანტის აღრეული ნუმერაციით კი მიანიშნებს სტრიქონთა მდებარეობას იმ „ერთადერთ“ დალაგებაში. და რადგან, ჩემი აზრით, სტრიქონთა ყველა მიმდევრობა თანაბარუფლებიანია, ეს ინტერპრეტაცია საერთოდ უპასუხოდ დავტოვე. ხომ შეიძლებოდა, ასეც ყოფილიყო? როსტომ ჩხეიძეც წერს: „ეს ვარიაციები ... სულ სხვა თანმიმდევრობით არის დანომრილი“-ო, ხოლო როგორით, ამაზე არაფერი მიუნიშნებია. პაატა კი გვიხსნის: „ეს ნუმერაციაც იმ პრინციპის ნაწილია, რომლითაც არის აგებული მთელი ჩემი ოპუსი და არანაკლებ მთავარია, ვიდრე 4 სიტყვის 24- და 6 სიტყვის 720-სტრიქონიანი ვარიაციები. ჩემს ... ციტატაში 24 კი არა, ფაქტობრივად ორჯერ 24 ვარიაციაა. ერთი განლაგება ნუმერაციის გარეშე რაც არის, ისაა, მეორეს კი ნუმერაცია განსაზღვრავს... რედაქციაში მხოლოდ ორი გავგზავნე, შემეძლო კი გამეგზავნა, ვთქვათ ექვსი (ვიწერ ნაწილს. შ. ს.):

„1. 14. 6. 17. 21 გზაზე ერთი ჩრდილი მიდიოდა.
7. 16. 12. 20. 6. ერთი ჩრდილი გზაზე მიდიოდა.
21. 23. 5. 12. 24. ჩრდილი გზაზე ერთი მიდიოდა.
11. 2. 13. 8. 24. ერთი გზაზე ჩრდილი მიდიოდა...“

განვმარტავ: ჩვეულებრივ ლექსში სტრიქონთა ერთადერთი მიმდევრობაა დასაშვები, ვარიაციების გზით შექმნილში კი, როგორც ადრეც ვწერდი, ყველა მიმდევრობა თანაბარუფლებიანია. თურმე იგივე მოსაზრება განჩხრეკილი ჰქონია პაატასაც! ჩემთვის ეს გასაოცარია და პაატას აზრის მდინარებას კიდევ უფრო საინტერესოს ხდის.

მაგრამ სადაა ზემო ჩანაწერში ლექსის ექვსი ვარიაცია? მკითხველი ხომ მხოლოდ ერთს ხედავს? სადა და სტრიქონებისწინა რიცხვთა სვეტებში! ლექსის I ვარიანტს განსაზღვრავს I სვეტი (1,7,21,11,...), ანუ ზემო ლექსის I სტრიქონი ადგილზე რჩება, II იქცევა VII-ედ, III ხდება XXI და ა.შ. II ვარიანტში, სვეტ (14, 16, 23, 2,...)-ის თანახმად, I სტრიქონი XIV-ედ იქცევა, II - XVI-ედ, III - XXIII-ედ და ა.შ. სხვა ვარიანტებს ასევე იპოვით დანარჩენი სვეტებით.

7. ბარემ ერთ უზუსტობასაც გავასწორებ. წინა წერილში მოვიყვანე ჩემი ლექსი, რომელშიც არის სტრიქონ „სევდიანი მუსიკა მთებიდან ჩამოირხა“-ს ვარიაციები. აკრეფისას ორგან „ჩამოირხა“-ს ნაცვლად უნებლიეთ გაჩნდა „ჩამოიფრქვა“. დასანანია, თუმცა მჯერა, ყველა დაფიქრებული მკითხველი მიხვდებოდა, რომ ეს კორექტურაა.

8. როსტომ ჩხეიძემ ტერმინ „შესაკრებთა გადანაცვლებას“ ერთგან „პოეტური“, მეორეგან კი „ლიტერატურული“ ჩაუმატა. ორივე უპრიანია – გააჩნია რა სივრცეზე გვინდა ტერმინის განვრცობა — მხოლოდ პოეზიაზე თუ ზოგადად მწერლობაზე. ოღონდ ამგვარ ლექსებში, ჩემი აზრით, გადანაცვლება კი არაა პოეტური (ყველა გადანაცვლება უბრალოდ წევრთა გადასმაა, ანუ ერთნაირია!), არამედ თვით შესაკრებები — ისინი, მათემატიკური ჯამის შესაკრებთაგან განსხვავებით, ლექსის შემადგენელი სიტყვებია. ამ აზრით, ალბათ უფრო ზუსტი იქნებოდა, „შესაკრებთა პოეტური გადანაცვლება“ კი არა, „პოეტურ შესაკრებთა გადანაცვლება“ გვეწოდებინა, თუმცა არ დავიჟინებ.

9. რაც შეეხება n ცალი სიტყვის ყველა გადანაცვლების მათემატიკური პროგრამის შედგენას, რასაც პაატა ნაცვლიშვილი ითხოვს, ეს რთული არაა, მაგრამ თვით ვარიაციათა საბოლოო ცხრილი გამოვა უსაშველოდ დიდი. მაგალითად, 7-სიტყვიანი წინადადების ყველა ვარიაცია „ლიტერატურული გაზეთის“ 21 გვერდს დაიკავებს, 8-სიტყვიანისა — 11 სრულ ნომერს, 9-სიტყვიანისა — გაზეთის 4 წლის, 10-სიტყვიანისა კი 40 წლის ყველა ნომერს! ეს 200 დიდი ტომია, რომლის წაკითხვას 5 წელიც არ ყოფა! გამოსაცდელ წინადადებათა რაოდენობა კი ისედაც კოლოსალურია. ასე რომ, ეს გზა უიმედოა. გაცილებით ეფექტურია ლინგვისტურ კანონზომიერებათა გამოყენება. ისე, 6-სიტყვიანი წინადადების ვარიაციათა აგების ცალსახა მეთოდი უკვე გიჩვენეთ!

10. თავის წერილში პაატამ მოიყვანა 720-ის ფაქტორიალის გიგანტური გამოსახულება, რომელშიც, სალაღობო ბანერის თანახმად, ადამიანთა 70% შეცდომას ვერ პოულობს. სიზუსტე არ შემიმოწმებიაო — დააყოლა. ამ რიცხვის სიზუსტის შემოწმება ადვილად ისევ კომპიუტერს თუ შეუძლია, მაგრამ შეგვიძლია ვიმსჯელოთ მის ბოლოს ნულთა რაოდენობით. მართლაც, ციფრი ნული ჩნდება მხოლოდ 2 და 5 ციფრების გადამრავლებით. მე თეორიულად გამოვითვალე, რომ n!=1.2.3,... n, რიცხვის თანამამრავლებში 5 მამრავლად გვხვდება 178-ჯერ (2 კი მეტჯერაც). ამდენივე ნულია იმ გიგანტურ რიცხვშიც! ეს შემთხვევითი ვერ იქნება, ასე რომ სხვა ციფრებიც სწორი უნდა იყოს. ბანერის მტკიცება კი ხუმრობაა.

11. შემდეგ პაატა ნაცვლიშვილი წერს: „ვერ ვიტყვი, იციან თუ არა ეს მათემატიკოსებმა, ან აქვს თუ არა ამას რაიმე მნიშვნელობა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ 22-ის ფაქტორიალი 22-ნიშნა რიცხვია, 23-ის ფაქტორიალი — 23-ნიშნა, ხოლო 24-ის ფაქტორიალი — 24-ნიშნა. ერთიანს თუ არ ჩავთვლით, ეს სამად სამი ასეთი შემთხვევაა ფაქტორიალების მთელ ცხრილში!..“. პასუხად ვიტყვი, რომ ეს ფაქტი, თავისთავად საინტერესო, რაიმე გამოყენებას ვერ ჰპოვებს, ამიტომ მას არც არავინ მიაქცევდა ყურადღებას. აიხსნება კი მარტივად: (n -1)!-სგან n! მიიღება 10-ზე გამრავლებით. საერთოდ, ასეთი ოპერაციით რიცხვი მეტნიშნა ხდება, ვიდრე იყო, უფრო მცირე რიცხვზე გამრავლებისას კი შეიძლება იგივენიშნა დარჩეს. მაგალითად, 20-ის ნამრავლები 2, 3, 4-ზე — ორნიშნაა, 5, 6, 7, 8, 9-ზე კი — სამნიშნა. ახლა მივყვეთ: 1!=1, 2!=2, 3!=6 (ყველა ერთნიშნაა!), 4!=24 (ორნიშნა!), 5!=120, 6!=720 (სამნიშნა!), და ასე შემდეგ. თავიდან n!-ის ციფრთა რაოდენობა n -ის ზრდისას ზოზინით იმატებს, მერე ჩქარდება — ეწევა, ასწრებს და სულ უფრო შორდება n -ს. ტოლობაც ვეღარასოდეს აღდგება! ხოლო გადასწრება n =22, 23, 24 ინტერვალზე მოხდა.ესაა და ეს!

წერილი გამიგრძელდა, მაგრამ ამასობაში სრულიად ახალი ვითარება აღმოცენდა, რაც აუცილებლად მოსათხრობია.

12. პაატა ნაცვლიშვილს სურდა, შექმნილიყო პროგრამა პოეტური გადანაცვლებისათვის. იგი წერდა: „მერე იქნებ შვიდწევრიან წინადადებასაც მოვერეოდი, რომელსაც ამდენი ხანია ვერაფერი მოვუხერხე. ამდენი წელია ვუტრიალებ შვიდსიტყვიანებს, მაგრამ ჯერჯერობით ვერ აღმოვაჩინე ისეთი წინადადება, რომ გადანაცვლებათა ყველა ვარიანტში მეტ-ნაკლები სიზუსტით შეინარჩუნოს შინაარსი. ლამის პუანკარეს თეორემად მექცა... ეს ჩემი ექვსსიტყვიანი, „ლიტერატურულ გაზეთში“ რომ დაიბეჭდა ... და აზრთა ამდენი აღებ-მიცემობა გამოიწვია, როგორც ჩანს, ჯერ-ჯერობით სარეკორდოა“. ამ სტრიქონების მერე უმოქმედობა ვეღარც მე შევძელი და, მათემატიკური პროგრამის უეფექტობის გათვალისწინებით, ლინგვისტურ ასპექტს ჩავუღრმავდი. მინდოდა წინადადების ისე აგება, რომ თავიდანვე გამომერიცხა არასასურველი თვისების მქონე ვარიაციათა შესაძლებლობა. მგონია, შევძელი კიდევაც. ქართულმა ენამაც არ „მიღალატა“ და წარმოუდგენლად უფრო მოქნილი აღმოჩნდა, ვიდრე წინა წერილში ვვარაუდობდი. ასე რომ, მოვძებნე სასურველი შვიდსიტყვიანი წინადადებები. აი, ერთ-ერთიც:

„ღამით ბაღში სიო ხეებს ფოთლებს წყნარად უშრიალებს“.

მას გააჩნია მსგავსი შინაარსის 5040 ვარიაცია (შევამოწმე არა თითოეულის, არამედ მათი ზოგადი სტრუქტურის თვისებრივი ანალიზით), და ეს ადასტურებს პაატასგან აღძრული პროცესის ნაყოფიერებას. ცხადია, ამჯერად უფრო ლინგვისტიკის სფეროში ვართ, ვიდრე პოეზიისაში — ამხელა „ლექსს“ უკვე ნამდვილად არავინ წაიკითხავს — მაგრამ ინტერესს ეს არ ამცირებს.

13. მაგრამ როგორ დავუმტკიცოთ მკითხველს ნათქვამი?ერთადერთი გზით: ვუჩვენოთ, როგორ ააგოს ეს 5040 ვარიაცია და თვითვე შეამოწმოს მათი შინაარსის ერთნაირობა. ეს წესი გამოადგებათ ყველა სხვა 7-სიტყვიანი წინადადებისთვისაც.

14. წინადადება ჩავწეროთ (abcd)(efg) სახით. თუ ჯერ შევადგენთ ყველა იმ 1 ცალ გადანაცვლებას, რომლებიც ცვლიან სიტყვათა მიმდევრობებს მხოლოდ ფრჩხილების შიგნით, მერე კი საწყისი წინადადების ფრჩხილებშორის გადანაცვლებათა ყველა 2 სახესაც, ვარიაციათა სრული რიცხვი მიიღება ნამრავლით: N1.N2.

რადგან პირველ ფრჩხილში შესაძლებელია 4!=24, მეორეში კი 3!=6 ვარიაცია, სულ მივიღებთ საწყისი წინადადების 24.6=144 ვარიაციას. კერძოდ, I ფრჩხილის შემთხვევაში ჯერ a-ს, მერე b-ს, შემდეგ c-ს, ბოლოს კი d-ს რიგრიგობით მივუწეროთ სიტყვათა დანარჩენი შესაბამისი სამეულების 6-6 ვარიაცია. საწყისი წინადადებისათვის: „(ღამით ბაღში სიო ხეებს) (ფოთლებს წყნარად უშრიალებს)“ მივიღებთ ორ სიტყვიერ ცხრილს, რომლებსაც მკითხველთათვის სასარგებლო ასოითი სვეტებიც წავუმძღვაროთ:

ცხრილი 1. I ფრჩხილის ვარიაციები

1. abcd. ღამით ბაღში სიო ხეებს
2. abdc. ღამით ბაღში ხეებს სიო
3. acbd. ღამით სიო ბაღში ხეებს
4. acdb. ღამით სიო ხეებს ბაღში
5. adbc. ღამით ხეებს ბაღში სიო
6. adcb. ღამით ხეებს სიო ბაღში
7. bacd. ბაღში ღამით სიო ხეებს
8. badc. ბაღში ღამით ხებს სიო
9. bcad. ბაღში სიო ღამით ხეებს
10. bcda. ბაღში სიო ხეებს ღამით
11. bdac. ბაღში ხეებს ღამით სიო
12. bdca. ბაღში ხეებს სიო ღამით
13. cabd. სიო ღამით ბაღში ხეებს
14. cadb. სიო ღამით ხეებს ბაღში
15. cbad. სიო ბაღში ღამით ხეებს
16. cbda. სიო ბაღში ხეებს ღამით
17. cdab. სიო ხეებს ღამით ბაღში
18. cdba. სიო ხეებს ბაღში ღამით
19. dabc. ხეებს ღამით ბაღში სიო
20. dacb. ხეებს ღამით სიო ბაღში
21. dbac. ხეებს ბაღში ღამით სიო
22. dbca. ხეებს ბაღში სიო ღამით
23. dcab. ხეებს სიო ღამით ბაღში
24. dcba. ხეებს სიო ბაღში ღამით

ცხრილი 2. II ფრჩხილის ვარიაციები

1. ფოთლებს წყნარად უშრიალებს efg
2. ფოთლებს უშრიალებს წყნარად egf
3. წყნარად ფოთლებს უშრიალებს feg
4. წყნარად უშრიალებს ფოთლებს fge
5. უშრიალებს ფოთლებს წყნარად gef
6. უშრიალებს წყნარად ფოთლებს gfe

საწყისი წინადადების 144-ვე ვარიაციის მისაღებად ცხრილი 1-ის თითოეულ სტრიქონს რიგრიგობით უნდა მივუწეროთ ცხრილი 2-ის თითოეული სტრიქონი. მკითხველი ამას ზეპირადაც მოახდენს და დარწმუნდება ყველა ვარიაციის შინაარსის იდენტურობაში.

15. მაგრამ (abcd)(efg) წინადადების იმდენი საწყისი სახე არსებობს, რამდენი ოთხეულიც ამოირჩევა ამ 7 ასოდან. სულ 4 გზაა: 1. ოთხივე ასო ავიღოთ I ფრჩხილიდან; 2. I ფრჩხილის abc, abd, acd, bcd სამეულებს რიგრიგობით მივუწეროთ II ფრჩხილის e,f,g წევრები (12 ვარიანტი); 3. I ფრჩხილის ab, ac, ad, bc, bd, cd წყვილებს — II ფრჩხილის ef, eg, fg წყვილები (18 ვარიანტი); 4. I ფრჩხილის a,b,c,d წევრებს — II ფრჩხილის efg სამეული (4 ვარიანტი); სულ 1+12+18+4=35 ვარიანტი გამოდის (2=35). მკითხველის დაინტერესებულობის გამო მოვიყვანოთ მათი ასოითი ცხრილიც.

ცხრილი 3. წინადადების საწყისი სახეები

1. (abcd) (efg) 2. (abce) (dfg) 3. (abcf) (deg) 4. (abcg) (def) 5. (abde) (cfg) 6. (abdf) (ceg) 7. (abdg) (cef) 8. (acde) (bfg) 9. (acdf) (beg) 10. (acdg) (bef) 11. (bcde) (afg) 12. (bcdf) (aeg) 13. (bcdg) (aef) 14. (abef) (cdg) 15. (abeg) (cdf) 16. (abfg) (cde) 17. (acef) (bdg) 18. (aceg) (bdf) 19. (acfg) (bde) 20. (adef) (bcg) 21. (adeg) (bcf) 22. (adfg) (bce) 23. (bcef) (adg) 24. (bceg) (adf) 25. (bcfg) (ade) 26. (bdef) (acg) 27. (bdeg) (acf.) 28. (bdfg) (ace) 29. (cdef) (abg) 30. (cdeg) (abf) 31. (cdfg) (abe) 32. (aefg) (bcd) 33. (befg) (acd) 34. (cefg) (abd) 35. (defg) (abc).

აქ a აღნიშნავს წინადადების პირველ სიტყვას, b — მეორეს, c — მესამეს და ასე შემდეგ. ჩვენს შემთხვევაში: a = ღამით, b = ბაღში, c =სიო, d = ხეებს, e = ფოთლებს, f = წყნარად, g = უშრიალებს), ამიტომ ცხრილი 3 მოგვცემს სიტყვიერ ცხრილ 4-ს:

ცხრილი 4. საწყის წინადადებათა სიმრავლე

1. (ღამით ბაღში სიო ხეებს) (ფოთლებს წყნარად უშრიალებს).
2. (ღამით ბაღში სიო ფოთლებს) (ხეებს წყნარად უშრიალებს).
3. (ღამით ბაღში სიო წყნარად) (ხეებს ფოთლებს უშრიალებს).
4. (ღამით ბაღში სიო უშრიალებს) (ხეებს ფოთლებს წყნარად).
5. (ღამით ბაღში ხეებს ფოთლებს) (სიო წყნარად უშრიალებს).
6. (ღამით ბაღში ხეებს წყნარად) (სიო ფოთლებს უშრიალებს).
7. (ღამით ბაღში ხეებს უშრიალებს) (სიო ფოთლებს წყნარად).
8. (ღამით სიო ხეებს ფოთლებს) (ბაღში წყნარად უშრიალებს).
9. (ღამით სიო ხეებს წყნარად) (ბაღში ფოთლებს უშრიალებს).
10. (ღამით სიო ხეებს უშრიალებს) (ბაღში ფოთლებს წყნარად).
11. (ბაღში სიო ხეებს ფოთლებს) (ღამით წყნარად უშრიალებს).
12. (ბაღში სიო ხეებს წყნარად) (ღამით ფოთლებს უშრიალებს).
13. (ბაღში სიო ხეებს უშრიალებს) (ღამით ფოთლებს წყნარად).
14. (ღამით ბაღში ფოთლებს წყნარად) (სიო ხეებს უშრიალებს).
15. (ღამით ბაღში ფოთლებს უშრიალებს) (სიო ხეებს წყნარად).
16. (ღამით ბაღში წყნარად უშრიალებს) (სიო ხეებს ფოთლებს).
17. (ღამით სიო ფოთლებს წყნარად) (ბაღში ხეებს უშრიალებს).
18. (ღამით სიო ფოთლებს უშრიალებს) (ბაღში ხეებს წყნარად).
19. (ღამით სიო წყნარად უშრიალებს) (ბაღში ხეებს ფოთლებს).
20. (ღამით ხეებს ფოთლებს წყნარად) (ბაღში სიო უშრიალებს).
21. (ღამით ხეებს ფოთლებს უშრიალებს) (ბაღში სიო წყნარად).
22. (ღამით ხეებს წყნარად უშრიალებს) (ბაღში სიო ფოთლებს).
23. (ბაღში სიო ფოთლებს წყნარად) (ღამით ხეებს უშრიალებს).
24. (ბაღში სიო ფოთლებს უშრიალებს) (ღამით ხეებს წყნარად).
25. (ბაღში სიო წყნარად უშრიალებს) (ღამით ხეებს ფოთლებს).
26. ბაღში ხეებს ფოთლებს წყნარად) (ღამით სიო უშრიალებს).
27. (ბაღში ხეებს ფოთლებს უშრიალებს) (ღამით სიო წყნარად).
28. (ბაღში ხეებს წყნარად უშრიალებს) (ღამით სიო ფოთლებს).
29. (სიო ხეებს ფოთლებს წყნარად) (ღამით ბაღში უშრიალებს).
30. (სიო ხეებს ფოთლებს უშრიალებს) (ღამით ბაღში წყნარად).
31. (სიო ხეებს წყნარად უშრიალებს) (ღამით ბაღში ფოთლებს).
32. (ღამით ფოთლებს წყნარად უშრიალებს) (ბაღში სიო ხეებს).
33. (ბაღში ფოთლებს წყნარად უშრიალებს) (ღამით სიო ხეებს).
34. (სიო ფოთლებს წყნარად უშრიალებს) (ღამით ბაღში ხეებს).
35. (ხეებს ფოთლებს წყნარად უშრიალებს) (ღამით ბაღში სიო).

პირველი სტრიქონისთვის ზემოთ უკვე მივუთითეთ 144 ვარიაციის მიღების გზა.

თუ ასევე მოვექცევით დანარჩენ 34 სტრიქონსაც, თითოეული ასევე 144 ვარიაციას მოგვცემს, ყველა 35-ვე კი — 5040-ს! მკითხველი ხედავს, რომ ცხრილ 4-ის ყველა სტრიქონი შინაარსობრივად იდენტურია, და შეუძლია დარწმუნდეს, რომ რომ ასეთივე იქნება თითოეული მათგანისგან ზემოაღწერილი გზით ნაწარმოები 144-ვე ვარიაცია. ასე ვაჩვენებთ, რომ 5040-ვე ვარგისია! მაგრამ თითოეულის გააზრებას 1 წუთიც რომ დავუთმოთ, 1 კვირის მუშაობა მოგვიწევს, მიღებული ცხრილი კი, როგორც უკვე მოგახსენეთ, „ლიტერატურული გაზეთის“ 21 გვ-ს შეავსებს! ამ 5040-დან 35 თქვენს წინაშეა (ცხრილი 4), და კიდევ ამდენივე ცხადად ჩანს მათი შებრუნებით წაკითხვისას.

ვინც დაეჭვდება „უშრიალებს“ ფორმის სამპირიანობაში (მას ორპირიანის გაგებაც აქვს!), გამოიყენოს ზმნა „ურხევს“. მიიღებს 4/4/4/2 საზომიან სტრიქონს, „ღამით ბაღში/ სიო ხეებს/ ფოთლებს ნაზად/ ურხევს“, 5040 ტოლფასი ვარიაციით!

16. არ ვიცი, დავარღვიე თუ არა რაიმე წესი „შესაკრებთა გადანაცვლების“ შესწავლაში ჩართვით (მათემატიკაში მეცნიერის დასმულ პრობლემას უმეტესად სხვა მკვლევრები წყვეტენ, პრობლემათა დასმა კი უფრო საპატიოდ ითვლება, ვიდრე რომელიმეს გადაწყვეტა), მაგრამ ვერც ამაზე გავჩერდი და შევადგინე 8, 9 და 10-სიტყვიანი წინადადებებიც. აი, ზოგი ნიმუში:

(8) „წუხელ ლელვთან ძაღლი ლეკვს ბეწვს დიდხანს მშვიდად ულოკავდა“.

(9) „წეღან გარეთ დედა ბავშვს თმებს დიდხანს ნაზად ვარცხნიდა მოფერებით“.

(10) „გვალვისას ეზოში ქალი ვარდს წყალს ხშირად დიდხანს ნელ-ნელა აპკურებდა გასაგრილებლად“.

პირველი 16-, მეორე — 19-, მესამე კი — 26-მარცვლოვანია. პირველს 40320 ვარიაცია აქვს, მეორეს — 362880, მესამეს კი 3628800! ბოლო ვარიაციები 400 ვებერთელა ტომში ძლივს ჩაეტეოდა (ზემოთ 200 ვთქვი, მაგრამ 10-სიტყვიანი წინადადება ბევრად გრძელია 7-იანზე!). თითო ვარიაციას 1 წუთიც რომ დავუთმოთ, 21 წელს ყოველდღე 8 საათი მუშაობა მოგვიწევს!

ვარიაციათა ამ გიგანტურ სიმრავლეებს „ცოტა“ ძნელია, ლექსები ვუწოდოთ, თუმცა ლექსთა უამრავ სახეობაში ერთი ესეც შეიძლება, იყოს. ბოლოს და ბოლოს, თითოეულში ყველა სტრიქონი განსხვავებულია, ერთი უცხოელი ავტორის „ლექსი“ კი სრულიად იდენტური ერთსიტყვიანი წინადადებებისაგან შედგება (როგორც მახსოვს, ეს სიტყვაა „იღრიალე“). რაც შეეხება ასიათასობით ვარიანტის ტოლფასობას, ამისი შემოწმება ლინგვომათემატიკური პროგრამების გარეშე შეუძლებელია. მაგრამ იმ კრიტერიუმთა გამო, რომლებითაც ისინი შევარჩიე (აქ ამისი ახსნის ადგილი არაა), მგონია, რომ სამივე წინადადება აკმაყოფილებს პაატა ნაცვლიშვილის მოთხოვნებს, თუმცა ვიცი, ეს დამტკიცებული არ მაქვს. შემეძლო ვარიაციათა აგების მათემატიკური სქემა ამ წინადადებებისთვისაც ამეგო, მაგრამ დარწმუნებული არ ვარ, რომ მკითხველს ისინი სჭირდება. ასე რომ, ამით ვამთავრებ, პაატას კი კიდევ ერთხელ ვუხდი მადლობას პოეტურ შესაკრებთა გადანაცვლების ფენომენის შემოტანისთვის.



ბექა ქურხული

უკანასკნელი ჩანაწერები

დასაწყისი №172-173

19 აპრილი

„ჩემთვის დღესავით არის ნათელი, რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა...“
გალაკტიონი

თუ სიზმრების მიხედვით ვიმსჯელებთ, ჩემთვის მთვარიან თუ მცირედ მთვარიან, წვიმიან თუ ქარიან, ცივ თუ ცხელ, უკუნ თუ ჯადოსნურ ღამეში „დღესავით არის ნათელი,“ თუ სად ამოვყოფ თავს სიკვდილის შემდეგ.

ვაახ!..

ციცი სულ მაგას მეუბნებოდა — მთელი ბავშვობა ხიფათს და შარს რომ ეძებდი, ახლა ხიფათი და შარი თავად გეძებს შენო!.. როგორც ჩანს, იქაც ასევე გაგრძელდება.

ეტყობა, ეს მართლაც უწყვეტი კავშირია — კოსმოსი, გალაქტიკები, საიქიო, სააქაო, ღმერთი, ბედისწერა, განგება, წინაპრები, შთამომავლები, დრო, უწყვეტობა, მისტიკა, რელიგიები — „ღმერთს არა აქვს რელიგია“ (მაჰადმა განდი).

მზე, ზეცა, ჭექა-ქუხილი, ოკეანეები, ფსკერი, მარიანის ღრმული, ვულკანები, ფსიქიკა, სულიერება, გადახრა, სიგიჟე.

სიკვდილი!..

უკვდავება!..

კავშირები!..

იქნებ ეს მეცნიერები არც ისე აფრენენ, როდესაც ამ კავშირებზე საუბრობენ და სადღაც სატურნზე ამოვარდნილი გიგანტური მაგნიტური ქარიშხლები მართლა აქ გვირევენ ტვინს...

ან კიდევ უფრო სრულად არის საქმე...

ვნახოთ. დრო მოვა და ამასაც ვნახავ. რაც იქნება, იქნება — ღმერთის ნებას ვინ წაუვა?..

უბრალოდ, რაც უნდა მოხდეს და სადაც უნდა მოხვდე, უნდა შეეცადო, იქაც ყოჩაღად მოიქცე!..

ყოჩაღი ყაჩაღები!..

„ჩემთვის დღესავით არის ნათელი...“

25 აპრილი

ამ დღეს კატო ჯავახიშვილის პოეტურ მონოსპექტაკლზე ვიყავი — მარჯანიშვილის თეატრის სარდაფში. საღამოებს „ცოცხალი წიგნები“ აწყობს — 21 დღეში ერთხელ...

ძალიან მაგარი რამე გამოვიდა. იჯდა კატო ფეხმორთხმული — ძველი ელინი, ეპიროსის ორაკული ქურუმი ქალივით თმაგაშლილი, თავის უზარმაზარ „ქალაქისხელა“ თვალებს ტექსტს არ აშორებდა და თითქმის ორი საათი, თავაუღებლად, მანტრასავით კითხულობდა საკუთარ ჭკუიდან შეშლილ, გიჟურ ლექსებს. 120 კაციანი დარბაზი გადავსებული იყო და სუნთქვაშეკრული უსმენდა. ჰაერიც კი დაიმუხტა.

ყველაფერი ხოშიანად წავიდა, ოღონდ ერთი რამე მაინტერესებს, უკვე რამდენი ხანია — არც მე, არც ჩემი სამეგობრო წრე ამ თემას, როგორც წესი, არ ვეხებით. ათასში ერთხელ რაღაცას თუ წავიღადავებთ, თორემ სალაპარაკოდ, საკამათოდ თუ საჩხუბრად სულ სხვა თემები გვაქვს — ყიფოს 60 მეტრიანი პასები და დიდი მიშა მესხის მარცხენა ფრთაზე თარეში, სერგეი ესენინი და იაკობ ბლიუმკინი, რომან გარი, კასპის ბატალიონი აფხაზეთში, იარაღი, მთა, გოგოები, ბანოვანის „წინაპართა აჩრდილები“, ნახცოს პოეზია და „იუვე“, ლადო კილასონიას „ოქროსუბნური ისტორიები,“ ირაკლა ჯავახაძის ჯიჯღინი, არჩილა ქიქოძის „ტონკი“ იუმორს ამოფარებული სევდა, ალაიას — ანა კორძაია-სამადაშვილის — წითელი თავი და ყირამალა „მე, მარგარიტა“. მოკლედ, სხვა უფრო საინტერესო სალაპარაკო გვაქვს და ახლა ამ თემასაც პირველად და უკანასკნელად ვეხები:

იმ ასოცკაციან გადაჭედილ დარბაზში ლიტერატორი, პოეტი თუ მწერალი იყო მარიამ წიკლაური, ნინია სადღობელაშვილი, ქეთი დუმბაძე, ზაზა ბიბილაშვილი, სოსო მეშველიანი, გაგა ნახუცრიშვილი და... მორჩა!

რატომ?...

რატომ არ გვევასება და გვიტყდება ერთმანეთისთვის ტაშის დაკვრა, მაგის დედა ვატირე?..

აი, რატომ?..

27 აპრილი
კახელი გოგო:

„ჩვენი ცოლ-ქმრობა პირველსავე ღამეს დამთავრდა. ნუ იკრიჭები, თორემ ნახე, როგორ მარჯვედა დევს გიტარა, გადაგამტვრევ კოხტად. ნეტავი ეგა ყოფილიყო, ეგ ყველას შეუძლია მოუვიდეს, მანდ ძაანაც კარგად იყო ყველაფერი, უარესი მერე მოხდა...

აგვისტო-სექტემბრის ღამე იყო, ჰო, ღამე, დღისით ახლაც არ მიყვარს, მზე რომ მადგას მაგ დროს, მგონია, მთელი ქვეყანა მე მიყურებს. ცხელი ღამე იყო, ფანჯარა ღია გვქონდა და ღამურა შემოფრინდა. ამან აეგრე თავზე გადაიფარა საბანი — გააგდე, გეხვეწები, ვერ ვიტან ღამურებსო.

წამოვჯექი და მთელი ღამე ვიტირე, პირველ ღამესვე ქმარი ჩემი საშველი აღმოჩნდა, ღამურები უნდა გამექშია მისთვის.

იმან დღემდე არ იცის, როგორ გამოვიგლოვე. რას დაინახავდა, თავზე საბანი ჰქონდა წაფარებული ღამურის შიშით. მე კი რაღა მეღამურებოდა, ვტიროდი და ვტიროდი.

ორი შვილი კი გავუჩინე, მაგრამ მანდ დამთავრდა ჩვენი ცოლ-ქმრობა. რომ მკოცნიდა, ვერ ვიტანდი. სახეს ვარიდებდი, არ მსიამოვნებს-მეთქი, ვეუბნებოდი.

ისე დავშორდით ერთმანეთს, ტუჩებში კოცნა ვერ ვისწავლე. ხომ ხედავ, დღემდე არ ვიცი.“

2 მაისი

ქრისტე აღსდგა!

ნელს პირველი აღდგომა იყო, რაც დედას საფლავზე გავედით. სანდროს მარტყოფის დედათა მონასტერთან მიახლოვებისთანავე შეეცვალა სახე და ჭიშკართან ფეხიც აერია, მერე კი ბებოს საფლავთან ჩაჯდა და დიდი კაცივით აიფარა სახეზე ხელები...

ძალიან ცუდად გავხდი. გული გადმომიბრუნდა. დაველოდეთ, სანამ ყველა ეკლესიისკენ გაიკრიფებოდა, მე და სანდრო კი დავრჩით და ციცის საფლავზე ჩვენგან დანთებული, ქარისგან აცახცახებული სანთლის ალს ხელისგულებით ვიცავდით, რომ არ ჩამქრალიყო.

შალიკო ზვიადაძის მანქანით ვიყავი. როგორც ყველა ძველი „რულავიკი,“ მეც ვერ ვიტან ამ მარჯვენა საჭეს, მაგრამ მეტი გზა არ იყო.

მარტყოფიდან თბილისში როგორ ჩამოვედი, არ მახსოვს. ლოგინზე დავემხე და ეგრევე ჩამეძინა, გავითიშე. აეგრე გავქრი, როგორც ბნელ, ღრმა, უძირო ორმოში რიყის ქვა ჩააგდო...

რამემ გამიარა კი არა, ახლა კიდევ უფრო ცუდად ვარ, ვიდრე პირველი დარტყმის დროს. ამ სანდრომ ხომ სულ ბოლო მომიღო. ძალიან მაგრად დარდობს. ბებოს საფლავს მიუახლოვდება თუ არა, ხაფანგში მოყოლილი მგლის ლეკვივით უხდება სახე. იმის მაგივრად, რომ აქეთ ვაწყნარებდე, იქით მიყოლიებს.

ხვალ მამაჩემის საფლავზე გავდივართ. მომიწევს ამის შემდეგ ყოველ აღდგომას დედის საფლავიდან მამის საფლავზე სიარული. მიუხედავად იმისა, რომ ჯვარდაწერილები არიან, იქიდანაც ცალ-ცალკე მესიზმრებიან. ეტყობა, ჯემალამ, მაგ ბებერმა არანორმალურმა, საიქიოშიც საყვარლები დაახვედრა...

უეჭველი კლეოპატრასთან დადის, ყოველთვის რთული და საბედისწერო ქალები ევასებოდა — la femme fatalle...

ვითომ, ჩემი ჭკუით, ვანგლობ, მაგრამ ძალიან ცუდადა ვარ და აღარც ვმალავ, აღარც ვმაგრობ. მაგრად ავილეწე რა!..

ხვალიდან რომ დავიწყებ სმას, კვირაცხოვლობამდე აღარ გამოვფხიზლდები.

ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს მთელი მყესები, ყოველი კუნთი და ძარღვი დამაწყდა და გამუდმებული, გამთანგავი და სულის შემხუთველი ტკივილებით ვმოძრაობ.

Как будто четвертовали!..

და თან მაინც რომ უნდა იმოძრაო...

სხვა გზა, უბრალოდ, არ არსებობს...

7 მაისი

7 მაისია და მთელი ეს დღეებია, ძალიან მინდა, მაგარი რაღაცა დავწერო. ოღონდ გონში არა ვარ, რა, რატომ ან რაზე...

სიგარეტს ვეღარ ვეწევი. განუწყვეტლივ მტკივა გული. გუშინ სულ სამი ღერი მოვწიე. ფილტვები მეწვება და დროდადრო ისე მჩხვლეტს მარცხენა ბეჭის ქვეშ, თითქოს მშტირავენო. მოკლედ, გრიგოლ ორბელიანივითა ვარ რაღა, რუსეთში ყოფნით შეღონებული რომ წერდა: „გარეთ ყინვა მკლავს, სახლში „უგარი“-ო... აქეთ უსიგარეტობა მიტეხავს, აქეთ მკერდში გაბმულმა ტკივილმა გამიჩმახა საქმე.

13 წლიდან ვეწევი სიგარეტს. 28 წელია. ახლა როგორ დავანებო? მიმინოსი არ იყოს — „Как продам, кому продам.“ ეგეც არ იყოს, როდის დავანებო, მთელი ცხოვრება ან შარში ვარ, ან ვწერ, ან ვსვამ, აი, რომელ მომენტში გადავაგდო?..

ამ ბოლო დროს საკუთარ თავს იმაშიც ვიჭერ, რომ სულ თავშესაფარს ვეძებ. იმ დღეს სახლის კედელზე მზის ათინათის მოთეთრო-მოყვითალო ზოლი აიხატა და ცოტა ხანს მონუსხულივით ვუყურებდი, კინაღამ შევძვერი ამ მზის ზოლში...

ძალიან დიდი ხანია, გარეკილი მაქვს და ახლა მთელი ძალა და ნებისყოფა მჭირდება იმისთვის, რომ ეს ჩემი გაფრენები, რაც შემიძლია, შევაკავო და ნაკლებად გავურიკინო. როგორც ციცაბო დაღმართზე ხის მორებით დატვირთული სამხიდიანი სატვირთო მანქანა ტორმუზების ყურისწამღები ჭყრიალით ეშვება თავქვე — ზუსტად ასეთივე მუხრუჭებით ვცხოვრობ.

ერთი თუ გაწყდა, ერთი ფეხი თუ ამიცდა, მორჩა. იალლააჰ!!!

სად, რომელ უფსკრულში გადავუჩხრიკები და ავფეთქდები, კაცმა არ იცის...

რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი შეიცვალა. ყველაფერს, მთელს გარემოს, გაცილებით უფრო მძაფრად და დეტალებში აღვიქვამ. ყოველი ახალი დღე, რომელიც მოულოდნელი სიურპრიზივით თენდება, კიდევ ერთი და უკანასკნელი ბოძებული შანსივით არის და არ ვიცი, რა მოვუხერხო, თითქოს აღარ მჯერა, რომ მომდევნო დღე კიდევ დადგება და მინდება, რაც შეიძლება ღინივრად და მაგრად გამოვიჯახუნო კარი!

შეიცვალა ისიც, რომ, ჩემი ფენომენალური სიზარმაცის მიუხედავად, ყოველი დაკარგული წუთი ნერვებს მიშლის და მგონია, რაღაც ძალიან მნიშვნელოვანს ვაკლებ და ვღალატობ.

კი, ვიცი, ვხვდები, რომ გაგანია ნევროზი მაქვს და ვუბერავ.

თან ამდენი საქმეები: მიწები, არენდატორები, დაკარგული და იდუმალებით მოცული სახლები, ადვოკატი, ნოტარიუსი, სანდრიკა, ფეფო, ამათი სკოლა, ბაღი, დაბადების დღეები, რაგბი, ცურვა, „სბორები“, ჩემი მუტრუკი ძმები — ერეკლე, ლექსო, ამათი პრობლემები — მარიამი, ჩვენი ჩხუბი, შერიგება, სიყვარული, მარიამის ეჭვიანობა — „როდის მოხვალ?“

ამ დროს კი დაუძლეველი სურვილი მაქვს, გაუნძრევლად ვიწვე, ხელში ტელევიზორის პულტი მეჭიროს, ასრაღაცა არხიდან ყველაზე სულელური შევარჩიო და ვუყურო და ვუყურო, რომ ცოტა ხანს მაინც გამოვირთო და გავითიშო.

ვერა. ვერ ვახერხებ. გონება რაღაც არაბუნებრივად ნათლად და, ამავე დროს, გიჟურად, არეულად მუშაობს. კელის ბუდეს ქვას რომ ესვრი და ეს უსურიის ვეფხვებივით ყვითლად და ყავისფრად დაზოლილი კრაზანები საომარი, ავის მომასწავლებელი ზრიალით გამოიშლებიან, ზუსტად ეგრე.

თავსა და ბოლოს რომ ვერ უგებ მათ მოძრაობას, თვალსაც რომ ვერ ასწრებ და მხოლოდ ინესტრები და ინესტრები.

ამ წვიმამ ხომ გაახურა საქმე. ყოველ დღე წვიმს, ეს ჩემისა.

მზე მაინც სხვა რამეა. სხვანაირი ენერგიით და ძალით მავსებს, სხვანაირ ტალღებს მოათხლაშუნებს.

მე სამხრეთელი ბიჭი ვარ, ჩემია მცხუნვარე მზე, სიცხე, უდაბნო, ტრამალები, მთები, ზღვა, ქალაქის ქუჩები და მტვერში გაჭენებული, გაბუღული ველური ურა ცხენები.

ისედაც მგელივით ვიღრინები და ეს გამუდმებული წვიმა, ღრუბელი და ნაცრისფერი ზეცა კიდევ უფრო მურტალ ხასიათზე მაყენებს.

ეს დაძინება და გაღვიძება ხომ ცალკე კირუხია. ძილის საშინელი თავგადასავლების აღდგენა-გახსენება. ხან კი ეს ჯოჯოხეთური ზმანებები ისე რეალურად მომყვება, რომ თვალებგახელილი და უკვე გაღვიძებული, კიდევ რამდენიმე წამით, საოცრად ცხადად ვხედავ ყველაფერს და ძლივს ვაღწევ იქიდან თავს და კიდევ უფრო ცხადად ვგრძნობ, როგორ მიცივდება ზურგი, ხერხემალი და თმის ძირები, როგორ ფრთხილად, ფეხაკრეფით მეპარება სიკვდილი და რაკი, რამდენჯერმე, პირდაპირი მოხტომით და იერიშით არაფერი გამოუვიდა, როგორ მიწვდის თავის თეთრ, ცივ, ჩინხვარივით გამხმარ თითებს, როგორი მოუთმენელი მოლოდინით მიყურებს გამოცარიელებული, ჩამქრალი უთვალო თვალებით და როგორი გააფთრებით, ხაფანგში მოყოლილი და გასასხლტომის მაძებარი მტაცებელივით, ბაგუნობს მკერდში მომწყვდეული გული.

„ჰოი შუაღამის საშინელო გამოღვიძე-

ბავ“ — შადიმან შამანაძისა არ იყოს. თუმცა გამოღვიძების შემდეგაც მაგარ პრესში ვართ მოყოლილები. სივრცე, ქუჩა და გზა თითქოს ცოტა კიდევ მშველის. აი, შენობაში, სახლში თუ რომელიღაც სულელურ ოფისში საერთოდ ჭკუიდან ვიშლები. ამ ოფისებში, სამსახურებში თუ ორგანიზაციებში ხომ, აუუუ, რა ტიპები ჩითავენ, ტო, თან ეგეთები რომ დადიან, საკუთარი თავითა და მნიშვნელობით აღვსილები რომ მოძრაობენ დერეფნებში. შეუვალები, მკაცრები და მოწესრიგებულები რომ არიან და ერთნაირები, ერთნაირად უაზრო, იდიოტური გამომეტყველება რომ აქვთ და ერთნაირად მათხოჯები რომ არიან, ერთი კონვეირიდან გადმოყრილებივით. აშკარად გასაიდუმლოებულ ლაბორატორიაში აწარმოებენ და მერე ხელმძღვანელ თანამდებობებზე ნიშნავენ — კომუნისტების დროს რაიაღმასკომის თავმჯდომარეები, ცეკას ინსტრუქტორები, რაიკომის მდივნები, პარტიული კომისრები ერქვათ. ახლა მენეჯერები, პროდიუსერები, პრომოუშენები, ოფისრუმ ვიღაცები ჰქვიათ...

ჩვენ კი სივრცეები, ქუჩები, ორღობეები, ზეცა და მიწა მაინც დავინარჩუნეთ. ეგ რაიაღმასკომის თავმჯდომარეები და ოფისრუმრაღაცები ცას მაინც ფეხებს ვერ ჭამენ... მიწა, ასფალტი, ხეები, ფოთლები, აქა-იქ ბელურები, ციყვები და კოღოებიც კი შემოგვრჩნენ...

ყველაზე მწარე, ცინიკური და უცნაური მთელს ამ ამბავში კი ის არის, რომ უნდა გადარჩე, აუცილებლად უნდა გადარჩე, რადაც უნდა დაგიჯდეს. ეს დაუსრულებელი ბრძოლაა თავის გადასარჩენად და ის, რომ ვეღარ არკვევ, რომელი უფრო შეურაცხმყოფელია, ეს თავგადაკლული ბრძოლა შენი თავისთვის, ამბიციებისთვის, რაღაც მანიაკალური „საკუთარი თავის დამკვიდრებისთვის“, თუ ხელების ჩამოშვება, დინებას მიყოლა და მშვიდად ყოფნა — „რაც იქნება იქნება...“ რა უფრო ნაკლებად ულახავს ადამიანს ღირსებას, როდის არ დაიღუპები დაბომბვის დროს, როცა ერთ ადგილას ზიხარ, თუ როცა მოძრაობ? არავინ იცის! არავინ იცის, რას ეცეს, რას ამოეფაროს, სად შეძვრეს, ან რომელ მწვერვალზე აფოფხდეს

„И не церковь и не кабак, нечего не свято!..“

უცნაური ცრურწმენები მაქვს... მაგრად ვფეთდები, ახლა 6 ოქტომბერს 42 წლის რომ ვხდები. იმენნა ეს 42 წელი არ მევასება. ეგეც 42 წლისა არ მოკვდა? ვალოდია ვისოცკი... აი, ეს 42 წელი მაქვს რატომღაც ამოკვიატებული. თუ გადავაღწიე, მერე სუ მარცხენა ბეჭზე მახატია... თან, კაი ხანია, ამოჩემებული მაქვს და ალმაცერად ვუყურებ ამ 42 წელს...

ვნახოთ, აქ არა ვართ?.. ერთი კი ვიცი, ისეთი ტრიპაჩა ვარ, როცა უნდა იყოს, მაგრა მარიაჟულად დავიბრიდები — სუ მარშით უნდა წავიდე!..

თუ ეგრე საყელოწამოწეულმა და ჯიბეში ხელებჩაწყობილმა არ შევატასაო საიქიოში, მე ვიყო რაიაღმასკომის თავმჯდომარე და ოფისმენეჯერი ერთად...

თან, ჯიბეში ხელებჩაწყობილს, ეგ ბოზისდაზრდილი შაითანები, ტარტაროზები, ეშმაკები და ბელზებელები ვეღარ დამინახავენ, როგორ ამიკანკალდება თითები...

10 მაისი

ციცის ძალიან უყვარდა თევზი და სოკო. ახლაც სახლისთვის პროდუქტებს რომ ვყიდულობ, მექანიკურად ისევ ვჩერდები თევზთან და სოკოსთან, ცოტა ხანს ვჩერდები და მერე მივდივარ. აღარ ვყიდულობ, ბავშვები არ ჭამენ, არ უყვართ. ციცი კი აქ აღარ არის...

ავად რომ გახდა, ჰემოგლობინისთვის აუცილებელი იყო კალმახი, ხარის ენა და ღვიძლი... ყოველთვის სისხლნაკლული იყო და მამაჩემი, რომელიც სახლში არასოდეს არაფერს აკეთებდა — ეზარებოდა რა — ყოველთვის თავისი ხელით უწვავდა ღვიძლს. მთელი რიტუალი იყო და ლამის ძალით აჭმევდა.

ახლა, მთელი თერთმეტი თვე, მე ვუწვავდი ღვიძლს, მემკვიდრეობით გადმოვიდა ჩემზე და მეც ზუსტად მამაჩემივით, ერთი ხალისით, ყიჟინით და ქოთქოთით ვტრიალებდი გაზქურასთან, ვიგონებდი ახალ-ახალ მეთოდებს, მომქონდა კალმახი და ხარის ენა და ისე ავუწიე ჰემოგლობინი, რომ ექიმებმა რამდენჯერმე ორჯერ აუღეს ანალიზი, ვერ დაიჯერეს, ასე მძიმე ავადმყოფს ასეთი მაღალი ჰემოგლობინი რომ ჰქონდა...

მაინც ვერ გადავარჩინე და ახლა საცოდავად გავჩერდები ხოლმე თევზისა და სოკოს სექციებთან.

ვდგავარ, ვდგავარ, მერე ვბრუნდები და თავჩაღუნული სწრაფად მივდივარ, არსაით აღარ ვიყურები, აღარაფრის დანახვა აღარ მინდა.

12 მაისი

მთიულები ბოღმები ხართო. რატო, ტოო? ახლა მე გეტყვით, რა განსხვავებაა რუსულ და მთიულურ ბოღმას შორის...

ამ რუსებს რა ჭირთ და, უმიზეზოდ გებოღმებიან. შემოვლენ შენს ქვეყანაში და „Ишь чорножопии какая у вас красивая страна...“ ვინმე ქართველი დიდ, დიიდ სახლს ააშენებს, აი, ისეთს, ყველა ოთახში თვითონაც ნამყოფიც რომ არ არის და „Ишь кулак выспроил целую казарму, а на какие деньги?“ სხედან ეს კრეტინი ქართველები, მდინარის პირას ქეიფობენ და „Во сволочи сидят жрут“ მღერიან და „Поют гады, им всё нипочём.“ ქალს მოეწონები და „Вот гад, вымахал в две аршина, бабы так и липнут.“

ვაახ!.. რა გინდა, შე ჩემისა, შენს ქვეყანას მიხედე, შენც ააშენე სახლი, შენც იქეიფე, შენც იმღერე, შენც მოეწონე ქალს, მე დაგიშალე?.. ჩემი ბრალია, რო ვერ აშენებ, ვერ ქეიფობ, ვერ მღერი და ეგეთი რომელ ქალს მოუნდები და მოეწონები?..

მთიულს ხომ შეხვედრიხართ? ქეიფობს და „მოდი, სახლიკაცო, მოდიო“ — გეძახის. გზას ჰკითხავ, ღიმილით მიგასწავლის. მოგიკითხავს, რამე ხო არ გიჭირსო — გკითხავს. სახლში შეხვალ და „აგე, ჩემი სახლ-კარიო“ — გეუბნება. ჰყავს ერთი ჯიშიანი ქალი და „ეგე, ჩემი დედაკაციო“ — გაგაცნობს და შენ თუ ამ ყველაფრის მერე — ზუსტად მაგ რუსული ბოღმის გამო — „Ишь ты гад, смотри как хорошо живёт“-ო, იმ სუფრაზე წიხლს უკრავ, სიმღერას დაუშლი, სახლ-კარს დაუნგრევ, დედაკაცს შეურაცხყოფ და ღირსებას შეულახავ, მერე იწყება მთიულური ბოღმა — მორჩა, დამთავრებულია საქმე, ვეღარც ეუთო გიშველის, ვეღარც გაერო, ვეღარც დიდი რვიანი და ვეღარც ატომური ბომბი. როცა იქნება, სადაც იქნება, რამდენი ხანიც უნდა გავიდეს, სადაც უნდა დაემალოს, რაც უნდა უთხრა და უხსნა, მაინც იპოვის. თან ამ ხნის განმავლობაში ამ სიძულვილს კი არ შეაჭმევინებს თავს, არა, იცხოვრებს, ააშენებს, იქეიფებს, ქალებს გაეარშიყება, მაგრამ ის ყოველთვის ეცოდინება, რომ მტერი ჰყავს და იმ მტერთან ანგარიში აქვს გასასწორებელი და ეს მოხდება ერთი უმარტივესი, შეუვალი და უსასტიკესი არგუმენტით: „რათა, სახლიკაცო, რას მემართლებოდა, რას მერჩოდა? რა დავუშავე? აი, რათა? მოვიდა, მივიღე, რაზე გამიმეტა? ჰოოდა, ეხლა მიყუროს მაგანა...“

ეს უკვე მთიულური ბოღმაა. თან სრულიად დარწმუნებულია საკუთარ სიმართლეში და, აი, აქ იწყება: „Ягуар не думает, он просто знает!“

მაინც მოძებნის და სადაც წაიმწყვდევს და მოიხელთებს იმ თავის მტერს, იქ მოკლავს!..

დასასრული შემდეგ ნომერში

ნინო ჩხიკვიშვილი

სიზმარი

თვალისჩინიც წართმეოდა. იწვა. აღარ ლაპარაკობდა. თუ რაიმეს შეეკითხებოდი, მოჭრით გიპასუხებდა, ანდა... წაგიყრუებდა.

— თავისას არ იშლის, მოურჯულებელი იყო და... ასეთივე დარჩა! — ჩაილაპარაკა თვალცრემლიანმა ქალმა და ექიმს მობოდიშებით შეხედა.

— როგორი დავრჩი? — საყვედურით ძლივს ამოთქვა მოხუცმა.

— უცნაურია, როგორ გაიგონა? წუხელის კი ვეღარავინ გვიცნო, პაოლოს ახსენებდა, მოვდივარ, მოვდივარო!

— ოთახიდან გადით, ახლა ჩემი პაოლო მოვა, გვაცალეთ ლაპარაკი! — ძლივს გასაგონად ჩაიჩურჩულა მომაკვდავმა.

— რას ამბობ, ადამიანო, აქ რა უნდა პაოლოს?! — შეეპასუხა მეუღლე.

— იცით... ეს... ამ დროს ასე იცის, ნუ გაგიკვირდებათ! — ექიმს უნდოდა, რაღაც სანუგეშოც ეთქვა, მაგრამ კარისკენ გაეშურა. თავაზიანად დაემშვიდობა ოჯახის წევრებს და მხოლოდ იმისი თქმაღა მოახერხა: დიდი ეპოქა დამთავრდაო. თუმცა მისი ნათქვამი არავის გაუგონია, უკვე ქუჩაში იდგა. ალბათ, დილამდის ვეღარ გასტანსო! — გაიფიქრა.

* * *

— აი, მოვიდა, კოლაუც მოვიდა! — აფორიაქებულმა პაოლომ ნაბიჯი წადგა და დანარჩენებიც წამოიშალნენ.

— ჰო, მეც მოვედი! — გაიღიმა კოლაუმ და თვალები ისე მოჭუტა, თითქოს მზის სხივმა თვალი მოსჭრაო.

— ძმაო! — ხელზე აკოცა პაოლომ.

— შენსას მაინც არ იშლი? — ხელი ხელზე მოუჭირა მოხუცმა.

— ეჰ, ვერ მიყურებ, ხომ? ნუ გეშინია! გარწმუნებ, მალე ამ ჭრილობას ვეღარ შეამჩნევ. თავიდან ყველა ასე იყო, მერე გადაავიწყდათ, — პაოლომაც სცადა გაღიმება.

— მე ვერ დავივიწყებ!..

— სხვა რა გზაა? — წინ წარდგა სერგო.

— შენც დამასწარი, სერგო! — ახლა სერგო კლდიაშვილს გადაეხვია კოლაუ და ორივეს გულიანად გაეცინა.

— ჰო, იცინეთ, იცინეთ, რა გენაღვლებათ, მე კი ყველას დაგავიწყდით, კოლაუ, ვეღარ მცნობ? — გაფითრებული შალვა აფხაიძე წელში გასწორდა და თვალის უპეები მოისრისა.

— მეგონა, მარტო მე და სერგო დავბრმავდით, შენც რა დაგმართნია, შალვა! — ახლა აფხაიძეს მიუახლოვდა უკანასკნელი ცისფერყანწელი და ისე გაიხარა ძველი მეგობრების ნახვით, რომელი ერთი უნდა მოეკითხა, აღარ იცოდა, — დღე არ გავიდოდა უთქვენოდ.

— ჩვენც მოგელოდით!

— ეჰ... თუკი მომელოდით, ასე რად...

— ჩემი სიზმარი არ გახსოვს, კოლაუ? — სიტყვა გააწყვეტინა მიწიშვილმა.

— რომელი?

— რომ დაგვტიროდი!

— რაო? ვერ ვიხსენებ!

— დაგავიწყდა?

— არ მახსოვს და... მომკალი, თუ გინდა!

— რავა, დაგავიწყდა, ასე უნდა, შეკაცო?! — უსაყვედურა სანდრო ცირეკიძემ, კიდევ აპირებდა რაღაცის თქმას, მაგრამ ნიკოლომ არ დააცადა და მოყოლა დაიწყო: საფრანგეთში რომ ვიყავი... მესიზმრა, თითქოს მინდორზე ვდგავარ, უნივერსიტეტთან — ტრიალ მინდორზე. ირგვლივ ყველაფერი თოვლს დაუფარავს, ალა-ლაგ კი ტალახში აზელილა თოვლი. მე კი მივდივარ და ვხედავ, გზის პირას, როგორც საცხედრეში, მწკრივად გაწოლილხართ, ბიჭებო, მთვრალებივით, არა, მოწამლულებივით დაყრილხართ მიწაზე და მხოლოდ შენღა ხარ ფეხზე, კოლაუ, შენც გასუდრული დაიარები, ხან ერთს მიუახლოვდები და ხან — მეორეს, თითქოს წამლობ და თან რაღაცას ბუტბუტებ შეღოცვასავით... იხრები და ფრთხილად ხელს უსვამ სახეზე, ისე, როგორც მკვდრებს თვალებს უხუჭავდე!

— ნუ დამზაფრავ ახლა! — გააწყვეტინა მოხუცმა.

— დაჯექი, მოითქვი სული, ამხელა გზა გამოიარე! — შალვა კარმელი მიუახლოვდა, დაჟინებით დააცქერდა, თითქოს რაღაცას იხსენებსო: მერე წამღერებით დაიწყო: გადაგაშენა ზამთრის ობლობამ!!! ულამაზესია... იცი... ამაზე ტკბილი ცრემლი არც დამცემია გულზე!

— შალვა, მაპატიე, ვერ შეგამჩნიე, — კოლაუ კარმელს გადაეხვია. შალვას გული აუჩუყა დიდი ხნის მეგობრის ნახვამ, ტიციანსაც ცრემლით აევსო ცისფერი თვალები.

— ნუთუ ასეთი ბებერი ვარ, სერგო, შენ მაინც მიშველე! — ისევ სერგო კლდიაშვილს მიაჩერდა მუდარის თვალით პოეტი და შეტორტმანდა. ეცადა, თავი შეეკავებინა, რომ არ შეემჩნიათ მისი უეცარი წაფორხილება, მაგრამ ამათ რას გამოაპარებდა.

— დაღლილი იქნები, აგერ, მდელოზე ჩამოჯექი! — ისევ პაოლომ მოჰხვია ხელი.

— ახლა, რადგან შენც მოხვედი, ჩემო კოლაუ, ყველანი ერთად ვართ და აღარც სადმე მიგვეჩქარება, ვისხდეთ ასე, ვიბაასოთ, მოვიგონოთ წარსული! — რაღაცით ნაწყენი ჩანდა გულჩათხრობილი ვალერიანი.

კოლაუ გაეხუმრა — ჭიჭიკო, მიდი, დაიწყე ახლა შენებური მეტაფორებიო და.. კიდევ უნდოდა, რაღაც ეთქვა, მაგრამ... მესაფლავემ უკანასკნელი ბელტი მიაყარა საფლავს და ნიჩაბი მოისროლა. ახლა უფრო ნაფორხილდა კოლაუ და პაოლოს გვერდით მდელოზე მოიყარა მუხლი. პაოლო ისეთი გახარებული იყო, რომ ვერ მოითმინა და ხმადაბლა წამოიწყო: „მე ვარ და ჩემი ნაბადი, გამთენებელი ღამისა!“ ტკბილად, ხმაშეწყობილნი ამღერდნენ ცისფერყანწელები.

* * *

უეცრად საფირონისფერი მწუხრი გადაიყარა: გრიგოლ რობაქიძე გამოჩნდა, რილკე ედგა გვერდით და ცვაიგი. ბაასობდნენ. ცისფერყანწელებს მათი საუბარი არ ესმოდათ. რილკეს მარტოობის საიდუმლო ამოეხსნა და გახარებული იყო. თუმცა გრიგოლი ყურადღებას აღარ აქცევდა. აქეთ იმზირებოდა. სახის ყოველი ნაკვთი უთრთოდა, ერთი სული ჰქონდა, მალე შეერთებოდა ამღერებულთ...

მწერალი

დათო ქარდავა

მისი მხატვრული პერსონაჟები ჩვენნაირი ხალხია ჩვენებური ცხოვრებით, სურვილებით, ზრახვებით, მიზნებით, პატარ-პატარა სიხარულებით, დაცემებითა და ადგომებით, ვნებებითა და სათნოებებით. ჩვენ შორის ტრიალებენ და ჩვენ თვალწინ თამაშდება მათი ცხოვრება — ცოცხალი, დინამიკური, ღრმა, ავტორის გემოვნებითა და მისივე გადმოცემული. თავის ბლოგებსა და რეპორტაჟებშიც ის გვიყვება ამბებს, ყველას რომ გვაღელვებს, მსუყე, ინფორმაციულად დატვირთულ, ერთი ამოსუნთქვით წასაკითხ წერილებს გვაწვდის, ბოლომდე გახსნილი თემებით, და საფიქრალსაც გვიტოვებს. მოკლედ, პროზაშიც და პუბლიცისტიკაშიც ერთ-ერთი საინტერესო მთხრობელია. მისი ორი სახელი და გვარი, დიდი ხანია, აღარავის აბნევს. „ნოეს მტრედები“, „ტუალეტში საკითხავი“, „მტკვარი და მისი ორი ნაპირი“ , „ესავის ხელები“ უკვე წაკითხულია. ვიცით, რომ დათო ქარდავასგან უნდა ველოდოთ კიდევ ბევრ ახალ და მნიშვნელოვან ტექსტს მხატვრულ და დოკუმენტურ პროზაში. ჯიმშერ რეხვიაშვილისგან კი ცხელ-ცხელ და აქტუალურ პუბლიცისტურ საკითხავს.

ინტერვიუ ლიტერატურულ კონკურს „საბას“ მოკლე ნუსხის გამოქვეყნებამდე ჩამოვართვი. ასე რომ, ვისაც ეს ნუსხა არ გინახავთ, გაცნობებთ, რომ მისი „ესავის ხელები“ „საბას“ შემდეგ ეტაპზე გადავიდა.

— რატომ გადაწყვიტეთ, რომ პუბლიცისტიკაში გემუშავათ, როგორც ჯიმშერ რეხვიაშვილს, ხოლო პროზაში გეწერათ დათო ქარდავას ფსევდონიმით?

— დავიწყოთ იმით, თუ რატომ გაჩნდა საერთოდ ფსევდონიმი. როცა წერა დავიწყე, არ მეგონა, რომ მთელი ცხოვრება მომიწევდა ამ საქმის კეთება. ფიზიკოსი ვარ, უფრო სწორად, ნაფიზიკოსარი. მთელი ბავშვობა ფიზიკოსობაზე ვოცნებობდი. მომწონდა არა მხოლოდ ფიზიკა — მეცნიერება სამყაროს უნივერსალური კანონების შესახებ — არამედ თვითონ ფიზიკოსებიც, ადამიანები, რომლებიც აღმოჩენებს აკეთებდნენ, საოცარ ცდებსა და ექსპერიმენტებს ატარებდნენ. ცხადია, საგანსაც კარგად ვსწავლობდი, ამოცანებსაც ვხსნიდი, მაგრამ ყველაზე მეტად მომწონდა ფიზიკოსების სამყარო სავსე გენიალური აღმოჩენებით, უცნაურობებით... ფიზიკისადმი სიყვარულის გაღვივებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა პროფესორმა ვახტანგ პარკაძემ, მეცნიერების ისტორიის მკვლევარმა, რომლის წიგნების სერია, „ფიზიკოსების შესახებ“, ლამის ზეპირად ვიცოდი. მგონი, იქ ამოვიკითხე, რომ აკადემიკოსმა იოფემ — სწორედ იმან, ვლადიმირ ვისოცკის ერთი ცნობილი სახუმარო სიმღერის პერსონაჟი რომ არის — დრო რომ დაეზოგა, ლოგარითმული სახაზავით გამოთვლებისას, ზეპირად ისწავლა მთელი ოთხნიშნა მათემატიკური ცხრილი! როგორი ამბავია! ცხადია, მაბოდებდა აინშტაინზე, ნილს ბორზე, შრედინგერზე, რეზერფორდზე, ლანდაუზე და სხვა გენიოსებზე... უფრო ძველებზეც — არქიმედეზე, ნიუტონზე, გალილეიზე და კიდევ ბევრ სხვაზე, რომლებსაც აღმოჩენებზე არანაკლებ საინტერესო ბიოგრაფიები ჰქონდათ. მახსოვს, პროფესიის არჩევაში ასევე დიდი როლი ითამაშა გურამ ფანჯიკიძის რომანებმა, რომლებშიც ლამის ყველა პროტაგონისტი ან ფიზიკოსი იყო, ან მათემატიკოსი, ანდა ინჟინერი. მას ასევე საინტერესო პუბლიცისტური წერილები ჰქონდა ფიზიკისა და ფიზიკოსების შესახებ... მაგრამ უნივერსიტეტში სწავლის ბოლო წლებს დაემთხვა ჯერ თბილისის ომი, შემდეგ ომი აფხაზეთში, რასაც მოჰყვა დევნილები, უშუქობა, უმუშევრობა და ფიზიკოსობის ოცნებიდან დარჩა მხოლოდ ფიზიკოსის დიპლომი.

— მაშინ ბევრმა ადამიანმა, მათ შორის ფიზიკოსმაც, შეიცვალა პროფესია.

— სწორედ ერთი ასეთი მეგობარი მუშაობდა ყოველდღიურ გაზეთში. ხან ტრანსპორტი არ მოძრაობდა, ხან იმას არ ეცალა, ხან მე, რის გამოც ხშირად ვერ ვხვდებოდით ერთმანეთს, მაგრამ როცა ამის საშუალება მოგვეცემოდა, დიდხანს ვსაუბრობდით. ერთ საღამოს რაღაც სასაცილო ისტორიები მოვუყევი, ბევრი იცინა და წასვლისას მითხრა, რაც მომიყევი, დაწერე, თუ რედაქტორსაც მოეწონება, დაგიბეჭდავთ და ჰონორარსაც გადაგიხდითო. თავიდან მეგონა, ხუმრობდა, მაგრამ დამიბეჭდეს. შინაარსი ზუსტად არ მახსოვს. რაღაც ამბავი იყო უშუქოდ დარჩენილი ქალაქის ცხოვრებაზე. მაშინ

„არ გვაქვს ჩარჩოები“

აქტუალური იყო უშუქობა, უგაზობა, უწყლობა, უმუშევრობა, უფულობა. მოკლედ, დამიბეჭდეს, მაგრამ იმის გამო, რომ არ ვიცოდი, რა რეაქცია ექნებოდათ ახლობლებს, უარი ვთქვი ჩემი სახელით გამოქვეყნებაზე. მეგობარმა, რა პრობლემაა, ფსევდონიმი მოვიფიქროთო და მოიფიქრა — დათო ქარდავა. დათო ჩემი პირველი შვილის სახელია, ქარდავა კი — დედის გვარი. რამდენიმე ფელეტონის შემდეგ რედაქტორმა შემომთავაზა, ბარემ რეპორტინგიც დაიწყე, მარტო ფელეტონებით რა ჰონორარი უნდა გამოიმუშაო. ცხადია, დავთანხმდი, ოღონდ ფსევდონიმზე უარი აღარ მითქვამს. ასე გაგრძელდა 2003 წლამდე, ვიდრე რადიო „თავისუფლებაში“ დავიწყებდი მუშაობას. ყველაფერს, მათ შორის მხატვრულ ტექსტებსაც, დათო ქარდავას ფსევდონიმით ვაქვეყნებდი. რადიოში მუშაობის დაწყების შემდეგ დათო ქარდავა წერს მხოლოდ მხატვრულ ტექსტებს, ჯიმშერ რეხვიაშვილი კი — პუბლიცისტიკას.

— თქვენს „ესავის ხელებს“ ლიტერატურულ წრეებში დიდი გამოხმაურება მოჰყვა, ბევრი „საბას“ ლაურეატობის ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად მიგიჩნევთ, თქვენ როგორ აფასებთ საკუთარ შანსებს?

— ძნელია შანსებზე სერიოზული მსჯელობა, როცა ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებაზეა ლაპარაკი. ლიტერატურას არ აქვს ცხადი კრიტერიუმები, ყველაფერი ფარდობითია და „პრემირებაც“ დამოკიდებულია არა მხოლოდ ტექსტზე, არამედ ჟიურის წევრებზე, მათ გემოვნებაზე. როცა ნობელის პრემიას გადასცემენ რომელიმე ფიზიკოსს ან ქიმიკოსს, ყველასთვის ყველაფერი ცხადია, მაგრამ ლიტერატურაში ნობელის გაცემას ხშირად ახლავს იმედგაცრუება და წუხილი იმაზე, რომ სხვას მეტად ეკუთვნოდა. ლიტერატურას რომ ფუნდამენტური მეცნიერების მსგავსი კრიტერიუმები ჰქონდეს, ნობელის პრემიის გარეშე ვერ დატოვებდნენ ჯონ აპდაიკს და ფილიპ როტსაც დიდი ხნის წინ ექნებოდა თავისი სანობელე სიტყვა წარმოთქმული. ამის გამო, არ გამიკვირდება, „საბა“ მე რომ მომცენ, ისევე, როგორც არ გამიკვირდება, რომ არ მომცენ და რომელიმე ჩემი კოლეგა გახდეს ლაურეატი.

— რამდენად იცნობთ თქვენი კონკურენტების, კოლეგების ნამუშევრებს?

— ცხადია, ვცდილობ, წავიკითხო კოლეგების ტექსტები, თვალი მივადევნო ლიტერატურულ პროცესს. უმეტესობას მოკლე სიის გამოქვეყნების შემდეგ ვკითხულობ, მაგრამ არიან ავტორები, რომლებიც კონკურსებისა და პრემიების გარეშეც მაინტერესებს. „ლიტერას“ შემთხვევაში, მოკლე სიის გამოქვეყნებამდე წაკითხული მქონდა ოთხიდან სამი ტექსტი. თუ სწორად მახსოვს, „საბას“ გრძელ სიაში, პროზაული კრებულის ნომინაციაში, 20-ზე მეტი ტექსტია. ყველას ალბათ ვერ ან არ წავიკითხავ, თუმცა ნაწილს უკვე გავეცანი, ნაწილს კი მოკლე სიის გამოქვეყნების შემდეგ ჩავუჯდები.

— „ლიტერას“ ლაურეატი ხართ, „საბას“ არაერთგზის ნომინანტი. რა განცდაა ან რა მნიშვნელობა აქვს თქვენთვის, როგორც მწერლისთვის, ჯილდოს?

— ზოგადად არ მომწონს ყურადღების ცენტრში ყოფნა. თან მწერლობა ისეთი რამეა, რომ ყველა რაღაც ჭკვიანურის თქმას ელის, შენ კი ამ დროს ისეთ უხერხულობას განიცდი საყოველთაო ყურადღების გამო, რომ აზრების თავმოყრა და გამართულად მადლობის თქმაც კი გიჭირს, თუმცა, ცხადია, ლიტერატურული პრემია არ არის ყველაზე უარესი, რაც შეიძლება დაემართოს ადამიანს. მით უფრო, რომ თანხა, რომელიც თან ახლავს პრემიას, ავტორების აბსოლუტური უმეტესობისათვის ერთადერთი გასამრჯელოა, რასაც წიგნის გამოცემიდან იღებენ. ცხადია, პრემიას ახლავს მატერიალურ სარგებელზე მეტი რამ — კოლეგების აღიარება!

— მაინტერესებს ხოლმე, როგორ უმკლავდება დროს ავტორი, რომელიც წერს სხვადასხვა ჟანრში, სხვადასხვა მიმართულებით. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის ლიტერატურაში მუშაობას, მით უმეტეს, ჩვენს ქვეყანაში, მასალისა და თემების სიმრავლის გამო, დიდი შრომა, ენერგია მიაქვს, დროც. არადა, ვფიქრობ, პროზაც, დოკუმენტური იქნება თუ მხატვრული, ძალიან ეჭვიანი რამეა, მწერალს მთლიანად ითხოვს, და ალბათ, იშვიათია, რომ მას პუბლიცისტიკისთვის დარჩეს დრო. როგორ ახერხებთ წარმატებით წერას ორივე მიმართულებით, როგორ ატყუებთ დროს?

— ვატყუებ კი? უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ტყუვდება კი? ყველა საქმიანობისთვის განკუთვნილი დრო — დროები — ერთმანეთთან დაკავშირებულია ზიარჭურჭლის პრინციპით. ერთ საქმეს დაუთმობ, სხვა საქმეს მოაკლდება. სამსახურს მიაქვს ყველაზე მეტი დრო და დღე-ღამის ყველაზე ნაყოფიერი პერიოდი. ძნელია, შეუძლებელი თუ არა, საქართველოში მხოლოდ ლიტერატურით თავის გატანა. ისიც კარგია, რომ ლიტერატურული პერიოდიკა მაინც იძლევა მცირე ჰონორარს. ისე, ტრადიცია აქაც სავალალო გვაქვს. მგონი, იპოლიტე ვართაგავას აქვს მოგონებებში — ჰონორარებს საქათველოში მხოლოდ აკაკის და ვაჟას უხდიდნენო. საბჭოთა პერიოდში სხვაგვარად იყო, მაგრამ ეს უკვე სულ სხვა ამბავია. „მტკვარსა და მის ორ ნაპირზე“ ვიმუშავე ძალიან ბევრი, ლამის ორი წელი მოვანდომე მასალების შეგროვებასა და დალაგებას. შვებულებები გავატარე საჯარო ბიბლიოთეკაში, მაგრამ ჯამში მიღებულმა ჰონორარმა ერთი თვის ხელფასის ნახევარიც კი არ შეადგინა. ამიტომ სამსახურს ვერ ვუღალატებ, ლიტერატურისთვის კი რჩება სამი-ოთხი საათი ძილის წინ და უქმეები. თუ რამე სასწაული არ მოხდა, შაბათ-კვირას სახლიდან ვერავინ გამიყვანს.

— თუმცა, ეს ალბათ საკმარისი არ არის.

— ცხადია, დრო მაინც არ მყოფნის და ამის გამო წლობით მომყვება დაუმთავრებელი მოთხრობები, ესეებისთვის შეკრებილი მასალა, რომანის მონახაზი და ასე შემდეგ. მოთხრობის ან რომანის დასაწერად ხანგრძლივი და უწყვეტი ძალისხმევაა საჭირო, მაშინ როცა ბლოგი ერთი ამოსუნთქვით იწერება. ცხადია, საკითხს ზედმიწევნით უნდა იცნობდე და თადარიგიც უნდა გქონდეს დაჭერილი წყაროების მონიშვნის სახით. კითხვისას, განსაკუთრებით დოკუმენტური პროზის ან მემუარების კითხვისას, ფანქრით ვინიშნავ საინტერესო ადგილებს. ბლოგ-პოსტის ჩემი სტანდარტი ასეთია: მხოლოდ რეფლექსია, რას განვიცდი და ვფიქრობ მოცემული საკითხის შესახებ, არ კმარა. მჭირდება წყაროები, ავტორიტეტები, სხვა გამოცდილება, დამოწმებები... მოთხრობაზე მუშაობისას, ცხადია, განსხვავებული მოცემულობაა. აქ არ გვაქვს ჩარჩოები და შეზღუდვები. წერა, შეიძლება, დაიწყო ქუჩაში შემთხვევით ყურმოკრული ერთი ფრაზით, სიტუაციით, პერსონაჟის აღწერით. მერე ტექსტი იზრდება, პერსონაჟებიც ცოცხლდებიან და ამ ფიქტიური სამყაროს ლოგიკა გავლენას ახდენს შენს გრძნობებზე, ფიქრებზე, ენერგეტიკაზე და აჩენს ახალ პერსონაჟებს, ახალ სიტუაციებს და ასე შემდეგ. დოკუმენტურ პროზაში მთავარია საკვლევი თემის მკაფიოდ ჩამოყალიბება და ტექსტის სტრუქტურის განსაზღვრა. როცა „მტკვარზე“ ვმუშაობდი, ზღვა მასალა გადავამუშავე, მაგრამ წერის დაწყება გამიჭირდა. როგორც კი თავებად დავყავი, განვსაზღვრე სტრუქტურა, თხრობის ლოგიკა, წერაც გაიოლდა. კარგი დოკუმენტური ტექსტისთვს საჭიროა წყაროები, წყაროები და წყაროები! შესაბამისად, ბევრი ძებნა და კითხვა. კარგი დოკუმენტური ტექსტი ძალიან ჰგავს მოზაიკას, რომელშიც ფერადი კენჭების როლს წყაროებიდან აღებული ციტატები და დამოწმებები ასრულებენ.

— თქვენი ყველა პერსონაჟი მებრალება, თითქოს ვერც ვანსხვავებ დადებით და უარყოფით გმირებს, იმიტომ, რომ ყველას მსხვერპლის სახე აქვს. თქვენ კი, ავტორი, მგონია, რომ დასცინით, კიცხავთ, გებრალებათ და გიყვართ ერთდროულად. ასეა? მგონი, თანამედროვე მსოფლიოს პორტრეტიც ასეთია — ყველაფერი შეიძლება ატაროს თავის თავში ადამიანმა და ყველას ჰქონდეს თავისი სიმართლე.

— ვფიქრობ, რომ ასეთია ადამიანის ბუნება და ასეთია ჩვენი სამყარო. ერთმნიშვნელოვნად კარგი და ცუდი ადამიანები არ არსებობენ, თუმცა ჩვენი კულტურისა თუ ტრადიციების გამო ანტაგონისტის პოტენციალი ლამის ყველა სუბიექტშია თავმოყრილი. ჩვენი ყოფა სავსეა ძალადობით. ვიტყოდი, ცინიკური და სასტიკი





ძალადობით. ნებისმიერი უწყინარი კამათი ოჯახის წევრებს, მეზობლებს, მეგობრებს ან სულაც უცხო ადამიანებს შორის შეიძლება მკვლელობით დასრულდეს. მასწავლებელმა შეიძლება, დაჩაგროს მოსწავლე, შვილმა — მშობელი, მშობელმა — შვილი, ქმარმა — ცოლი... სასულიერო პირიც კი გამოსავალს ძალადობაში ხედავს. ჩვენს სოციუმში მსხვერპლი, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ იმით განსხვავდება მოძალადისაგან, რომ ძალადობის ნაკლები შესაძლებლობა აქვს. მორალის თვალსაზრისით, მათ შორის არანაირი განსხვავება არ არის. ცხადია, პერსონაჟებს არ დავცინი, მაგრამ არც მებრალებიან. მათთან ემოციურ დამოკიდებულებაზე არც ვფიქრობ. ჩემი მთავარი საზრუნავი მათთვის სულის ჩადგმაა. როგორც რეანიმაციის დროს ექიმი ვერ იქნება ემოციების იმედად, ასევე მწერალიც წერის პროცესში.

— თქვენს მხატრულ ნაწარმოებებში ჟურნალისტიკა, ირიბად თუ პირდაპირ, თითქმის სულ ფიგურირებს და სრულიად დამანგრეველი ძალა აქვს. ვგულისხმობ, რომ აბსურდს, სინამდვილედ გარდასახულ ტყუილს, ადამიანების ვნებებზე თამაშის უნარს, აქვს ძალა, რომელიც მართავს მასას და შეუძლია, იმ ძაღლებივით დაახოცინოს ადამიანებს ერთმანეთი, როგორც „ესავის ხელებშია“. ნების შემთხვევაში, პირიქითაც შეიძლება მოხდეს, მაგრამ, მაინც მგონია, რომ „იაკობობა“ მასმედიის ბუნება არ არის, ის ესავის მემკვიდრე უფროა.

— ჟურნალისტი პერსონაჟები ისევე შეუმჩნევლად შემოიპარნენ ჩემს ტექსტებში, როგორც მათი პროტოტიპები ჩვენს რეალურ ცხოვრებაში. „ესავის ხელები“, „ძია ევგენის თამაში“, „ამინდის კაცი“, „მეხუთე დღე“ — ყველა ამ მოთხრობაში მთავარ ან მეორეხარისხოვან პერსონაჟად გამოყვანილია ჟურნალისტი და არა მარტო იმის გამო, რომ ჟურნალისტიკის სფეროს ვიცნობ კარგად და იოლად შემიძლია ამ სამყაროს აღწერა. ჟურნალისტები და ზოგადად მედია წარმოუდგენლად დიდ გავლენას ახდენენ ჩვენს არჩევანზე და, შესაბამისად, ჩვენს ცხოვრებაზე. როგორც წესი, ვწერ ცუდ ჟურნალისტიკაზე, ამორალურზე, რომლის ინტერესი არ თანხვდება საზოგადოების ინტერესს. ეს არ ნიშნავს, რომ წესიერი, მაღალი სტანდარტის ჟურნალისტიკა არ არსებობს, უბრალოდ, ამორალურს ბევრად მეტი ზიანის მოტანა შეუძლია და საკვლევად თუ სამხილებლადაც ის უფრო საინტერესოა. ცუდი ჟურნალისტიკაც ორ პირობით ნაწილად შეიძლება დავყოთ. პირველ ჯგუფში შედიან არაპროფესიონალები, რომლებმაც არ უწყიან რას აკეთებენ — ერთგვარი სულიერი ძმები გიორგი გურჯიევის იდიოტების კიბის პირველ საფეხურზე მდგომი ობიექტური იდიოტისა, „ძია ევგენის თამაშიდან“, ხოლო მეორე ჯგუფში შედიან კვალიფიციური ჟურნალისტები, რომლებიც შეგნებულად არღვევენ ეთიკის ნორმებს და ბევრი რამის გამო ცდილობენ საზოგადოებრივი აზრით მანიპულირებას, როგორც „ესავის ხელებშია“. ეს ჯგუფი ბევრად უფრო სიცოცხლისუნარიანი და სახიფათოა, რადგან ფლობს „მკვლელობის“ უფრო დახვეწილ იარაღს.

— ზოგადად, რამდენად გეხმარებათ ჟურნალისტობა მწერლობაში? თუ გავითვალისწინებთ, რომ ძალიან ბევრი ცნობილი ავტორი, დასაწყისში მაინც, ჟურნალისტი იყო, ეს ალბათ განსაკუთრებული გამოცდილებაა.

— ცხადია, მდიდარი გამოცდილებაა. გიწევს უამრავ ადამიანთან ურთიერთობა, მათი ისტორიების მოსმენა, მათ საცხოვრებელ გარემოში შეღწევა და ასე შემდეგ. ყველაფერი ეს შეიძლება გამოგადგეს მხატვრულ ტექსტზე მუშაობისას. წლების წინ სიღარიბის შესახებ ვაკეთებდი სიუჟეტს. მჭირდებოდა მთავარი პერსონაჟი. სრულიად შემთხვევით, ვაკის პარკთან გაჩერებაზე შევამჩნიე შავებში ჩაცმული ქალი, რომელიც სავსე, მაგრამ უცნაურად მსუბუქ ტომრებს ეზიდებოდა. ტვირთის კიბეებზე ამოტანაში ეხმარებოდა შვილი, პატარა გოგონა. გამოველაპარაკე ამ ქალს. მითხრა, რომ მცხეთიდან იყო, ჰყავდა ლოგინად ჩავარდნილი ქმარი, თვითონ არსად მუშაობდა და შიმშილით რომ არ დახოცილიყვნენ, ტყეში აგროვებდა ხავსს, რომელსაც დღის ბოლოს საყვავილეებში აბარებდა. როგორი ამბავია? ხავსზე მოჭიდება პირდაპირი მნიშვნელობით! სიღარიბის ასეთ მეტაფორას ყველაზე დიდი ფანტაზიის მქონე შემოქმედი — ცხოვრება თუ შემოგვთავაზებს. თუმცა ჟურნალისტობას აქვს მეორე, მწერლისთვის ნეგატიური მხარეც. ხშირად გიწევს ისეთ ტექნიკურ თემებზე მუშაობა, რომელსაც, შემოქმედებითი თვალსაზრისით, არანაირი ხიბლი არ აქვს. არადა მთელი დღე გონება მაინც ამ რუტინული სამუშაოთია დაკავებული. ერთდროულად ორ საკითხზე — დღის ბოლოსთვის ჩასაბარებელ სიუჟეტსა და დაუმთავრებელ მოთხრობაზე — ვერ იფიქრებ. ასეთ დროს გშურს მტვირთავის, მეეზოვის, მჭედლის ან მძღოლის, რომლებსაც შეუძლიათ ერთი საქმე აკეთონ ხელებით, მეორე კი — თავით.

— როგორც მკითხველი, მსუბუქ რელიგიურ განცდასა თუ მოტივს თქვენს პროზაში, იცით, როგორ ვხსნი? ყველაფერი რაც ხდება დღეს, უკავშირდება დასაბამს — ყველაფრის ძირი იქ არის და დღევანდელი დღის უტყუარი ახსნაც სწორედ ბიბლიურ ამბებსა და სახეებშია. ახალი არაფერია, ადამიანის ვნებები ისეთივეა, პირველშობილებს რომ ჰქონდათ. ძალიან ძველია ეს სცენა, მხოლოდ პერსონაჟები და დეკორაციაა ახალ-ახალი. არ ვიცი, რამდენად სწორად ავხსენი, რამდენი მკითხველიცაა, მწერლობის აღქმაც იმდენნაირია.

— არ ვარ ღრმად და თანმიმდევრულად რელიგიური. ბოლოს ეკლესიაში როდის ვიყავი, არც კი მახსოვს. ბიბლიაც ჩემზე შთაბეჭდილებას ახდენს არა რელიგიურობის, არამედ ლექსიკის, ენობრივი ქსოვილისა და მრავალფეროვანი სიუჟეტების თვალსაზრისით, გამაოგნებელი ამბებით, პერსონაჟებით, ვნებებით და ასე შემდეგ. ეს ყველაფერი გიზიდავს და გაცდუნებს, დაესესხო, გააგრძელო, ინტერპრეტაციას მიმართო. ცხადია, ესეც არის, მაგრამ ის, რომ თითქმის ყველა მოთხრობაში გვხვდება რელიგიური მოტივი, თანაც არა ღრმა და სერიოზული, არამედ მსუბუქი, ასახვაა ჩვენი საზოგადოების ფსევდორელიგიურობისა, ხშირ შემთხვევაში — ფარისევლობის. ყველა პირჯვარს იწერს ეკლესიასთან ჩავლისას, ყველას აქვს ხატებისთვის გამოყოფილი კუთხე ოჯახში. სანაცვლოდ გვჯერა, რომ ღმერთი გვიშველის, ჯანმრთელობასა და ბარაქას მოგვცემს, აფხაზეთს დაგვიბრუნებს. ამის იქით საქმე არ მიდის. კრებულის ბოლო მოთხრობაში, „მეხუთე დღე“, ერთი პერსონაჟი ეუბნება მეორეს, სასტუმროებში დროის მოკვლის მიზნით ფრაგმენტულად წაკითხული „ბიბლია“ არასწორად გაქვს გაგებულიო...

— „მტკვარი და მისი ორი ნაპირი“ უმნიშვნელოვანესი დოკუმეტური პროზაა. მახსოვს, რომ ნაწყვეტი წიგნიდან „ლიტერატურულ გაზეთშიც“ დაიბეჭდა. როგორ იქმნებოდა ეს ტექსტი „დედამდინარის“ ცხოვრებაზე?

— თუ არ ვცდები, 2012 წელს „ლიტერატურულ გაზეთში“ დაიბეჭდა „მტკვრისა და მისი ორი ნაპირის“ ერთი თავი. დაიბეჭდა მანამდე, ვიდრე „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ წიგნად დასტამბავდა. „ლიტერატურულ გაზეთს“ გამოცხადებული ჰქონდა კონკურსი ესეისტიკასა და კრიტიკაში. სწორედ ამ კონკურსის ჟიურიმ მიაკუთვნა მესამე პრემია „მტკვრის“ ფრაგმენტს, ერთ თავს, რომელიც მალევე დაიბეჭდა კიდეც გაზეთში. წიგნზე მუშაობის იდეა კი გაჩნდა მრავალი წლის წინათ, როცა პიტერ აკროიდის შესანიშნავი წიგნი „ტემზა — წმინდა მდინარე“ წავიკითხე. გასაგები მიზეზების გამო, ტემზა არის ერთ-ერთი ყველაზე კარგად შესწავლილი და გამოკვლეული მდინარე თავისი გეოგრაფიული პარამეტრებით, ქიმიური ანალიზით, არქეოლოგიით, არქიტექტურით, დემოგრაფიით, ფლორითა და ფაუნით, მითოლოგიით, პოეზიით და ასე შემდეგ. ტემზაზე წიგნები იწერებოდა ჯერ კიდევ რომის იმპერიის პერიოდიდან, მტკვარზე კი ერთადერთ წიგნს მივაკვლიე, ეს იყო საბჭოთა კავშირში გამოცემული მცირე ზომის, ლამის ბროშურის ფორმატის ვ. ზუხბაიას „მტკვარი საქართველოს დედამდინარე“. გადავწყვიტე სიცარიელის შევსება, როგორც დოკუმენტური, ტექნიკური და მემუარული ლიტერატურის დახმარებით, ასევე საგაზეთო პუბლიკაციებისა და მხატვრული ტექსტების საშუალებით. როგორც გითხარით, ეს იყო თითქმის ორწლიანი ინტენსიური შრომა, რეგულარული სიარული საჯარო ბიბლიოთეკასა და ბუკინისტებში. წიგნზე მუშაობის შემდეგ დამრჩა მდიდარი ბიბლიოთეკა თბილისზე დაწერილი 60-მდე წიგნის სახით. არ მეგულება თბილისის შესახებ რამე მნიშვნელოვანი ტექსტი, რომელიც მე არ მაქვს.

— მაგრამ დავუბრუნდეთ თქვენი წიგნის მთავარ პერსონაჟს — მტკვარს, ჩვენსა და მის ორგანულ, ბუნებრივ, სასიცოცხლო კავშირს. რამდენად მნიშვნელოვანია ასეთი კავშირები და რამდენად მოქმედებს მისი დარღვევა კულტურაზე, ხალხზე, მათ ყოფაზე?

— ჩვენსა და მდინარეს შორის მართლაც იყო ბუნებრივი და ორგანული კავშირი, მაგრამ მას შემდეგ, რაც მტკვარს ბეტონის ჯებირი აუშენეს და გასწვრივ საავტომობილო ტრასები გაუყოლეს, ეს კავშირი გაწყდა. ქალაქმა ზურგი შეაქცია მტკვარს. ჩაიკეტა მდინარემდე მისასვლელი ყველა გზა, უკვალოდ გაქრა მტკვრის მთელი განაშენიანება — მდინარიდან ამოზრდილი ქარვასლები და ჩუღურეთის ყველაზე კოლორიტული ნაწილი — არჩილ სულაკაურის სამყარო, რომელიც „ჩუღურეთულ მოთხრობებსა“ და „თბილისურ ჩანახატებშია“ აღწერილი. ერთი სიტყვით, ქალაქი მოწყდა მდინარეს. ადრე ყველა გზა, ყველა ბილიკი მტკვარზე ჩადიოდა. იქ იმართებოდა ლამის ყველა რელიგიური თუ საერო დღესასწაული. იქ შრომობდნენ და ისვენებდნენ, ფილოსოფოსობდნენ, ჭორაობდნენ, ერთობოდნენ, გრილდებოდნენ, წყურვილსაც კი მტკვრის წყლით იკლავდნენ. მტკვარში ინათლებოდნენ. ტყუილად კი არ უხმობდნენ მტკვარს ქართველთა იორდანეს. შეიძლება ითქვას, რომ თბილისი მტკვრიდან დაიბადა და ამოიზარდა. მტკვარი იყო თბილისის სახის განმსაზღვრელი, მისი პირველი არქიტექტორი. ახლა კი მტკვარი ბევრისთვის უბრალოდ ბინძური წყალია, რომელსაც ზიზღით უბზუებენ ცხვირს. ბევრმა არც კი იცის, რატომ აქვს მტკვარს ასეთი მღვრიე, ტალახის ფერი. ჰგონია, რომ კანალიზაციითაა დაბინძურებული. არც ის იცის, ეს ტალახიანი წყალი ხანდახან რატომ იცვლის ფერს და რატომ ხდება მომწვანო. არადა, სულ ცოტა ხნის წინათ თბილისელებმა ზედმიწევნით კარგად იცოდნენ, როგორ იცვლებოდა მტკვრის შეფერილობა წელიწადის დროების შესაბამისად. მარტო მდინარეს კი არა, დანარჩენ ქალაქსაც ასევე მოვექეცით თუ ვექცევით და, რა გასაკვირია, რომ ნელ-ნელა მასაც ვკარგავთ. ახლა ცხელ გულზე პირველი, რაც გამახსენდა, არის ძველი ველოტრეკი, რომელიც XIX საუკუნის 80-იან წლებში აშენდა და სანამ ორიოდე წლის წინ არ დაანგრიეს, ერთ-ერთი უძველესი იყო მსოფლიოში. ამ ველოტრეკის წინ ყოფილა დუქანი ფიროსმანის აბრით, რომელზეც ეხატა ველოსიპედზე ამხედრებული ლადო კავსაძე — აღიარებული ჩემპიონი და მაშინდელი პუბლიკის კერპი, რომელიც მოგვიანებით ოპერის ცნობილი მომღერალი გახდა. ამის შესახებ წერს კირეილე ზდანევიჩი მამამისის ნაამბობზე დაყრდნობით გასული საუკუნის 60-იან წლებში გამოცემულ წიგნში. დღეს აღარც ის დუქანია და არც ფიროსმანის ველოსიპედისტი, ველოტრეკზე კი უკვე მოგახსენეთ. სიმპტომატური ამბავია — არ ვუფრთხილდებით მემკვიდრეობას, სიძველეს. ვისაც შეძლება აქვს, ყველა ცდილობს წინა თაობის, თაობების გაკეთებულის წაშლას, მოსპობას. უცნაური ვნებაა.

— კითხვას თუ ასწრებთ ან როგორი ლიტერატურა, რომელი მწერლები გიყვართ?

— ვცდილობ, დღე არ ჩავაგდო, რაც ძნელი არ არის იმის გამო, რომ ყოველ დღე 1,5-2 საათი მიწევს საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა. ვკითხულობ ყველანაირ წიგნს: ბეჭდურსაც და ელექტრონულსაც. სმარტფონში მაქვს იოტა რიდერის აპლიკაცია, ასევე მაქვს კინდლი. მიყვარს ერთდროულად სამი-ითხი წიგნის კითხვა. ბევრს ამგვარი ჩვევის ეფექტიანობაში ეჭვი ეპარება, ლამის მეც დამაჯერეს, მაგრამ ფრთები გამოვისხი, როცა უნამუნოს ესეში — „ფლობერს რომ ვკითხულობ“ — ჩემთვის განკუთვნილი ასეთი რჩევა ამოვიკითხე: „კარგი მკითხველი სამ, ოთხ და ხუთ წიგნსაც კი ერთდროულად უნდა კითხულობდეს, ერთისგან მეორეში რომ დაისვენოს“. ცხადია, როცა ერთდროულად რამდენიმე წიგნის წაკითხვაზე ვლაპარაკობ, ვგულისხმობ სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურას. გარდა ამისა, ვკითხულობ ქართულ ლიტერატურულ პერიოდიკას: ორ ჟურნალსა და ერთ გაზეთს. თუმცა ეს ყველაფერი მაინც სიამოვნებასთანაა დაკავშირებული. კითხვა სიამოვნებაა, წერა — სამუშაო. რამდენიმე ტექსტი მაქვს ამოჩემებული, რომლებსაც თითქმის ყოველ წელს ვკითხულობ. მაგალითად — ზურაბ კიკნაძის და თამაზ ჩხენკელის „ოდისეა“, მაჩაბლის „ჰამლეტი“. მართალია, შევნატრი მეოცე საუკუნის მერე ნახევრის ამერიკელ მწერლებს, მაგრამ პირველი, ვინც მაფიქრებინა, ნეტავ ასე წერა ან ასეთი ისტორიის მოყოლა შემეძლოს-მეთქი, იყო ესპანელი კამილო ხოსე სელა და მისი „პასკუალე დუარტეს ოჯახი“.

— ახალ მხატვრულ ნაწარმოებზე თუ მუშაობთ ან რაზე ფიქრობთ, დაწეროთ? მწერლებს არ უყვართ ხოლმე ამაზე ლაპარაკი. და თუ გიფიქრიათ, გემუშავათ რომანზე?

— ახალ მხატვრულ ნაწარმოებზე მუშაობს ყველა, ვისაც ერთხელ მაინც, თუნდაც ოცი ან ორმოცი წლის წინათ გამოუქვეყნებია წიგნი. შეიძლება აღარ აქვეყნებს, მაგრამ ვერავინ დამაჯერებს, რომ არ წერს ან ფურცელზე ან გონებაში მაინც. ასევე არ მჯერა ჩანაფიქრის გამხელასთან დაკავშირებული ცრურწმენების, ამიტომაც ვიტყვი, რომ ვმუშაობ მოთხრობაზე, რომლის სათაურია „რკინის ბაყაყის წელიწადი“. ვაგროვებ მასალას რომანისთვის, რომელშიც მოქმედება ხდება მომავლის თბილისში, სადაც აღდგენილია მეტეხისა და ორთაჭალის ციხეები, ეგზეკუციის მთავარი იარაღი კი მტკვარია, თუმცა მდინარე ნელ-ნელა იკლებს და ბოლოს სულაც ქრება...

ესაუბრა თამარ ჟურული







რობერტ ფროსტი დიდი ამერიკელი პოეტია. ბევრი დიდი პოეტი ჰყავთ ამერიკელებს, მაგრამ რობერტ ფროსტი მათ შორისაც კი გამორჩეულია.

ფროსტი ტიპიური, ახალინგლისელი ამერიკელია, თუმცა სან-ფრანცისკოში დაიბადა 1874 წელს. იქ მამამისი გადასახლდა მასაჩუსეტსის შტატიდან; მამის გარდაცვალების შემდეგ ოჯახი ახალ ინგლისში დაბრუნდა. ახალგაზრდა ფროსტმა ბევრ ხელობაში გამოსცადა თავი — მასწავლებელიც იყო, ხარაზიც და გაზეთის რედაქტორიც. პირველი ლექსი — „ჩემი პეპელა“ — 1894 წელს გამოაქვეყნა ნიუ-იორკის გაზეთ „ინდიფენდენტში.“

1895 წელს ცოლად შეირთო ელინორ მირიამ უაიტი, ვინც მისი პოეზიის მუზად გადაიქცა მთელი ცხოვრების მანძილზე.

მრავალი ფოტო გადავათვალიერე ინტერნეტში; ფოტოსურათები გვეუბნება, რომ რობერტ ფროსტი სადა, უშუალო კაცია, მაგრამ ყველაზე უკეთ თავს ბუნებაში, სოფლურ გარემოში გრძნობს.

ჰო, ფროსტი სოფლელი კაცია და ძალიან უნდოდა, ფერმერი ყოფილიყო (ნიუ ჰემპშირში, ვერმონტის შტატში), მაგრამ ამბობენ, ხელი მოეცარა ფერმერობაშიო (არც გასაკვირია, აბა, რომელ დიდ პოეტს მიუღწევია დიდი წარმატებისათვის ბიზნესსა თუ სოფლის მეურნეობაში?!) და ცოლთან ერთად ინგლისში გადასახლდა 1912 წელს. იქ შეხვდა და დაუმეგობრდა ბრიტანელ პოეტებს — ედუარდ ტომასს, რუპერტ ბრუკს, რობერტ გრეივზს. გავლენა განიცადაო, იტყვიან, ჰო, ახალი პოეტური ფორმები, ინტონაციები, მოდერნიზმი, იმიჯიზმი და სხვა, მაგრამ ფროსტი ისე იყო აღვსილი საკუთარი პოეზიით, რომ გავლენებს იოლად არ აჰყვებოდა; კი მეგობრობდა მათთან, მაგრამ ვერ ეტეოდა პოეტურ გაერთიანებებსა და სალონებში. სწორედ იქ დაუმეგობრდა ეზრა პაუნდს, ვინც თავისი მადლიანი ხელი შეაშველა მისი წიგნის გამოცემასა და პოპულარიზაციას.

ამერიკაში რომ დაბრუნდა, 1915 წელს, უკვე ცნობილი პოეტი იყო. 1920-ში ყველაზე სახელგანთქმული იყო შეერთებულ შტატებში. მრავალი ჯილდო და პრიზი მიიღო და 1958-59 წლებში პოეტი-ლაურეატიც გახდა.

თითქმის სულ ახალი ინგლისის მხარესა და პეიზაჟებზე წერს და რატომაც არ უნდა ვუწოდოთ რეგიონული პოეტი — თუმცა ერთ რეგიონში რომ ვერ ეტევა?! ტრადიციული ლექსის ფორმებს ვერ ელევა, მაგრამ, ფსიქოლოგიური სირთულითა და ენისადმი დამოკიდებულებით, ტიპიური მოდერნისტი პოეტია — მის ერთ ფოთოლსა და ერთ ბილიკში მთელი სამყარო მოჩანს. ახალი ინგლისის პურიტანული ეთიკაც შინაურია მისთვის და ზოგადამერიკული ზნეობაც, საიდანაც მთელ მსოფლიოს უსწორებს თვალს.

დიდხანს იცოცხლა და იმასწავლებლა მასაჩუსეტსისა თუ ვერმონტის შტატებში და ღვაწლმოსილი და სახელგანთქმული გარდაიცვალა 1963 წლის 29 იანვარს.

ფროსტიც ზვიად გამსახურდიამ გაგვაცნო, სხვა მოდერნისტ ამერიკელ პოეტებთან ერთად. ახლა რომ ვკითხულობ ზვიად გამსახურდიას წერილს, მწარედ მეცინება; სულ ერთ სიტყვაში მოჩანს იმდროინდელი ცენზურის სულისშემხუთველი საქმიანობა. იქ სადაც ზვიად გამსახურდიას მოდერნისტი უნდა ეწეროს, ყველგან რეალისტი წერია. რა თქმა უნდა, „ჩაუსწორეს“, მაგრამ ეს სულაც არ ამცირებს მაშინდელ მნიშვნელობას ზვიად გამსახურდიას წიგნისა ამერიკული პოეზიის შესახებ. აქვეა ზვიად გამსახურდიას თარგმანი რობერტ ფროსტის რამდენიმე ლექსისა და მისი გამორჩეული შედევრისა, „ნოემბრის სტუმარი“:

„ჩემი მწუხარება როდესაც მეწვევა
და ჩემში სახლდება,
ფიქრობს შემოდგომის უბრალო დღეებზე,
მომქანცველ წვიმაზე,
როს სიმშვენიერე ბუნების კვდომისა
ისევ განახლდება,
მას უყვარს ალვების კვდომა ვერცხლისფერი
და ცად ამაღლება,
ჩვენ მიერ მრავალგზის თელილი
მინდვრების ნესტი და სინაზე.“

ორიგინალის იამბური ტეტრამეტრი (—/—/—/—/) ზვიად გამსახურდიამ გრძელი, თვრამეტმარცვლიანი ლექსით გადმოიტანა; რა თქმა უნდა, ესწრაფოდა, არც ერთი ნიუანსი არ დაეკარგა ფროსტის ლირიკისა და გარითმვის სქემაც შეინარჩუნა: (ABAAB).

თავის დროზე გიორგი ნიშნიანიძემაც თარგმნა ფროსტის რამდენიმე ლექსი, რაც მისი თარგმანების კრებულში 1985 წელს დაიბეჭდა. მას შემდეგ ალბათ სხვებმაც თარგმნეს თითო-ოროლა, მე გამომრჩებოდა, თვალს ვერ მივადევნებდი...

ინტერნეტში, ქართულ ვებგვერდებზე, რასაც, ერთი თვალის გადავლებით, რობერტ ფროსტზე მოვიძიებთ, უხვი მასალა არ არის: ზვიად გამსახურდიას წერილი აუტვირთავთ, გიორგი ნიშნიანიძის თარგმანებიც, ქარდა ქარდუხის მიერ თარგმნილი ერთი ლექსიცაა („შემო“).

და, ოთარ ცისკაძეს უთარგმნია რობერტ ფროსტის, The Road not Taken — სათაურით „აურჩეველი გზა“.

კოტე ყუბანეიშვილსაც უთარგმნია იგივე ლექსი („გზა რომელიც არ ამოირჩიეს“) და საყურადღებო თარგმანიცაა შედევრისა.

ჰო, ეს ლექსიც შედევრია და სასიხარულოა, რომ არაერთხელ ითარგმნება ქართულად. ეს ლექსიც იამბური პენტამეტრითაა გაწყობილი და გარითმვის სქემაც ისეთივეა, როგორც „ნოემბრის სტუმარში“.

ეჰ, ნეტავ ვინმე, კარგი ქართველი პოეტი და კარგი ოსტატი ლექსისა, რობერტ ფროსტის თარგმნას გადაწყვეტდეს და არა ორიოდე ლექსი, არამედ ერთი მცირე კრებული მაინც გვქონდეს ხელთ. ესეც ხომ წაადგებოდა ქართულ ენასა და პოეზიას.

ამჯერად ქალბატონ მედეა ზაალიშვილის მიერ თარგმნილ სამ ლექსს გთავაზობთ რობერტ ფროსტისა და განსჯა თქვენთვის მოგვინდია.

ძველ თარგმანებში ვიპოვეო, მითხრა ქალბატონმა მედეამ. მაინც რამდენი რამ ჰქონია თარგმნილი და მე კი ვწერდი, მედეა ზაალიშვილი ნაყოფიერი მთარგმნელი არ არის-მეთქი! სულ მალე გამომცემლობა „არტანუჯი“ მედეა ზაალიშვილის მიერ თარგმნილ ამერიკელ და ინგლისელ პოეტთა თარგმანებს გამოსცემს და კიდევ ერთი მშვენიერი კრებული შეემატება ქართულ პოეზიას.

პაატა ჩხეიძე

რობერტ ფროსტი

არ არჩეული გზა

ფოთოლცვენის ჟამს, ტყეში, ჩემს თვალწინ
გზა გაიყარა და ვწუხდი, რადგან
მე მარტო მგზავრი ორ გზას ვერ გავწვდი
და გავცქეროდი დიდხანს ერთ მათგანს,
შორს ბუჩქებს შორის რომ ჩაიკარგა.

სხვა გზას დავადექ, პირველს რომ ჰგავდა
და უფრო მეტიც გააჩნდა ხიბლი,
მთლად დაეფარა ბალახის ფარდაგს
და იქ თუ ვინმე მაინც გაივლის,
ვერაფერს ნახავს თელილ გზის გარდა.

არ შეხებია იმავ ალიონს
უხეში ფეხი — ძირსფენილ ფოთლებს;
ოჰ! ვინახავდი მე სახვალიოდ
პირველ გზას! მაგრამ, გზას ხომ გზა მოსდევს
და ვეჭვობ უკან დავბრუნდე ოდეს.

არარა დამრჩა მე ოხვრის მეტი,
გაივლის ჟამი და ვიტყვი ბოლოს:
გზა გაიყარა ტყეში და მე კი —
მე, ნაკლებ თელილ გზას დავადექი,
მთელი სხვაობა ეს იყო მხოლოდ.

ერთგულება

გულს ერთგულება თუ ძალუძს ნეტავ,
თვით ოკეანის ნაპირზე მეტად,
არასდროს ტოვებს მის ზვირთებს კენტად,
ყველაფერს გრძნობს და ყველაფერს ხედავს.

ხე ჩემს სარკმელთან

ხევ ჩემს სარკმელთან, სარკმლის ხევ, შორით
ჩნდება მთვარე და ძირს ვწევ ალათას.
მაგრამ, ვერასდროს დავუშვებ ფარდას
მე და შენს შორის.

მიწას სცილდება ზმანების ჩრდილი
და იფანტება ირგვლივ ღრუბლებად
და უცნაურად მესაუბრება
შენი ხმა ტკბილი.

მე მინახიხარ ტოტებდახრილი
და შენც თუ მნახე, ჩავთვლიმე როცა,
მაშინ იგრძნობდი, თუ როგორ მბოჭავს
სულის ძახილი.

იმ დღეს, პირისპირ შევხვდით უნებურ,
მაგრამ თუ რატომ, ბედმა თუ იცის,
შენ გარე ძალებს ებრძვი ამ მიწის,
მე ჩემს ბუნებას.

თარგმნა მედეა ზაალიშვილმა



ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ჟურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
9 772346 794004